CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 3 დეკემბერი, 2009 წელი. №264 (2302) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვა ხალხს
A12

"ნევის ექსპრესის" საქმეში ჯიჰადის კვალი გაჩნდა
A7

კახა კალაძე: "მეორე გოლი საოცარი იყო"
A14

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი
TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

დასავლეთის უარი რუსულ ამბიციებს

ევროპაში უსაფრთხოების რუსული წესები საერთაშორისო თანამეგობრობამ არ მიიღო. დმიტრი მედვედევის მიერ გამოქვეყნებულ ევროპული უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების პროექტს ეუთო-ს ათენის მინისტერიალზე გულგრილად შეხვდნენ. არაოფიციალურად კი დასავლელი დიპლომატები აცხადებენ, რომ მათთვის რუსული ინიციატივა კატეგორიულად მიუღებელია. სამაგიეროდ, მოსკოვს კიდევ ერთხელ შეახსენეს საქართველოს წინააღმდეგ აგრესია და შეუსრულებელი ვალდებულებები. რუსული წინადადებები კინაღამ რუსეთი-ნატოს საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის ჩაშლის მიზეზიც გახდა.

დიმიტრი ავალიანი

"მშვიდობისთვის ბრძოლის რუსულმა გეგმამ მსოფლიოში აურზაური გამოიწვია," - ასეთი სათაურით აქვეყნებს რეპორტაჟს ათენის მინისტერიალიდან გაზეთი "კომერსანტი".

მედვედევის ინიციატივა ეუთო-ს ტრიბუნიდან მხოლოდ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა შეაქო. სიტყვით გამოსული 55 დიპლომატიდან რუსული კონცეფცია დადებითად არც ერთს არ შეუფასებია. თუმცა, დიპლომატები ამ თემაზე საკმაოდ აქტიურად მსჯელობდნენ კულუარებში. **"რუსეთი ცდილობს, ევროპას უკარნახოს, როგორ დაიცვას მან საკუთარი უსაფრთხოება,"** - ასეთი იყო მათ შორის ყველაზე გავრცელებული შეფასება.

"კომერსანტი" აღნიშნავს, რომ რუსულ დელეგაციას არ ესიამოვნა როგორც ასეთი არაოფიციალური შეფასებები, ასევე აშშ-ს სახელმწიფო მდივნისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის არყოფნაც სამიტზე, სადაც კრემლი მისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტის განხილვას გეგმავდა.

"ეს შემთხვევითი დამთხვევა არ იქნება. დიპლომატიაში ამა თუ იმ პოზიციასთან უთანხმოების დემონსტრირებისთვის მრავალი ხერხი გამოიყენება, ხმამაღალი კრიტიკა არ არის აუცილებელი. შეიძლება, შენ ნაცვლად ვინმე უფრო დაბალი სტატუსის მქონე გამოგზავნო და ყველაფერი უსიტყვოდ გახდება ნათელი," - განაცხადა რუსმა დიპლომატმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ქუჩა და სნაიპერის სამიზნე

ლევან კოღუაშვილის ფილმის წარმატებული პრემიერა თბილისის კინოფესტივალზე

ია ვეკუა

დღეს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის მესამე დღეა. ამ დროისთვის მაყურებელმა უკვე ნახა ბულგარული, ხორვატული, ნორვეგიული, სომხური, ჩინური და ირანული ფილმები. ნახა ქართულიც, თანაც ფესტივალის გამხსნელი ფილმი - ლევან კოღუაშვილის "ქუჩის დღეები", რომელიც ჯერჯერობით არა მხოლოდ ფესტივალის, არამედ უკანასკნელი წლების ქართული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან ნამუშევრად იქცა. მნიშვნელოვანზე მეტად კი სასიამოვნოა, რომ, როგორც იქნა, ქართულმა ფილმმა მაყურებლის მოწონება დაიმსახურა - გულწრფელი, საღი, გონებით და არა მხოლოდ პატრიოტული გრძნობებით ნაკარნახევი მოწონება.

გაგრძელება A9 გვერდზე

გუგა კოტეტიშვილი ფილმის გადაღებებზე

გეორგია გრუზიას ნაცვლად

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი გრიგოლ ვაშაძე ათენში, სადაც იგი ეუთო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სხდომის მუშაობაში მონაწილეობს, მინისტერიალზე მყოფ არაერთ კოლეგას შეხვდა. გარდა ამისა, საქართველოს მთავარი დიპლომატი მინისტერიალის ფარგლებში გამართულ სუამ-ვიშეგრადის ჯგუფის სხდომებს თავმჯდომარეობდა.

დათო გამისონია

1-2 დეკემბერს გამართულ მინისტერიალზე მყოფმა გრიგოლ ვაშაძემ ორმხრივი შეხვედრის თხოვნით მიმართა ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ იგაუდას ურშაცკასს, საქართველო ლიტვურ ენაზე, ნაცვლად გრუზიისა, მოიხსენიონ, როგორც - გეორგია, რაც გრიგოლ ვაშაძემ იმით ახსნა, რომ გეორგია ქვეყნის ისტორიული სახელია, ხოლო სახელწოდება გრუზია სლავური წარმოშობისაა. ლიტვური მხარისთვის ქართველი მინისტრის თხოვნა მოულოდნელი არ ყოფილა. ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა ოლანდას კაცინსკასმა განაცხადა, რომ მხარეებმა ამ საკითხზე უკვე რამდენჯერმე ისაუბრეს, თუმცა ლიტვურმა საგარეო უწყებამ ქართული მხრიდან ოფიციალური მიმართვა მხოლოდ ახლა მიიღო.

გარდა ამისა, გრიგოლ ვაშაძემ ეუთო-ს მე-17 მინისტრთა საბჭოს სხდომის ფარგლებში ეუთო-ს გენერალურ მდივან მარკ პერინ დე ბრიშამბოსთან გამართა მოლაპარაკებები. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ ისაუბრეს, ამავე დროს საქართველოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების პროცესში ეუთო-ს როლზე გაამახვილეს ყურადღება.

ორმხრივ შეხვედრებთან ერთად, მინისტრმა ვაშაძემ ეუთო-ს საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს სიტყვით მიმართა.

ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინისტერიალის ფარგლებში მცირე რეგიონული ორგანიზაციების მოლაპარაკებების გაიმართა. კერძოდ, ათენში სუამ-ის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოსა და სუამ-ვიშეგრადის ჯგუფის სხდომები ჩატარდა. სუამ-ის წევრი ყველა ქვეყნის მთავარმა დიპლომატებმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიის დღის წესრიგის მე-14 პუნქტში შეტანილ საკითხზე იმსჯელეს, რომელიც მოიცავს დისკუსიის გამართვას სუამ-ის სივრცეში გაჭიანურებული კონფლიქტების მოგვარების გზებისა და მათი გავლენის შესახებ საერთაშორისო მშვიდობაზე, უსაფრთხოებასა და განვითარებაზე. მხარეებმა, აგრეთვე იმსჯელეს დარგობრივი თანამშრომლობის განვითარებისა და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობების დაახლოების საკითხებზე.

გაგრძელება A2 გვერდზე

CMYK - 1

თემურ იაკობაშვილი ელჩებს შეხვდა

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილი საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩს დენის კიფს, გერმანიის ელჩს პატრიცია ფლორს, ასევე, ამერიკისა და საფრანგეთის ელჩების მოადგილეებს შეხვდა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, ელჩებთან იმსჯელეს საქართველოს სტრატეგიაზე ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში. მისი თქმით, სტრატეგიის პროექტის წინასწარი განხილვა აღნიშნული სახელმწიფოებისა და ევროსაბჭოს წარმომადგენლებთან ერთად 11 დეკემბერს მოხდება.

იაკობაშვილის ინფორმაციით, სტრატეგია მოიცავს საქართველოს მთავრობის ურთიერთობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასთან, მათი განათლების საკითხებს, კულტურულ მემკვიდრეობას და სახალხო დიპლომატიას. საქართველოს მთავრობის სტრატეგიის საბოლოო ვარიანტი წლის ბოლოსთვის გახდება ცნობილი. გუშინვე, თემურ იაკობაშვილი ევროსაბჭოს დემოკრატიისა და პოლიტიკური ურთიერთობების მიმართულების დირექტორს, ჟან ლუი ლორანს შეხვდა. მათ საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება განიხილეს.

თემურ იაკობაშვილის განცხადებით, შეხვედრაზე ე.წ. თურქი მესხების საქართველოში დაბრუნების საკითხზე ისაუბრეს. მინისტრის თქმით, ამ საკითხში საქართველოს სერიოზული პროგრესი აქვს. ასევე, იმსჯელეს ადამიანის უფლებების მონიტორინგზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იაკობაშვილის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ევროსაბჭოს, ისევე როგორც ევროკავშირს სერიოზული მექანიზმები აქვს, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე მონიტორინგი განახორციელონ.

განცხადება გააკეთა ჟან ლუი ლორანმაც. მისი თქმით, შეხვედრაზე მოისმინა ინფორმაცია საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით და ისაუბრეს რელიგიური უმცირესობების სტატუსის მდგომარეობაზე. ასევე - როგორ შეუძლია ევროსაბჭოს დაეხმაროს საქართველოს აღებული ვალდებულებების შესრულებაში.

დაკავება გალში

სოფელ თაგილონში ოკუპანტებმა გალის რაიონის 16 მკვიდრი დააკავეს. ამის შესახებ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, თორნიკე კილანავამ განაცხადა. "ავტობუსის 15 მგზავრი და მძღოლი გუშინ დააკავეს. ისინი გალის რაიონში ზუგდიდიდან ბრუნდებოდნენ. იმის მიუხედავად, რომ ყველა მათგანს პასპორტი ჰქონდა, გალის რაიონში შესვლა მაინც დაკავების მიზეზი გახდა. დაკავებულები გალში გადაიყვანეს და მთელი ღამის განმავლობაში ავტობუსიდან გადმოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ", - აღნიშნა თორნიკე კილანავამ. იგი ვარაუდობს, რომ დაკავებულებს დაჯარიმების შემდეგ გაათავისუფლებენ.

ეუთო-ს მისიის საქართველოდან გაყვანა არასწორი იყო

საქართველო მიესალმება საბერძნეთის პოზიციას ეუთო-ს მისიის აღდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამის შესახებ სახელმწიფო მინისტრმა რეინტეგრაციის საკითხებში, თემურ იაკობაშვილმა გუშინ განაცხადა. მისივე თქმით, ეუთო-ს მისიის საქართველოდან გაყვანა არასწორი იყო და იმედი აქვს, რომ, ადრე თუ გვიან, მისია განაახლებს საქართველოში მუშაობას.

"ეს აუცილებელია იმისთვის, რომ აღიკვეთოს ადამიანების გატაცებები და სხვადასხვა ინციდენტები, რასაც ადგილი აქვს ოკუპირებულ ტერიტორიებზე", - აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

განცხადება საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენის აუცილებლობასთან დაკავშირებით ეუთოს-ს თავმჯდომარე ქვეყნის, საბერძნეთის პრემიერმა იორგოს პაპანდრეუმ 1 დეკემბერს გააკეთა.

საქართველოში ეუთო-ს მისიამ არსებობა 2009 წლის გაზაფხულზე შეწყვიტა. მისიის ძველი სახით გაგრძელებას რუსეთმა ვეტო დაადო და აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში თბილისის მისიისგან დამოუკიდებელი მისიების გახსნა მოითხოვა. აღნიშნული მოთხოვნა ეუთო-ს წევრებმა არ დააკმაყოფილეს.

მოსკოვი რუსი ექსპერტების აეროპორტიდან გაბრუნებას ეხმაურება

რუსეთის საგარეო უწყებაში აცხადებენ, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ყოველგვარი განმარტებების გარეშე ქვეყანაში შესვლაზე უარი ეთქვათ მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის კავკასიის კვლევათა ცენტრის ექსპერტ, ნიკოლაი სილაევსა და რუსეთის ფედერაციის არქივის დირექტორს, სერგეი მირონენკოს.

"საქართველოს ხელისუფლების ქმედებამ საბოლოდ დაადასტურა ქვეყნის დღევანდელი რეჟიმის სწრაფვა, გაწყვიტოს ყველა კავშირი, რაც რუსებსა და ქართველებს შორის ჯერ კიდევ არსებობს" - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებული განცხადებაში.

რუს ექსპერტთა ჯგუფს 1-3 დეკემბერს შეხვედრები თბილისში "რუსეთის კვლევების ცენტრსა" და "ექსპერტთა კლუბში" უნდა გაემართა.

ორი მოზარდის ტყვეობის დასასრული

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ე.წ. "საზღვრის" უკანონოდ გადაკვეთისა და საბრძოლო მასალის გადატანის ბრალდებით 4 ნოემბერს დაკავებული ოთხი მოზარდიდან ორს - ალეკო ცაბაძესა და გიორგი რომელაშვილს ცხინვალის რეჟიმმა ერთწლიანი პირობითი სასჯელი შეუფარდა. რაც შეეხება ვიქტორ ბუჩუკურს და ლევან ხმიადაშვილს, მათ საერთო რეჟიმის კოლონიაში ერთწლიანი სასჯელი შეეფარდათ.

ნათია მსხილაძე

პოლიტიკური ვაჭრობა ნაწილობრივ შედგა. ევროკომისრის ადამიანის უფლებათა საკითხებში თომას ჰამარბერგის ცხინვალში ვიზიტი ამჯერად წინა ვიზიტებზე წარმატებული გამოდგა. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მესამე ვიზიტის დროს ჰამარბერგს თან ახლდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელი ჰანს იორგ ჰაბერი.

ცხინვალში ჰამერბერგი ხელცარიელი არ ჩასულა. ბეჭვდითი სიტყვისა და მასობრივი კომუნიკაციების დე ფაქტო სამინისტროს ინფორმაციით, ევროკომისარმა ოსურ მხარეს ქართული მხარის მიერ გათავისუფლებული ცხინვალის ხუთი მცხოვრები ჩაუყვანა, რომლებიც სხვადასხვა ბრალდებებით იყვნენ დაკავებულები. მათ შორის ორი პიროვნება - იბრაგიმ ლალიევი და ლავრენტი კაზიევი გასული წლის აგვისტოს ომის დროს დააკავეს. იაკობ ტეხოვის დაკავება 2008 წლის 8 ოქტომბერს მოხდა, აქედან 5 დღეში კი - პავლიკ ტეხოვისა. ვალდიმერ ელოევი 2009 წლის 31 აპრილს აიყვანეს. მარიონეტული რეჟიმის მტკიცებით, ეს ხუთივე პიროვნება ქართულმა მხარემ გაიტაცა. ამასთან, ცხინვალის ხელისუფლების განცხადებით, ქართულ მხარეს კიდევ 40 ოსი მოქალაქე ჰყავს დაკავებული.

თომას ჰამერბერგმა ცხინვალში მეორე ვიზიტის დროს ედუარდ კოკოითს პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა შესთავაზა - მარიონეტულ რეჟიმს დაკავებული არასრულწლოვნები უნდა გაეთავისუფლებინა, რის შემდეგაც საპასუხო ნაბიჯს ქართული მხარეც გადადგამდა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს გაათავისუფლებდა. თუმცა ასეთ შეთავაზებაზე ჰამერბერგს კოკოითმა განუმარტა, რომ იგი ამ საკითხის პოლიტიზირებას არ აპირებდა.

რაც შეეხება ხუთი დაკავებული ოსის გათავისუფლების საკითხს, ეს ნაბიჯი, ქართული მხარის მტკიცებით, იყო არა ტყვეთა გაცვლა, არამედ ოფიციალური თბილისის მხრიდან კეთილი ნების ჟესტი.

ოსურმა მხარემ, განსხვავებით ქართული მხარისგან, კეთილი ნება არ გამოიჩინა და დაკავებული ოთხი მოზარდიდან მხოლოდ ორი გაათავისუფლა. **"სამხრეთ ოსეთის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე მელი თიბილოვას გადაწყვეტილებით, 1992 წელს დაბადებულ ლევან ხმიადაშვილსა და 1993 წელს დაბადებულ ვიქტორ ბუჩუკურს თავისუფლების ერთი წლით აღკვეთა მიესაჯათ. ისინი სასჯელს საერთო რეჟიმის შრომაგასწორებით კოლონიაში მოიხდიან, ხოლო 1995 წელს დაბადებულები - გიორგი რომელაშვილი და ალეკო ცაბაძე პირობითი ერთწლიანი სასჯელის გამოტანის შემდეგ სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლეს,"** - ნათქვამია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის განცხადებაში.

სეპარატისტების მტკიცებით, სასამართლო პროცესზე დაკავებულების მიმართ წაყენებული ბრალდებები - საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, ასაფეთქებელი მოწყობილობის შენახვა და ქურდობა - დადასტურდა და დაკავებულებმა ბრალი აღიარეს.

დაკავებულ ოთხ მოზარდს ახლობლები და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ერგნეთის საგუშაგოზე მთელი დღის განმავლობაში ელოდნენ. თუმცა 20:00 საათისთვის ერგნეთის საგუშაგო, თომას ჰამარბერგთან ერთად, მხოლოდ ალეკო ცაბაძემ და გიორგი რომელაშვილმა გადმოკვეთეს. ცხინვალში დარჩენილი ორი მოზარდის ბედი კი, ევროკომისრის განმარტებით, ათი დღის განმავლობაში გაირკვევა. მისი თქმით, გათავისუფლებული მოზარდები თავს ნორმალურად გრძნობენ, თუმცა ექიმის კონსულტაცია, სავარაუდოდ, მაინც დასჭირდებათ. **"ჩვენ ოსური მხარისგან მივიღეთ პირობა, რომ დარჩენილ ორ მოზარდს ვიქტორ ბუჩუკურსა და ლევან ხმიადაშვილს 10 დღის განმავლობაში გაათავისუფლებენ. მე ამ პროცესს აუცილებლად მივადევნებ თვალყურს,"** - განაცხადა თომას ჰამარბერგმა.

სანამ თომას ჰამარბერგი ერგნეთის საზღვარს გადმოკვეთდა, პოსტკონფლიქტური დარეგულირების საკითხებში დე ფაქტო პრეზიდენტის ოფიციალურ წარმომადგენელ ბორის ჩოჩიევის აპარატმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჰამარბერგი ოთხივე ტირძნისელი მოზარდის გათავისუფლებამდე ცხინვალის დატოვებას არ აპირებდა, თუმცა ევროკომისარმა მარიონეტული რეჟიმისგან მიღებული პირობის შემდეგ ცხინვალი დატოვა.

არასრულწლოვნების გათავისუფლების შესახებ განცხადება პრეზიდენტის ადმინისტრაციამაც გაავრცელა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მიესალმება ტირძნისიდან გატაცებული ორი მოზარდის გიორგი რომელაშვილისა და ალეკო ცაბაძის გათავისუფლებას, თუმცა შეშფოთებულია, რომ კიდევ ორი მოზარდი უკანონო პატიმრობაში რჩება. **" პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ეს არის საოკუპაციო რეჟიმის არაადამიანური გადაწყვეტილება და საქართველოს ხელისუფლება განაგრძობს მუშაობას, რათა ბავშვები გათავისუფლდნენ. ორი ბავშვის გათავისუფლება, რომელთაც პირობითი სასჯელი შეეფარდათ, არის საერთაშორისო თანამეგობრობისა და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის შედეგი, რისთვისაც პრეზიდენტი მადლობას უხდის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს საქართველოში ჰანსიორგ ჰაბერს და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარ თომას ჰამარბერგს. ასევე პრეზიდენტი განსაკუთრებულ მადლობას უხდის გატაცებული ბავშვების მშობლებს მოთმინებისთვის, აგრეთვე "ქრისტიან-დემოკრატებს" და დეპუტატ გია თორთლაძეს, რომლებიც გატაცებულთა გათავისუფლების პროცესში იყვნენ ჩართულნი. პრეზიდენტი მკაფიოდ აღნიშნავს, რომ მოზარდების უკანონო პატიმრობიდან გათავისუფლება ვერ შეცვლის იმ ფაქტს, რომ რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი საოკუპაციო რეჟიმისგან ეთნიკური წმენდის მსხვერპლი გახდა,"** - განაცხადა სპეციალურად გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ.

გეორგია გრუზიას ნაცვლად

პირველი გვერდიდან

მხარეებმა შეხვედრის დასასრულს შემაჯამებელ ოქმსა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს მოაწერეს ხელი. რაც შეეხება სუამ-ვიშეგრადის ჯგუფის პირველ შეხვედრას, ამით საფუძველი ჩაეყარა ვაცლავ ჰაველის, ლეხ ვალენსას და ჯოზეფ ანტალის (უნგრეთის პრემიერ-მინისტრის) თაოსნობით 1991 წელს შექმნილ ორგანიზაციასა და სუამ-ს შორის მომავალ თანამშრომლობას. ცენტრალური ევროპის ქვეყნების ალიანსს უნგრეთის (როგორც თავმჯდომარე ქვეყნის) საგარეო საქმეთა მინისტრი წარმოადგენდა, ხოლო ჩეხეთიდან, პოლონეთიდან და სლოვაკეთიდან შეხვედრას მაღალი რანგის თანამდებობის პირები ესწრებოდნენ. თავის მხრივ, გრიგოლ ვაშაძემ უნგრეთის მხარეს სუამ-ის წევრი ქვეყნების სახელით მადლობა გადაუხადა, რადგან უნგრეთმა სუამ-ის ქვეყნებისთვის ვიშეგრადის თანამშრომლობის გამოცდილების გაზიარების მიზნით სემინარების კურსს გაუკეთა ორგანიზება. სხდომაზე მხარეებმა მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივებიც განიხილეს და სხდომის დასასრულს შემაჯამებელი კომუნიკე მიიღეს.

ათენიდან გრიგოლ ვაშაძე ბრიუსელში გაემგზავრა, სადაც ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე აპირებს დასწრებას. მანამდე კი ქართველი მინისტრი გუშინ სერბ, შვედ და ხორვატ კოლეგებს შეხვდა. მინისტერიალზე საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კანატ საუდაბაიევთანაც გამართა მოლაპარაკებები. ეუთო-ს მომავალი თავმჯდომარე ქვეყნის მინისტრთან გრიგოლ ვაშაძემ, ორმხრივი ურთიერთობების გარდა, ეუთო-ს ფარგლებში სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენად შეძლებს ყაზახეთი საქართველოში ეუთო-ს მისიის დასაბრუნებლად პრინციპული პოზიციის გამოხატვას. მანამდე კი ოფიციალური თბილისი მიესალმა ჯერ კიდევ ეუთო-ს თავმჯდომარე ქვეყნის საბერძნეთის პოზიციას, რომელმაც საქართველოში ეუთო-ს მისიის აღდგენა კატეგორიულად მოითხოვა. რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა განაცხადა, რომ **"მისიის დაბრუნება აუცილებელია, რათა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანების გატაცებები და სხვადასხვა ინციდენტები აღიკვეთოს."** მინისტრმა იმედი გამოთქვა რომ მისია ადრე თუ გვიან საქართველოში მუშაობას განაახლებს.

ბრიუსელში უკრაინისა და საქართველოს ნატო-ს წევრობაზე იმჯელებენ

ბრიუსელში 3-4 დეკემბერს ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრები უკრაინისა და საქართველოს წევრობის პერსპექტივებს განიხილავენ. ამ ინფორმაციას დღეს "რია ნოვოსტი" ავრცელებს.

ნატო-ს წევრი 28 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები 3-4 დეკემბერს ბრიუსელში შეიკრიბებიან და უკრაინასა და საქართველოში ნატო-ს წევრობის შესახებ სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე მიმდინარე ქმედებებს დადებით შეფასებას მისცემენ. ასევე, მათი ალიანსის წევრობის პერსპექტივებს კვლავ განიხილავენ. ამის შესახებ ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა დღეს განაცხადა. "ეს ნიშნავს, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები აუცილებლად გახდებიან, თუმცა ამისთვის მათ აუცილებელი პირობები უნდა შეასრულონ", - განმარტა რასმუსენმა.

კიევმა და თბილისმა წევრობის სამოქმედო გეგმაზე განაცხადი 2008 წელს გააკეთეს, თუმცა ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ეს განაცხადები არ დააკმაყოფილეს. აღნიშნულმა მინისტრებმა გასული წლის დეკემბერში ე.წ. "ყოველწლიური ნაციონალური პროგრამების" ფარგლებში უკრაინასთან და საქართველოსთან ურთიერთობის ახალი ფორმატი დაამტკიცეს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

დასავლეთის უარი რუსულ ამბიციებს

პირველი გვერდიდან

მართალია, ევროპის ქვეყნების საგარეო უწყებების ხელმძღვანელები სხდომაზე გამოსვლისას ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის სრულყოფის აუცილებლობაზე საუბრობდნენ, თუმცა ცდილობდნენ, მედვედევის პროექტი საერთოდ არ ეხსენებინათ. რუსეთს კი შეუსრულებელ ვალდებულებებს ახსენებდნენ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა თავისი გამოსვლა იმით დაიწყო, რომ ევროპაში უსაფრთხოების გამყარებაზე ლაპარაკის მიუხედავად, საქართველოში კონფლიქტი დღემდე არ მოწესრიგებულა. მეტიც, აღნიშნა კუშნერმა, საქართველოდან ეუთო-ს მისიაც გააძევეს.

"დროა, ევროპა შეიცვალოს," - ეს ხმამაღალი განცხადება მინისტერიალზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა თავის გამოსვლაში გააკეთა. მისი თქმით, მედვედევის ინიციატივა **"გამაერთიანებელი ხასიათისაა და თანაბარი უსაფრთხოების განუყოფელი სივრცის შექმნისკენ არის მიმართული."** ლავროვმა კოლეგებს შეახსენა, რომ რუსული პროექტი განსახილველად ეუთო-ს წევრ ყველა ქვეყანას გაეგზავნა და რუსული მხარე მათგან რეაქციას ელოდება.

აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა, თავის მხრივ, აღნიშნეს, რომ რუსული პროექტის განხილვა შესაძლებელია, თუმცა არა ცალკე აღებული ინიციატივის სახით, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოების რეფორმირების კონტექსტში, რასაც ეუთო-ს წევრთა უმრავლესობა უჭერს მხარს. ოღონდ, პირველ პლანზე აუცილებლად უნდა დადგეს ადამიანის უფლებების საკითხი - ანუ ის თემა, რომლის საერთაშორისო ასპარეზზე განხილვასაც კრემლი ყველანაირად გაურბის.

ევროპის ერთ-ერთი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი "კომერსანტთან" კონფიდენციალურ საუბარში მედვედევის პროექტის მიმართ საკმაოდ კატეგორიული იყო: **"მოსკოვს არავინ მიცემს უფლებას, ისე შეცვალოს ევროპული უსაფრთხოების სისტემა, რომ ევროპისთვის საკვანძო მნიშვნელობის საკითხებში ვეტოს უფლება მიიღოს. ისიც საკმარისია, რომ რუსეთს გაერო-ში აქვს ვეტოს უფლება."**

ევროპის უსაფრთხოების რეფორმირებაზე რუსეთის ამბიციები გახდა სწორედ რუსეთსა და ნატო-ს შორის სკანდალის მიზეზი. რუსეთის ელჩმა ალიანსში დმიტრი როგოზინმა 1 დეკემბერს განაცხადა, რომ 4 დეკემბრისთვის დაგეგმილი რუსეთი-ნატო-ს საბჭოს სხდომა შესაძლოა, ჩაიშალოს. ეს უნდა ყოფილიყო საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე საბჭოს პირველი სხდომა რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როდესაც ალიანსმა მოსკოვთან ურთიერთობა გაწყვიტა.

როგოზინის განცხადებით, ალიანსის ერთ-ერთმა წევრმა - კანადამ დაბლოკა სხდომაზე განსახილველი დოკუმენტები და რუსეთ-ნატო-ს თანამშრომლობის პროგრამა მომავალი წლისთვის. ამის მიზეზი, ელჩის განმარტებით, გახდა რუსეთის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში **"ევროპული უსაფრთხოების სისტემის სრულყოფის"** ხსენება, რაც ალიანსის წევრთა ნაწილმა არ მიიღო და ალტერნატიული ფორმულირება ჩამოაყალიბა - **"დისკუსია ეუთო-ს ფორმატთან დამატებით ევროპულ უსაფრთხოებაზე."** როგოზიინის თქმით, ამ ვარიანტს, კანადასთან ერთად, დიდმა ბრიტანეთმა და ბალტიის ქვეყნებმა დაუჭირეს მხარი.

რუსეთის ელჩმა ისიც აღნიშნა, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საბჭოს სხდომაზე ლავროვის დასწრება და თავად სხდომის ჩატარებაც. ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა შესაძლოა, ბრიუსელში ვიზიტზე უარი თქვას, საინფორმაციო საგენტოებმაც გაავრცელეს.

თუმცა სკანდალი ჩაწყნარდა - სამიტის შესაძლო ჩაშლის შესახებ გავრცელებული ცნობა ბრიუსელშიც და მოსკოვშიც უარყვეს. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში კანადის პოზიციას "ცივი ომის გამოძახილი" უწოდეს, თუმცა განაცხადეს, რომ ვიზიტი მაინც შედგება და დოკუმენტების შეთანხმება უკვე ფორუმის მიმდინარეობისას იქნება შესაძლებელი.

მოგვიანებით კანადის საელჩომ რუსული მხარის მიერ მომზადებული დოკუმენტების დაბლოკვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია საერთოდ უარყო. სერგეი ლავროვმა კი დაადასტურა, რომ რუსეთი-ნატო-ს საბჭოს სხდომა 4 დეკემბერს აუცილებლად გაიმართება. ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმაც განაცხადა, რომ სამიტი შედგება. თავის მხრივ, ლავროვმა იმედი გამოთქვა, რომ ალიანსის წევრები ევროპულ უსაფრთხოებაზე რუსეთის ინიციატივას განიხილავენ.

საბიუჯეტო სეკვესტრი - 2009

კვირის დასაწყისში საქართველოს პარლამენტში "საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონში ცვლილებების პროექტი შევიდა. კანონპროექტში "მოკრძალებულად" არის აღნიშნული, რომ მისი მიზანია საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება. უფრო გასაგებ ენაზე კი ეს იმას ნიშნავს, რომ 2009 წლის დეკემბერში საქართველოს ხელისუფლება ბიუჯეტის შესრულების პრობლემის წინაშე დგება და წლის მიწურულს თითქმის დახარჯული ბიუჯეტის სეკვესტრს ახორციელებს.

თამარ ივანიძე

რადგან პრობლემები ჯერ შესრულებაში შეიქმნა და შემდეგ ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ასახვის აუცილებლობა დადგა, ცვლილებები გულისხმობს როგორც შემოსავლების ნაწილის, ისე ხარჯვითი ნაწილის კორექტირებას. თავად ცვლილებების ინიციატორი ხელისუფლება საბიუჯეტო "დაზუსტების" შინაარსს ასე განმარტავს:

აღნიშნული პროექტით სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 6 465.5 მლნ ლარს. ცვლილებების შედეგად, 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 4 945.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით 191.9 მლნ ლარით ნაკლებია.

საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, **სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი მცირდება 120.8 მლნ ლარით და შეადგენს 4 139.2 მლნ ლარს.**

მცირდება სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების საპროგნოზო ჯამური მაჩვენებელიც - 92.3 მლნ ლარით. მთავრობის განმარტებით, ეს გამოწვეულია საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული რეესტრის გრანტების (12.0 მლნ ლარი) ასახვით და დანარჩენი გრანტების მოცულობის 104.3 მლნ ლარით შემცირებით. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის გრანტების საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 463.2 მლნ ლარს.

არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელმა შეადგინა 168.0 მლნ ლარი, რაც დამტკიცებულ წლიურ საპროგნოზო მაჩვენებელზე 45.3 მლნ ლარით ნაკლებია. მათ შორის.

ცვლილებებია სხვა შემოსულობებშიც, რაც საბოლოოდ, ცხადია, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებზე აისახა. ვინ მეტად დაზარალდა და ვინ - ნაკლებად? ვინ შეძლო საკუთარი ინტერესების უკეთ ლობირება და როგორი პრიორიტეტები იყო ბიუჯეტის შემცირების დროს? ამ კითხვებზე პასუხს ისევ და ისევ კონკრეტული კორექტირების ციფრები იძლევა:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები დამტკიცებულ მაჩვენებელთან შედარებით მცირდება 212.6 მლნ ლარით და შეადგენს 6 958.5 მლნ ლარს. საინტერესოა, რომ სეკვესტრის პირობებში არის სფეროები, რომელთა დაფინანსებაც კი არ მცირდება, არამედ - იზრდება.

ცვლილებები, ძირითადად, შემდეგი მიმართულებებით განხორციელდა:

35.0 მლნ ლარი ბიუჯეტიდან მიიმართება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნების ქვეანგარიშზე, საიდანაც უმოკლეს დროში განხორციელდება მეწარმეების მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების უკან დაბრუნება;

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებები იზრდება 22.0 მლნ ლარით, რაც, ძირითადად, მიმართული იქნება ქვეყანაში მომხდარი სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად;

ცხადია, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსების გაზრდა ზოგადად საბიუჯეტო ხარჯების შემცირების ფონზე შემთხვევითი არ უნდა იყოს და ამ დროს, უნებლიეთ, მოსალოდნელი ადგილობრივი არჩევნების თემაც გამოდის წინა პლანზე. თუმცა, როგორც ვთქვით, ხარჯები, ძირითადად, მაინც მცირდება და ხდება ხარჯების ე.წ. "ოპტიმიზაცია", რის შედეგადაც მცირდება შემდეგი დაწესებულებების ასიგნებები: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია - 200.0 ათასი ლარით; საქართველოს მთავრობის კანცელარია - 500.0 ათასი ლარით; საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო - 75.0 ათასი ლარით; საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - 3.0 მლნ ლარით; საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო - 11.6 მლნ ლარით; საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო - 5.0 მლნ ლარით; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო - 25.8 მლნ ლარით და ა.შ.;

"საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, 2009 წლის 1 დეკემბრიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგამოძიებო სამსახური. აღნიშნული ორგანიზაციის რიცხოვნობა (610 ერთეული) და ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება (1 428.0 მლნ ლარი) განხორციელდება შეიარაღებული ძალების, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მოსავლების სამსახურის რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების მუხლით გათვალისწინებული ასიგნებების შემცირების ხარჯზე.

მცირდება საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურების დაფინანსება 5.4 მლნ ლარით, რაც გამოწვეულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოსაშვები სახაზინო ვალდებულებების ემისიის გრაფიკში ცვლილებების შეტანით. კერძოდ, ახალი გრაფიკის მიხედვით, 2009 წლის ყველა ემისია 2010 წელს დაიფარება, შესაბამისად დისკონტის ხარჯიც 2010 წელს იქნება გაწეული.

62.6 მლნ ლარით მცირდება საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისთვის განკუთვნილი ასიგნებები, რაც, ძირითადად, წარმოადგენს ევროგაერთიანების კრედიტის ძირითადი თანხის 24.0 მლნ ევროს შემცირებას (დაგეგმილი იყო ევროგაერთიანების განსაკუთრებული ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში ევროგაერთიანების კრედიტის ძირითადი თანხის წინასწრებით დაფარვა);

წლის განმავლობაში მისაღები საინვესტიციო კრედიტებისა და გრანტების ჩამორიცხვის ტენდენციების გათვალისწინებით განხორციელდა უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებების კორექტირება (შემცირება) 171.8 მლნ ლარით, მათ შორის თანადაფინანსების - 54.0 მლნ ლარით, ხოლო დაფინანსების - 117.8 მლნ ლარით;

საბიუჯეტო სეკვესტრის შესახებ კანონოპროექტს (ანუ 2009 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს) საქართველოს პარლამენტი პარასკევის სხდომაზე განიხილავს და, სავარაუდოდ - დაამტკიცებს კიდეც.

საქართველო IKAO-ს მიმართავს

საქართველომ IKAO-ს მიმართვა გაუგზავნა. წერილში ოფიციალური თბილისი ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციას (IKAO) საქართველოს საჰერო სივრცის დარღვევასა და აფხაზეთთან მიმართებით არსებული ნორმების შეუსრულებლობაზე რეაგირებისკენ მოუწოდებს და იმედოვნებს, რომ რუსეთს კონვენციების უგულვებელყოფისთვის პასუხი მოეთხოვება.

1 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, საჰაერო ნავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კარბელაშვილი **IKAO-ს** ეგიდით პარიზში გამართულ ევროპის საჰაერო ნავიგაციის დაგეგმვის ჯგუფის 51-ე შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა.

კარბელაშვილმა რუსეთის საავიაციო ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებასა და ფრენების უსაფრთხოების უხეშ დარღვევაზე ისაუბრა და შეხვედრის მონაწილეებს მკვეთრი რეაგირებისკენ მოუწოდა. "ჩვენ არათუ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, არამედ IKAO-სგან კატეგორიული გადაწვეტილებები უნდა მოვითხოვოთ და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდანაც", - განაცხადა გიორგი კარბელაშვილმა.

ხოლო **IKAO-ს** ევროპის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, კარსტენ ტეილმ აღნიშნა, რომ ქართულმა ავიაციამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ავიაციის მუშაობაში და ქართული მხარისგან ამჯერადაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს.

"ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვუსმენთ ჩვენს წევრებს და ვცდილობთ, მათ შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ", - აღნიშნა კარსტენ ტეილმ.

რუსმა ოკუპანტებმა სოფელ საბერიოს მკვიდრი სცემეს

რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონის სოფელ საბერიოს მკვიდრი გელა ტაბაღუა სცემეს. "ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციით, ოკუპანტების აგრესია იმან გამოიწვია, რომ ტაბაღუას მობილური ტელეფონი საქართველოს ფიჭური კავშირგაბმულობის ქსელში იყო ჩართული. გელა ტაბაღუა სასტიკად არის ნაცემი.

გვიან ღამით ოკუპანტების მიერ ფიზიკური ანგარიშსწორება სოფელ აჩიგვარაშიც მოხდა. ამჯერად ოკუპანტები სოფლად მცხოვრებ მოხუცებს იმის გამო გაუსწორდნენ, რომ მათგან ალკოჰოლური სასმელი ვერ მიიღეს.

ადგილობრივი ხელისუფლება ვითარების დაძაბვას აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებას უკავშირებს.

"ქრისტიან-დემოკრატები" ვეტერანთა პრობლემების მოგვარებას ითხოვენ

"ქრისტიან-დემოკრატიული" მოძრაობა ხელისუფლებას ვეტერანთა პრობლემების მოგვარებას ეტაპობრივად სთავაზობს. ამის შესახებ "ქრისტიან-დემოკრატების" წარმომადგენელმა გიორგი ახვლედიანმა გუშინ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. ბრიფინგს ვეტერანებიც ესწრებოდნენ. ახვლედიანის თქმით, აღნიშნული ინიციატივა სწორედ მათთან შეთანხმებით შემუშავდა და პირველ ეტაპზე ყველაზე დამსახურებულ პირთა კატეგორია გამოიკვეთა, რომლებიც სხვადასხვა დროს საომარ მოქმედებებში მონაწილეობდნენ. ახვლედიანის განცხადებით, ასეთი დაახლოებით 20 ათასი ადამიანია. მათთვის წლის განმავლობაში ღირსული პენსიის მისაცემად კი, ახვლედიანის ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტში 36 მილიონი ლარის გათვალისწინებაა საჭირო. იმის გამო, რომ ეს ვალდებულება მთავრობას მძიმე ტვირთად არ დააწვეს, ახვლედიანი და "ქრისტიან-დემოკრატები" არსებული კრიზისის გათვალისწინებით, მთავრობას პრობლემის ეტაპობრივად დარეგულირებას სთავაზობენ.

"2010 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე რამდენიმე დღე რჩება და თუკი ხელისუფლებას სურს ბიუჯეტი მეტნაკლებად მაინც იყოს სოციალურ პრობლემებზე ორიენტირებული, უნდა გაითვალისწინოს ჩვენი საზოგადოების ყველაზე დამსახურებული ადამიანების უკიდურესად მძიმე მდგომარეობა და მათი პრობლემების ეტაპობრივად მოგვარება დაიწყოს ", - აცხადებს ახვლედიანი.

საცხოვრებელი კორპუსები დევნილებს

რუსთავში დევნილებისთვის რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების პრეზენტაცია გაიმართა.

პრეზენტაციას ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი კობა სუბელიანი და აფხაზეთის მთავრობის მეთაური გია ბარამია ესწრებოდნენ. "ინტერპრესნიუსის" ცნობით, ყოფილი 162-ე პროფესიული სასწავლებლის შენობა, რომელიც ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გაარემონტა, 64 დევნილ ოჯახზე გადანაწილდება. აქამდე დევნილები რუსთავში საბავშვო ბაღებში და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შენობებში იყვნენ დროებით განსახლებულნი.

თუმცა, 162-ე პროფესიული სასწავლებლის შენობაში შესახლებულ დევნილებს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან და აფხაზეთის მთავრობის მეთაურთან არაერთი შენიშვნა აქვთ. დევნილების თქმით, შენობაში სამუშაოები უხარისხოდ არის შესრულებული, ბინებში არ არის სავენტილაციო სისტემა, ოთახები ინესტება, ნყლის ელექტროგამათბობლებს წყალი გასდის, რაც მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, ბინების საკეტები და ონკანები კი, პირველივე დღეს მწყობრიდან გამოვიდა. ბინებში არა აქვთ სათავსოები, დევნილები ასევე უკმაყოფილოები არიან გადაცემული ბინების ფართის ოდენობით.

კობა სუბელიანმა სამუშაოების შემსრულებელ ფირმა "მშენებელ 80"-ს ხარვეზების დაუყოვნებლივ გამოსწორება კატეგორიულად მოთხოვა.

გია ბარამიამ და კობა სუბელიანმა, რეაბილიტირებული კორპუსები თავად დაათვალიერეს, რის შემდეგაც მიმდებარე ტერიტორიაზე დევნილებთან ერთად გამწვანების აქციაში მიიღეს მონაწილეობა. რუსთავში "დარგე ხე, გაამწვანე შენი გარემო" ფარგლებში 200 ძირი ნეკერჩხლის, კაკლისა და თელას ნერგები დაირგო.

"ჯეოსელი" ჯეოსელ-კონექტსა და ვიდეოთვალზე მომხმარებლებს ფასდაკლებას სთავაზობს

ფიქსური კავშირგაბმულობის კომპანია "ჯეოსელი" ჯეოსელ კონექტსა და ვიდეოთვალზე მომხმარებლებს ფასდაკლებას სთავაზობს.

კომპანიის ინფორმაციით, მსურველს 75-პროცენტიანი საახალწლო ფასდაკლების ფარგლებში, ჯეოსელ კონექტს 55 ლარად, ხოლო ვიდეოთვალის 112 ლარად შეძენის შესაძლებლობა ეძლევა.

ფასდაკლების აქცია 31 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ინტერპრესნიუსი

"მაგთიკომი" აბონენტებისთვის აქციას "აირჩიე საჩუქარი" ახორციელებს

ფიქსური კავშირგაბმულობის კომპანია "მაგთიკომი" აბონენტებისთვის აქციას - "აირჩიე საჩუქარი" ახორციელებს.

კომპანიის ინფორმაციით, "მაგთი" აბონენტებს დეკემბერში სთავაზობს შესაძლებლობას, წუთში 5 თეთრად საყვარელ ნომერთან საუბარს, მობილურ ინტერნეტზე 60-პროცენტიან ფასდაკლებასა და 3 თეთრად SMS-ს შორის სასურველი საჩუქარი აირჩიოს.

მომავალი წლის იანვარში კი აბონენტებს კომპანია საშუალებას აძლევს, საჩუქარი საერთაშორისო ზარებზე 30-პროცენტიან ფასდაკლებას, საყვარელ ნომერთან წუთში 5 თეთრად საუბარსა და 3 თეთრად SMS-ს შორის შეარჩიონ.

"მაგთის" უკვე არსებული აბონენტებისთვის აქციაში ჩართვა 1 ლარი ღირს, ჩასართვად საჭიროა *102# OK კომბინაციის აკრეფა. ხოლო ვინც აწი ჩაერთვება "მაგთის" ქსელში 2 ლარად, ამავე კომბინაციით ანგარიშზე 1 ლარს დაიბრუნებს და აქციაშიც ავტომატურად ჩაერთვება.

აქცია 2010 წლის ბოლომდე გაგრძელდება. აბონენტი საჩუქარს ყოველ თვეში აირჩევს.

ინტერპრესნიუსი

სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებების N23 აუქციონზე დღეს 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ფასიანი ქაღალდების ვადიანობა 175 დღითაა განსაზღვრული.

აუქციონში 4 კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მოთხოვნამ 24 000 000 ლარი შეადგინა. მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 4.830 პროცენტით განისაზღვრა.

ინტერპრესნიუსი

დღეს სახაზინო ვალდებულებების N24 აუქციონი გაიმართა

დღეს სახაზინო ვალდებულებების N24 აუქციონი გაიმართა.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, აღნიშნულ აუქციონზე 10 000 000 ლარის ნომინალური ღირებულების 364 დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

აუქციონში მონაწილეობა 6-მა კომერციულმა ბანკმა მიიღო. მოთხოვნამ 34 900 000 ლარი შეადგინა. მინიმალური საპროცენტო განაკვეთი 7.700 პროცენტით, მაქსიმალური 8.180 პროცენტით, ხოლო საშუალო შეწონილი 7.999 პროცენტით განისაზღვრა.

დღესვე გამართულ N23 სახაზინო ვალდებულებების აუქციონზე ასევე 10 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების, თუმცა 175-დღიანი ვადიანობის ფასიანი ქაღალდები გაიყიდა.

ინტერპრესნიუსი

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები კვლავ გაიზარდა

მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად კვლავ გაიზარდა.

სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, ნიუიორკის ბირჟაზე Light Sweet Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.09 აშშ დოლარით გაიზარდა და 78.37 აშშ დოლარზე დაფიქსირდა.

ლონდონის ბირჟაზე კი Brent Crude მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 0.88 აშშ დოლარით, 79.35 აშშ დოლარამდე გაიზარდა.

ინტერპრესნიუსი

ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების პირველი გამოფენა თბილისში

40 საგამოფენო სტენდზე 80 კომპანიის პროდუქტი გამოიფინა

ნინო ნატროშვილი

თბილისში ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების პირველი საერთაშორისო გამოფენა გაიხსნა. გამოფენა "International Furniture Salon - 09" საგამოფენო ცენტრ "ექსპო-ჯორჯიას" მე-11 პავილიონში 5 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება.

გამოფენაში მონაწილეობენ კომპანიები ავსტრიიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, იტალიიდან, პორტუგალიიდან, საქართველოდან და ჩეხეთიდან. 40 საგამოფენო სტენდზე 80-ზე მეტი კომპანიის პროდუქტი და მომსახურებაა წარმოდგენილი. კერძოდ, სამზარეულოს, საძინებლისა და მისაღები ოთახის ავეჯი; ანტიკვარული ავეჯი; ავეჯი ოფისებისა და სასტუმროებისთვის, ასევე გამაჯანსაღებელი ცენტრებისა და სილამაზის სალონებისთვის; ავეჯის წარმოებისთვის მასალები და აქსესუარები; თანამედროვე ტექნოლოგიები და აღჭურვილობა; სპეციალიზებული გამომცემლობები. დამთვალიერებელს საშუალება აქვს, ნახოს ცნობილი დიზაინერების საავტორო ნამუშევრები და ექსკლუზიური ნივთები, ინტერიერის აქსესუარები და დეკორაციები, ასევე შეიძინოს მისთვის სასურველი ნივთი.

თბილისის მერიის ინიციატივით, გამოფენის ფარგლებში თბილისის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლო ცენტრების პრეზენტაცია და მათ ბაზაზე მომზადებული სპეციალისტების ნამუშევრების ექსპოზიციაც მოეწყობა.

გამოფენაზე ძირითადად უცხოური კომპანიები არიან წარმოდგენილნი. რაც შეეხება ადგილობრივ კომპანიებს, ისინი ავეჯს ძირითადად იმპორტული ნედლეულით ამზადებენ, რადგან ლამინატის ადგილობრივი წარმოება ქვეყანაში არ არსებობს. ქართული ბაზარი თითქმის სრულად აითვისეს თურქულმა კომპანიებმა, რომლებიც თურქული ნაწარმის იმპორტს წარმატებით ახორციელებენ.

თურქული კომპანია "კასტამუნის" პროდუქციას თბილისში ჯგუფი "იონთას ჯორჯია" წარმოადგენს. როგორც "24 საათს" ჯგუფის გაყდვების მენეჯერმა ნუკრი გილიგაშვილმა განუცხადა, კომპანია საქართველოს ბაზარზე 2009 წლის გაზაფხულზე შემოვიდა, თუმცა მცირე ვადის მიუხედავად, გაყიდვების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. კომპანიას საქართველოში ლამინატის და ე.წ. ემ-დე-ეფ-ის დაფები შემოაქვს, რომელსაც ძირითადად კორპორაციული მომხმარებელი ყიდულობს. თუმცა ბოლო დროს საცალო ბაზარი გააქტიურდა. გილიგაშვილი ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების პირველ საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობას დადებითად აფასებს: "ჩვენი მიზანია, საკმაოდ მნიშვნელოვანი გაყიდვები საცალო ბაზარზეც განვახორციელოთ. ამისთვის ამ ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა საკმაოდ მნიშვნელოვანია მომხმარებლის გაცნობის თვალსაზრისით. ამ ეტაპზე საკმაოდ მსხვილი შემკვეთები გვყავს, რომლებიც ადგილობრივ ბაზარზე ავეჯს აწარმოებენ. შპს "ორბელი" და "ლაზიკა" საქართველოს ავეჯის ბაზარზე საკმაოდ სოლიდურ წილს ფლობენ."

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თურქული კომპანია "დენგემა", რომელიც თბილისის ბაზარზე პირველად გამოჩნდა. თუმცა კომპანიას საქართველოში თავისი პროდუქცია უკვე ხუთი წელია შემოაქვს. კომპანიას სახელობითი მაღაზია აქვს ქუთაისში და დაინტერესების შემთხვევაში პროდუქციას "დენგემა" თბილისშიც შემოიტანს. საცალო ბაზარზე კომპანიას სამზრეულოს მაგიდები და სკამები შემოაქვს, რომლის ფასიც 180 დოლარიდან იწყება.

სკამების მწარმოებელი ჩეხური კომპანია "ტონი" ადგილობრივ ბაზარზე ხუთი წელია საქმიანობს. როგორც კომპანიის ხელმძღვანელი საშა გოცირიძე განმარტავს, "ტონის" პროდუქციაზე საქართველოს ბაზარზე კრიზისამდე მზარდი მოთხოვნა არსებობდა. "თბილისის 60 კაფე-რესტორანი "ტონის" პროდუქციას იყენებს.

ჩვენ ძირითადად სკამები, მაგიდები და ტანსაცმლის საკიდები შემოგვაქვს, რომლებიც ძირითადად ჩეხეთში მზადდება. სკამის საწყისი ფასი 100 ლარია."

საშა გოცირიძე მიიჩნევს, რომ ამ ტიპის გამოფენებში მონაწილეობა ძალიან საინტერესოა, რადგან მომხმარებელი პროდუქციას ეცნობა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე უკვე ხუთი წელია მაღაზიას ფლობს, მომხმარებელმა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის პროდუქცია მრავალფეროვანია და ფასიც არ არის მაღალი, ფინანსური კრიზისის ფონზე "ტონის" გაყიდვები 50 პროცენტით შემცირდა. ამ ეტაპზე კი კომპანია თვეში 100 სკამის გაყიდვას ახერხებს.

"ექსპო ჯორჯიას" მე-11 პავილიონში გამართულმა ავეჯის, ინტერიერის დიზაინისა და აქსესუარების პირველმა საერთაშორისო გამოფენამ აჩვენა, რომ ადგილობრივი ბაზრის ამ სეგმენტზე ძირითადად უცხოური კომპანიები საქმიანობენ. ავეჯის საწარმოებლად საჭირო ნედლეულიც კი უცხოეთიდან შემოდის. "24 საათის" კითხვაზე - შესაძლებელია თუ არა, მალე ადგილობრივ ბაზარზე უცხოური და ქართული კაპიტალით დაფუძნებული ერთობლივი კომპანიები ვიხილოთ? - გამოფენის მონაწილეების მხრიდან უარი მივიღეთ, რადგან მიიჩნევენ, რომ საქართველოში ბიზნესის წარმოება საკმაოდ ძვირია.

ქართულმა მხარემ IKAO-ს პრეზიდენტს წერილით მიმართა

საქართველოს საჰერო სივრცის დარღვევასთან დაკავშირებით სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IKAO) პრეზიდენტს ქართულმა მხარემ წერილით მიმართა.

წერილში ოფიციალური თბილისი IKAO-ს აფხაზეთთან მიმართებაში არსებული ნორმების დარღვევის გამო მკაცრი რეაგირებისკენ მოუწოდებს და იმედოვნებს, რომ რუსეთს კონვენციების უგულებელყოფისთვის პასუხი მოეთხოვება.

გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე, საჰაერო ნავიგაციის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი IKAO ეგიდით პარიზში გამართულ ევროპის საჰაერო ნავიგაციის დაგეგმვის ჯგუფის 51-ე შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა.

კარბელაშვილმა რუსეთის საავიაციო ხელისუფლების მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმების იგნორირებასა და ფრენების უსაფრთხოების უხეშ დარღვევაზე ისაუბრა და შეხვედრის მონაწილეებს მკვეთრი რეაგირებისკენ მოუწოდა.

ამასთან, IKAO-ს ევროპის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა კარსტენ ტეილიმ აღნიშნა, რომ ქართულმა ავიაციამ დიდი წვლილი შეიტანა მსოფლიო ავიაციის მუშაობაში და ქართული მხარისგან ამჯერადაც მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღეს.

"ჩვენ ყოველთვის ყურადღებით ვუსმენთ ჩვენს წევრებს და ვცდილობთ, მათ შეძლებისდაგვარად დავეხმაროთ," - აღნიშნა კარსტენ ტეილიმ.

კარბელაშვილის თქმით კი, პარიზის შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ზემოაღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით პასუხი კატეგორიულად მოითხოვა.

"ჩვენ არათუ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია, არამედ კატეგორიული გადაწყვეტილებები უნდა მოვითხოვოთ IKAO-სგან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისგანაც," - განაცხადა გიორგი კარბელაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

სატელევიზიო სივრცე საქართველოში

მფლობელები, მაკონტროლებლები და საკანონმდებლო გარემო

თინა შავაძე

ევროპის სამეზობლო პოლიტიკის (ENP) სამოქმედო გეგმის თანახმად, საქართველომ აიღო ვალდებულება, გაეუმჯობესებინა მედიის, როგორც დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის განვითარებისათვის საჭირო ერთ-ერთი ძირითადი ინსტიტუტის, თავისუფლების ხარისხი. მიმდინარე წლის შემოდგომის ბოლოს ევროკავშირმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ ფუნდამენტური თავისუფლებები, მათ შორის, "აზრის გამოხატვის თავისუფლება და მედიის თავისუფლება საქართველოსთან ორმხრივი დიალოგის პროცესში მნიშვნელოვანი კომპონენტებია".

ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ირლანდიური დახმარებისა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგი" ფარგლებში ანგარიში მოამზადა. ანგარიში მიმოიხილავს საქართველოს სატელევიზიო სექტორში დღეს არსებულ მდგომარეობას, კერძოდ, ნაციონალური ტელეარხების მფლობელების საკითხს, მედიაბაზარს და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას.

საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების კვლევების თანახმად, უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში მედიის თავისუფლება მნიშვნელოვნად შემცირდა. Freedom House-ის 2009 წლის "პრესის თავისუფლების რანგირებაში" საქართველო, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, იმ ქვეყნებს უახლოვდება, სადაც მედია "არ არის თავისუფალი". მართალია, ბეჭდვითი მედია პლურალისტურია, მაგრამ მისი დაფარვის ზონა საკმაოდ მწირია და მხოლოდ დიდ ქალაქებზე ვრცელდება. ორგანიზაციის "რეპორტიორები საზღვრებს გარეშე" ბოლო შეფასების თანახმად, მედიის თავისუფლების ხარისხი 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოდნავ გაუმჯობესდა, თუმცა, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ძირითადი შეფასებებით, დღეს საქართველოში მედია იმაზე ნაკლებად თავისუფალია, ვიდრე ის 2003 წელს იყო.

სამი ძირითადი ნაციონალური არხი - "რუსთავი 2", "იმედი" და პირველი საზოგადოებრივი არხი - ნაკლებად დაინტერესებული ჩანს ისეთი გადაცემების გაშვებით, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას, მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის მნიშვნელოვან საკითხებზე დებატები გაიმართებოდა. პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ ამ არხების საინფორმაციო პროგრამები ძალიან ჰგავს ერთმანეთს. ეს კი ეჭვს აჩენს, რომ მათი ახალი ამბები გარკვეული კოორდინაციით მზადდება.

ნაციონალური არხები არა მხოლოდ საინფორმაციო გადაცემებით ჰგვანან ერთმანეთს, არამედ იმითაც, რომ ხელისუფლების ქმედებების კრიტიკას ერიდებიან. ისინი ასევე ერთნაირად არ უთმობენ ეთერს საგამომძიებლო სიუჟეტებსა და გადაცემებს. არასამთავრობო ორგანიზაცია "ინტერნიუსის" განვითარების დირექტორმა თამუნა კაკულიამ ეროვნულ მაუწყებლობების საინფორმაციო გადაცემებს "სრულიად იდენტური და მართვადი" უწოდა. "დღევანდელ სინამდვილეში სამაუწყებლო არხებს შორის სერიოზული კონკურენცია არ არსებობს," - აღნიშნა ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" მედიის მხარდაჭერის პროგრამის მენეჯერმა ხატია ჯინჯიხაძემ. "როდესაც რეგიონებში მომხდარი ამბავია გასაშუქებელი, სამივე არხიდან ერთი კორესპონდენტია რეგიონში მივლენილი. ადრე სამივე არხი თავის ჟურნალისტს აგზავნიდა და სამივე ცდილობდა, ესა თუ ის ამბავი სხვაზე უკეთესად გაეშუქებინა. დღეს ხშირად ნახავთ სიუჟეტებს, რომელთა ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანი კადრზე დადებული განსხვავებული ხმებია. ნაციონალურ არხებზე იდენტურია არა მარტო ახალი ამბები, არამედ სიუჟეტების თანმიმდევრობაც".

ამ აზრს "რუსთავი 2"-ის საინფორმაციო პროგრამების ყოფილი დირექტორი და ამჟამად დამოუკიდებელი სტუდია "GNS"-ის თანადამფუძნებელი თამარ რუხაძეც იზიარებს. მისი თქმით, "წამყვან არხებზე ექსკლუზიური სიუჟეტები არ არის. მათი მომზადებისას, როგორც წესი, ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები გამოტოვებულია".

მედიის მომხმარებლები და დამოკიდებულება მის მიმართ

ტელევიზია ყველაზე გავლენიანი მედიასექტორია საქართველოში. ის ადგენს პოლიტიკურ დღის წესრიგს და ამით მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. საქართველოს მოქალაქე ტელევიზორის წინ საშუალოდ 3 საათსა და 58 წუთს ატარებს (ევროპის მოქალაქე - 3 საათსა და 45 წუთს). "საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის" (IRI) საქართველოს ოფისის 2009 წლის ივნისის საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, ქართველების 96 პროცენტი პოლიტიკურ ინფორმაციას ტელევიზიით იღებს. მედიის მიმართ ნდობა საკმაოდ მაღალია - გამოკითხულთა უმრავლესობა ტელევიზიით გადმოცემულ ახალ ამბებს სანდო ინფორმაციად მიიჩნევს. პროცენტი მედიის მუშაობას დადებითად აფასებს. უარყოფითი აზრი 28 პროცენტს აქვს. მედიაზე უფრო მაღალი ნდობით მხოლოდ ეკლესია, ჯარი და პოლიცია სარგებლობს. ქართველების 65 პროცენტი დარწმუნებულია, რომ მასობრივი მედიის საშუალებები მთავრობის კონტროლისგან სრულიად (20 პროცენტი) ან ნაწილობრივ მაინც თავისუფალია (45 პროცენტი). 16 პროცენტი მიიჩნევს, რომ მედია ბოლომდე თავისუფალი არ არის; 3 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ის საერთოდ არ არის თავისუფალი. "მედიის მომხმარებლებმა არ იციან, თუ ვინ ფლობს და ვინ აკონტროლებს სატელევიზიო არხებს, - აღნიშნა თამუნა კაკულიამ, - ბევრი ამას არც აქცევს დიდ ყურადღებას. მათ არ იციან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის გამჭვირვალობა".

საქართველოს სატელევიზიო არხების საბაზრო წილი:
გამოკითხულია 4 წელზე ზევით ასაკის ურბანული მოსახლეობა

არხი	2009 წლის პირველი ნახევარი
რუსთავი 2 (ეროვნული)	35,61%
იმედი (ეროვნული)	25,43%
1 არხი (ეროვნული,საზოგადო)	8,25%
კავკასია	3,99%
საქართველო	3,44%
მზე (ეროვნული)	3,40%
მაესტრო	2,67%
ევრიკა	1,88%
აჭარა	1,87%
პირველი სტერეო	1,05%
Music Box	0,77%
სხვა ქართული არხები	1,42%
სხვა რუსული არხები	5,95%
სხვა უცხოური არხები	4,27%

საქართველოს ტელესივრცის საერთო სურათი

საქართველოს სატელევიზიო ბაზარზე ორი კერძო ტელეარხი - "რუსთავი 2" და "იმედი" -დომინირებს. 2009 წლის პირველი 6 თვის მონაცემებით, საბაზრო წილის 35,6%-ით "რუსთავი 2" ქვეყანაში ყველაზე პოპულარული არხია. მას მოსდევს "იმედი" 25,4% საბაზრო წილით. ორივე არხს ერთად ბაზრის 61 პროცენტი უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ტელევიზორის წინ გატარებული ყოველი 100 წუთიდან 61-ს საქართველოს მოქალაქეები "რუსთავი 2-სა" და "იმედს" უთმობენ.

პირველი საზოგადოებრივი არხი საბაზრო წილის მხოლოდ 8 პროცენტს ფლობს და მასზე დაკისრებული ძირითადი ფუნქციის სრულფასოვნად შესრულებას - საზოგადოების კრიტიკული და ობიექტური ინფორმაციით უზრუნველყოფას - ვერ ახერხებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციას საკუთარი არხი აქვს ("აჭარა"). ის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ფინანსდება და ყოველწლიურად საშუალოდ 5 მილიონ ლარს იღებს. ამ ტელევიზიის თანამშრომლები საჯარო მოხელეები არიან.

"კავკასია" და "მაესტრო" მცირებიუჯეტიანი არხებია, რომელთა დაფარვის ზონა მხოლოდ თბილისზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება. ეს ორი არხი ერთად ბაზრის მხოლოდ 6,7 პროცენტს ფლობს.

რამდენიმე მცირე, ადგილობრივი საკაბელო არხი რეგიონებშიც ფუნქციონირებს. საინფორმაციო პროგრამებს ყველა მათგანი ამზადებს. ამ არხების შემოსავლის ძირითადი წყარო არა რეკლამა, არამედ ნეკროლოგები და სხვა სახის განცხადებებია. ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში მათ ნაწილობრივ ადგილობრივი ხელისუფლება აფინანსებს.

სატელევიზიო არხების დაფინანსება

კერძო ტელევიზიებმა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ 2008 წელს მათი შემოსავლები 80,8 მილიონი ლარი იყო. საკაბელო ლიცენზიის მფლობელების შემოსავალმა იმავე წელს 11,3 მილიონი ლარი შეადგინა. საბოლოო ჯამში, საქართველოს სატელევიზიო არხების ოფიციალურად გაცხადებული შემოსავლები 2008 წელს 92 მილიონ ლარზე მეტი იყო. ამ მონაცემებში არ შედის სატელიტით მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე კომპანიების შემოსავლები. თუ ჩავთვლით, რომ 2008 წელს სატელევიზიო რეკლამებზე 35 მილიონი ამერიკული დოლარი (58 მილიონი ლარი) დაიხარჯა, გამოდის, რომ საქართველოს ტელევიზიებმა, სულ მცირე, 34 მილიონი ლარი (20,2 ამერიკული დოლარი) სხვა, უცნობი წყაროებიდან მიიღეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ბუნებრივი გაზის გაყიდვის მიზნით აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხვალ სრულდება

"საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციაში" ბუნებრივი გაზის გაყიდვის მიზნით აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხვალ სრულდება.

კორპორაციის ინფორმაციით, აუქციონზე გაიყიდება ნინოწმინდის საბადოდან მოპოვებული 1 მლნ კუბური მეტრი გაზი.

აუქციონის პირობების თანახმად, გაზის მიწოდება განხორციელდება ნინოწმინდის სათავო ნაგებობაზე, სოფელი პატარძეულში არსებულ საზომ პუნქტში, აუქციონში გამარჯვებულთან შესაბამისი გაზის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 დღის განმავლობაში.

1 000 კუბური მეტრი გაზის საწყისი ღირებულება 230 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო აუქციონის ბიჯი 5 აშშ დოლარს.

გაზის გაყიდვის მიზნით აუქციონი 4 დეკემბერს, 16:00 საათზე გაიმართება.

ნინოწმინდის საბადოდან გაზის მოპოვების სამუშაოებს კომპანია "კანარგო ენერჯი კორპორეიშენი" აწარმოებს.

ინტერპრესნიუსი

გარესაბირჟო ფიქსინგზე "სახალხო ბანკის" 45 014 ფასიანი ქაღალდი თითო 0.050 ლარად გაიყიდა

გარესაბირჟო ფიქსინგზე "სახალხო ბანკის" 45 014 ფასიანი ქაღალდი განსაკუთრებით დაბალ ფასად, თითო 0.050 ლარად გაიყიდა.

ბირჟის გარეთ ვაჭრობაზე "სახალხო ბანკის" აქციებზე 5 გარიგება დაიდო. გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 2 251 ლარი შეადგინა.

ფიქსინგის წესით ბანკის როგორც მინიმალური ასევე მაქსიმალური ფასი 0.050 ლარით განისაზღვრა.

"სახალხო ბანკი" სულ 1 572 110 000 ფასიან ქაღალდს ფლობს, საიდანაც 1 434 047 240 აქცია, ანუ 91.218 პროცენტი ახლად დაარსებულმა საინვესტიციო ფონდმა "Liberty Investment"-მა 15 მლნ აშშ დოლარად შეიძინა.

ინტერპრესნიუსი

დეკემბრის პირველ ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" 1 950 ფასიანი ქაღალდი გაზრდილი ფასით გაიყიდა

თბილისის საფონდო ბირჟაზე დეკემბრის პირველ ვაჭრობაზე "საქართველოს ბანკის" 1 950 ფასიანი ქაღალდი გაზრდილი ფასით გაიყიდა.

დღევანდელ სავაჭრო სესიაზე ბანკის აქციებზე 2 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ კი 26 715 ლარი შეადგინა. "საქართველოს ბანკის" ერთი ფასიანი ქაღალდი დღეს 13.700 ლარი ღირდა.

თბილისის საფონდო ბირჟაზე ნოემბრის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" 10 325 აქცია გაიყიდა, რაც ოქტომბერში გაყიდულთან შედარებით 1 259 ფასიანი ქაღალდით ნაკლებია.

გასული თვის განმავლობაში "საქართველოს ბანკის" აქციებზე 25 გარიგება დაიდო, გაყიდული აქციების ჯამურმა ღირებულებამ 132 825 ლარი შეადგინა.

ინტერპრესნიუსი

"თბილისი-გარდაბნის" მარშრუტზე ახალი სარკინიგზო შემადგენლობა იმოძრავებს

გარდაბნის რკინიგზის სადგურზე დღეს, 12:00 საათზე "თბილისი-გარდაბნის" ახალი შემადგენლობის პრეზენტაცია მოეწყობა.

დღემდე "თბილისი-გარდაბნის" მარშრუტზე მგზავრებს ძველი მატარებელი ემსახურებოდა, ხვალიდან კი აღნიშნულ მარშრუტზე ახალი შემადგენლობა იმოძრავებს და მგზავრებს კომფორტული მატარებელი მოემსახურება.

პრეზენტაციას საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი ეზუგბაია და ქვემო ქართლის გუბერნატორი დავით კირკიტაძე დაესწრებიან.

ინტერპრესნიუსი

ვახტანგ მაისაიას საქმეს სასამართლო დახურულ სხდომებზე განიხილავს

რუსეთის სპეცსამსახურების სასარგებლოდ ჯაშუშობაში ბრალდებული სამხედრო ექსპერტის, ვახტანგ მაისაიას საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ გუშინ დაიწყო. სასამართლო პროცესი დახურულ რეჟიმში წარიმართება.

როგორც ვახტანგ მაისაიას ადვოკატი ნათია კორკოტაძე აცხადებს, სასამართლოში გუშინ მოსამზადებელი სხდომა ჩატარდა და მისი დაცვის ქვეშ მყოფმა საქმის სრულად გაცნობა მოითხოვა.

"მოსამართლე ზვიად ესებუამ დააკმაყოფილა მაისაიას თხოვნა და საქმის სრულად გასაცნობად მას 10-დღიანი ვადა მისცა. საქმე ხუთტომიანია და, ვინაიდან, მას საიდუმლო გრიფი ადევს, განსასჯელი მას სრულად არ იცნობს," - აცხადებს ვახტანგ მაისაიას ინტერესების დამცველი. მისივე ინფორმაციით, სასამართლო პროცესი 10 დეკემბერს განახლდება. **ინტერპრესნიუსი**

ნაკლები ხარჯი და სწრაფი მართლმსაჯულება - სასამართლოების გაერთიანების მიზანი

სასამართლო რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი სასამართლოების გაერთიანება გრძელდება. გუშინ კიდევ სამი გაერთიანებული რაიონული სასამართლო შეიქმნა.

ნაკლები ხარჯი და უფრო სწრაფი მართლმსაჯულება - ასეთ შედეგს ელოდება სასამართლო ხელისუფლება ამ გაერთიანებებისგან.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შემადგენლობაში ხარაგაულისა და თერჯოლის მაგისტრატი სასამართლოები შევიდნენ. თელავის რაიონული სასამართლოს ტერიტორიულ დაქვემდებარებაში კი ახმეტისა და გურჯაანის მაგისტრატი სასამართლოები. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ დმანისისა და მარნეულის მაგისტრატი სასამართლოები მოიცვა.

2009 წელს საქართველოში სასამართლოების გამსხვილების შედეგად სულ 8 გაერთიანებული და 16 მაგისტრატი სასამართლო შეიქმნა. ამბროლაურის (ონის მაგისტრატი სასამართლო), ოზურგეთის (ლანჩხუთისა და ჩოხატაურის მაგისტრატი სასამართლოები), ახალციხის (ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოები), ბათუმის საქალაქო (ქობულეთის მაგისტრატი სასამართლო), ხელვაჩაურის (შუახევის, ქედის, ხულოს მაგისტრატი სასამართლოები) რაიონული სასამართლოები 2009 წელს გაერთიანდნენ.

რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, ამჟამინდელი მდგომარეობით, 178 მოსამართლე ახორციელებს უფლებამოსილებას. აქედან 64 მოსამართლე მართლმსაჯულებას თბილისის საქალაქო სასამართლოში აღასრულებს.

რეფორმის კონცეფციის თანახმად, 2010 წლისთვის საქართველოში 22 რაიონული და 44 მაგისტრატი სასამართლო იქნება. ამჟამად სასამართლო სისტემაში 14 გაერთიანებული რაიონული (საქალაქო) და 24 მაგისტრატი სასამართლო მოქმედებს.

ყველა გაერთიანებული სასამართლო გარემონტდა და უახლესი ტექნიკით აღიჭურვა. **საკუთარი ინფორმაცია**

ეროვნული არქივის ელექტრონულ პროგრამაში ხაშურის არქივიც ჩაერთო

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონულ სისტემაში ხაშურის ადგილობრივი არქივი ჩაერთო.

მომსახურების ელექტრონული პროგრამით ამ დროისათვის სარგებლობს თბილისში მდებარე სამი ცენტრალური არქივი, თბილისის არქივი, ასევე, ქუთაისის, სამტრედიისა და თელავის ადგილობრივი არქივები. ამ სისტემაში ეტაპობრივად, ეროვნული არქივის ყველა ადგილობრივი ოფისი ჩაერთვება.

ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით ქუთაისის, სამტრედიის, თელავისა და ხაშურის მაცხოვრებლებს შეუძლიათ თბილისში მდებარე ცენტრალური და ადგილობრივი არქივებიდან მიიღონ მათთვის საჭირო ცნობები. გარდა ამისა, საარქივო დოკუმენტის მისაღებად ამ რაიონებში ჩასვლა აღარც თბილისელებს სჭირდებათ.

ეროვნული არქივის მომსახურების ელექტრონული პროგრამის დანერგვით მოქალაქეთა მომსახურება კიდევ უფრო სწრაფი და კომფორტული გახდა. სპეციალური პროგრამა ერთი მხრივ, მოქალაქეს უმარტივებს მომსახურების მიღებას, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აჩქარებს დოკუმენტის მოძიების შიდა პროცედურებს.

ეროვნულ არქივში სხვადასხვა სახის მომსახურების მისაღებად მისულ მოქალაქეს განცხადების ხელით შევსება და პირადობის მოწმობის ასლის წარდგენა აღარ უწევს. მათ მოთხოვნას მოქალაქეთა მისაღების თანამშრომლები ელექტრონულ პროგრამაში თავად არეგისტრირებენ. ამასთან, მომსახურების პროგრამას წვდომა აქვს სამოქალაქო რეესტრის ბაზასთან, საიდანაც პიროვნების სარეგისტრაციო მონაცემების თაობაზე ინფორმაციას ონლაინ რეჟიმში იღებს. სპეციალური პროგრამა ეროვნულმა არქივმა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დახმარებით შეიმუშავა. **საკუთარი ინფორმაცია**

დიმიტრი შაშკინი პარლამენტში დაიბარეს

უალოეს დღეებში, პარლამენტში სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი დიმიტრი შაშკინი მივა. შაშკინი საკანონმდებლო ორგანოში ანტიკრიზისულმა საბჭომ დაიბარა.

"ჩვენ გვსურს, პირადად მისგან მივიღოთ ინფორმაცია და განმარტებები იმ პრობლემების თაობაზე, რომელიც სასჯელაღსრულების დანესებულებებში არსებობს. ამასთან, გვაინტერესებს, კონკრეტულად რა ცვლილებების გატარებას გეგმავს ეს უწყება," - აცხადებს ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარე გია თორთლაძე. **პირველი**

ვის ეხება პრეზიდენტის შეწყალება

თამარ კაკიტაძე

მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გადაწყდა ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების ჩატარება, ქვეყანაში მაშინვე გავრცელდა ინფორმაცია პატიმართა წინასაარჩევნო შეწყალების შესახებ. მსჯავრდებულთა ახლობლები (მათი რიცხვი კი არც ისე მცირეა -სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, დღეს საქართველოში დაახლოებით 18 ათასი მსჯავრდებულია), სასწრაფოდ შეუდგნენ პრეზიდენტის სახელზე შეწყალების თხოვნის წერილების გაგზავნას. შეწყალებას ითხოვს პატიმართა დიდი ნაწილი -განურჩევლად სასჯელის სიმძიმისა, მისჯილი წლების რაოდენობისა თუ შემამსუბუქებელი გარემოებებისა.

პრეზიდენტის შეწყალების იმედის გაჩენის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია ბოლო წლების სტატისტიკა, რითაც დასტურდება, რომ არჩევნების წინ შეწყალებულთა რაოდენობა საგრძნობლად მატულობს.

2006 წელს, როდესაც ქვეყანაში 15 464 მსჯავრდებული იყო, პრეზიდენტმა სულ 118 მსჯავრდებული შეიწყალა. ოთხჯერ განხორციელებული შეწყალება მაშინ ძირითადად, მამაკაცებს და მხოლოდ 3 ქალს შეეხო, ამ სიაში მაშინ არც ერთ არასრულწლოვანი არ მოხვედრილა.

2007 წელს (18 310 მსჯავრდებული იყო) პრეზიდენტმა შეწყალების აქტს ხუთჯერ მოაწერა ხელი, აქედან სამი შეწყალების დროს მხოლოდ 28 მსჯავრდებული გათავისუფლდა, ხოლო ბოლო ორი შეწყალება, რომელიც 2007 წლის 23 ნოემბერს და 31 დეკემბერს განხორციელდა ციხე-კოლონიები 984 პატიმარმა დატოვა. აქედან 26 არასრულწლოვანი იყო, 40 კი ქალი მსჯავრდებული.

შეწყალების მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო 2008 წელი. ამ წელს ქვეყანაში საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, შესაბამისად, ყველაზე უხვშეწყალებიანი ეს წელი გამოდგა. 2008 წელს 16-ჯერ გამოიცა შეწყალების აქტი და 18 491 მსჯავრდებულიდან სასჯელაღსრულების დაწესებულება 2 ათას 611 პატიმარმა დატოვა. აქედან 165 ქალი იყო, 38 კი არასრულწლოვანი.

წელს შეწყალების აქტის რაოდენობის კლებასთან ერთად შეწყალებულთა რიცხვმაც დაიკლო. ჯერჯერობით მხოლოდ ოთხჯერ განხორციელებული შეწყალებიდან ციხე 843 მსჯავრდებულმა დატოვა, აქედან 19 ქალმა და 13 არასრულწლოვანმა. პრეზედენტმა 156 პატიმარი ბოლოს გიორგობის დღესასწაულზე შეიწყალა. მათგან 131-მა საპატიმრო დატოვა, 19-ს დარჩენილი სასჯელი გაუნახევრდა, 6-ს კი პატიმრობის ვადა ერთი წლით შეუმცირდა.

ჩვენი ინფორმაციით, შეწყალების კომისიის თავმჯდომარე ელენე თევდორაძემ პრეზიდენტს უკვე გაუგზავნა შესაბამისი წერილი, 20-დან 24 დეკემბრამდე შეწყალების კომისიის სხდომის დანიშვნის თაობაზე..

"აქამდე 2009 წელს შემოსული ყველა განცხადის განხილვა ვერ მოხერხდა, ამიტომ პრეზიდენტთან გავაგზავნე წერილი შეწყალების კომისიის სხდომის დანიშვნის და ჩატარების თაობაზე. თუ პრეზიდენტი თანახმა იქნება, საახალწლოდ კიდევ ერთი შეწყალება განხორციელდება," - "24 საათთან" საუბრისას განაცხადა ელენე თევდორაძემ.

ელენე თევდორაძის თქმით, კანონის შესაბამისად, 10 დღეში გახდება ცნობილი, დანიშნავს თუ არა მიხეილ სააკაშვილი სხდომას და შედგება თუ არა საახალწლო შეწყალება.

შეწყალება ამჯერად, ძირითადად იმ პატიმრებს შეეხებათ, რომელთა განცხადებებიც კომისიაში მიმდინარე წლის სექტემბრის, ოქტომბრისა და ნოემბრის თვეში შევიდა. შეწყალების კომისიის თავმჯდომარის თქმით, დეკემბერში პატიმართა შეწყალების განცხადებების მიღება შეწყდა..

რაც შეეხება მომავალ წელს მოსალოდნელ შეწყალებებს, ელენე თევდორაძეს ამ თემაზე ჯერჯერობით ზუსტი ინფორმაცია არ აქვს.

"ეს პრეზიდენტის გადასაწყვეტია. არ არის გამორიცხული, რომ შეწყალება საშობაოდაც დაიგეგმოს. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მსჯავრდებულთა სიის წარსადგენად," - ამბობს კომისიის თავმჯდომარე.

გამართლდება თუ არა მსჯავრდებულთა და მათი ახლობლების მოლოდინი და დაიგეგმება თუ არა ადგილობრივი არჩევნებისთვის ფართომასშტაბიანი შეწყალება, ამაზე შეწყალების კომისიის თავმჯდომარისთვის არაფერია ცნობილია: **"ესეც პრეზიდენტის პრეროგატივაა,"** - გვითხრა ელენე თევდორაძემ.

საქართველოს კანონმდებლობით, შეწყალებას ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტი ინდივიდუალურად, განსაზღვრული პირის მიმართ. შეწყალების აქტით, მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისაგან, მისთვის დანიშნული სასჯელი შემცირდეს ან შეიცვალოს უფრო მსუბუქი სასჯელით. გარდა ამისა, კანონმდებლობა ქვეყნის პირველ პირს ჰუმანური აქტის განხორციელებაში სხვა შეზღუდვას არ უწესებს. თუმცა, ვიდრე შესაწყალებელ მსჯავრდებულთა სია პრეზიდენტს წარედგინება, პატიმართა საქმეებს შეწყალების კომისია განიხილავს, რის შემდეგაც კომისიის წევრები თითოეულ პატიმარზე გადაწყვეტილებას იღებენ და პრეზიდენტს შესაწყალებელ პატიმართა სიას უგზავნიან.

ელენე თევდორაძის თქმით, მართალია, პრეზიდენტს შეუძლია ინდივიდუალურად ნებისმიერი პატიმარი შეიწყალოს, თუნდაც ათი ადამიანის მკვლელი, მაგრამ, კომისია ცდილობს შეწყალების რეკომენდაცია გაუწიოს ისეთ პატიმრებს, რომლებიც მსჯავრდებულები არ არიან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში - განზრახ მკვლელობა დამაძიმებელ გარემოებაში, სიმთვრალის დროს ჩადენილი ავარია, რამაც გამოიწვია ადამიანის სიკვდილი, ნარკოტიკების რეალიზაცია და ასე შემდეგ. ამასთან, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, მსუბუქი დანაშაულისთვის მსჯავრდებულს დადებითი რეკომენდაციის მისაღებად, მოხდილი უნდა ჰქონდეს სასჯელის 1/3, ხოლო მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებულს სასჯელის ნახევარი. შეწყალების მსურველებს ელენე თევდორაძე კიდევ ერთ განმარტებას აძლევს: ხშირ შემთხვევაში, შეწყალება არ ვრცელდება იმ მსჯავრდებულებზე, რომლებსაც მთლიანი სასჯელის ნახევარი საპროცესო გარიგების საფუძველზე არასაპატიმრო ღონისძიებით აქვთ შეცვლილი.

იმისთვის, რომ პატიმარმა პრეზიდენტის შეწყალება მიიღოს, აუცილებელია მას ჰქონდეს სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლების დადებითი დახასიათება.

თუ შეწყალების მსურველ მსჯავრდებულთა მონაცემები ამ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, როგორც ელენე თევდორაძემ გვითხრა, იქმნება საერთო ოქმი იმ განცხადებების, რომელიც განხილვას არ ექვემდებარება.

კომისიის ასეთი სიფრთხილე გამოწვეულია იქიდან, რომ შეწყალებულმა პატიმარმა ახალი დანაშაული არ ჩაიდინოს და კვლავ ციხეში არ მოხვდეს. სხვათა შორის, შეწყალება ერთი და იმავე პატიმარზე ორჯერ არ ვრცელდება (ვთქვათ, ერთხელ თუ გაუნახევრდა სასჯელი და შემდეგ შეწყალებით გათავისუფლებას ითხოვს), კომისიაში თურმე ასეთი განცხადებებიც მრავლად შედის.

მიუხედავად იმისა, რომ შეწყალება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჰუმანური აქტია და მის მიღებას ყველა მსჯავრდებული ციხეში მოხვედრის დღიდანვე ცდილობს, ეს აქტი არც ისე იოლი დასამსახურებელია.

შეწყალებაზე უარის მიღების შემთხვევაში, პასუხი აუცილებლად უნდა მიუვიდეს განცხადების ავტორს. შემდეგი განცხადების დაწერის უფლება მას ექვსი თვის შემდეგ ეძლევა.

ხუთი წლით შემცირებული სასჯელი

"განსასჯელისთვის გამოტანილი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ხოლო, ყოველი ეჭვი უნდა გადაწყდეს მსჯავრდებულის სასარგებლოდ," - სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ამ მოთხოვნით იხელმძღვანელა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც, მსჯავრდებულ თენგიზ ჩაჩანიძეს სასჯელი ხუთი წლით შეუმსუბუქდა.

საქმე ისაა, რომ წარსულში სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებულ თენგიზ ჩაჩანიძეს, ძებნილობაში ჩადენილი განზრახ მკვლელობისა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვისთვის ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ 19-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. ჩაჩანიძის ადვოკატმა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა და თავისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უდანაშაულოდ ცნობა მოითხოვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულმა ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის თანამშრომლებთან მომხდარი კონფლიქტის დროს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დაჭრა რამდენიმე პირი, რომელთაგან ერთ-ერთი მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ მსჯავრდებულის ადვოკატის საჩივარი უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა. თუმცა, განაჩენში მსჯავრდებულისათვის სასიკეთო ცვლილება შეიტანა. სასამართლომ იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნით, რომლის მიხედვითაც, გამოტანილი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველი ეჭვი მსჯავრდებულის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქმეში არ არსებობდა უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რითაც მსჯავრდებულის მხრიდან დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობა არ დასტურდებოდა. სასამართლომ ჩაჩანიძეს ამ დანაშაულისათვის სასჯელი მოუხსნა.

თუმცა, სისხლის სამართლის პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მსჯავრდებულმა თენგიზ ჩაჩანიძემ ჩაიდინა ხულიგნური ქვენა გრძნობით ორი და მეტი პირის მკვლელობის მცდელობა. სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნით, რომლის მიხედვით, დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე სისხლის სამართლის კანონის რამდენჯერმე ცვლილების შემთხვევაში, გამოიყენება ყველაზე მსუბუქი კანონი. თენგიზ ჩაჩანიძეს სასჯელი კოდექსის 1960 წლის რედაქციის შესაბამისად დაედო და 14-წლიანი პატიმრობა მიესაჯა. გარდა ამისა, ამავე განაჩენით, მსჯავრდებული იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებისთვის სასჯელისაგან 2007 წლის "ამნისტიის შესახებ" კანონის თანახმად გათავისუფლდა.

საკუთარი ინფორმაცია

"ნევის ექსპრესის" საქმეში ჯიჰადის კვალი გაჩნდა

მარიკა იაშვილი

"ნევის ექსპრესის" აფეთქებიდან ერთი კვირა გავიდა და გამოძიებას ახალი ვერსიები აქვს. ამ დრომდე ოფიციალურ სტრუქტურებში აცხადებდნენ, რომ დივერსიული აქტის უკან რუსი ნაციონალისტები იდგნენ, თუმცა გაჩნდა ვერსია, რომ მომხდარი ჩეჩენი მოჯაჰედების მიერ განხორციელებული დივერსიული აქტია. ინტერნეტ გვერდზე kaukascenter.com, რომელიც ჩეჩენი სეპარატისტების ტრიბუნად მიიჩნევა, კავკასიელ მოჯაჰედთა მეთაურების სახელით რედაქციაში მისული წერილი გამოქვეყნდა. წერილში ნათქვამია, რომ დივერსიული აქტი იმ ოპერაციის ნაწილია, რომელიც რუსეთის სტრატეგიულ ობიექტებზე თავდასხმების განხორციელებას ითვალისწინებს.

"ვაცხადებთ, რომ ეს ოპერაცია ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაგეგმილი და წარმატებით განხორციელებული დივერსიის ფარგლებში ჩატარდა. ეს ოპერაცია კავკასიის იმარატის (Имарат) ამირის დოკუ უმაროვის ბრძანების შესრულებაა," - ნათქვამია წერილში.

წერილში ისიც არის ნათქვამი, რომ დივერსიული აქტები რკინიგზაზე, ნავთობსადენებსა და გაზსადენებზე და მთლიანად რუსულ ინფრასტრუქტურაზე მომავალშიც გაგრძელდება და რამდენიმე ტერაქტზე მუშაობა უკვე დაწყებულია.

"ვაცხადებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ რუსეთის ტერიტორიაზე ჯიჰადის კიდევ უფრო გასავრცელებლად. ჩვენი მიზანია, გავანადგუროთ მისი ეკონომიკა, რათა რუსეთს კავკასიის ნედლეულის ბაზად გამოყენების საშუალება აღარ ქონდეს," - ასე ემუქრებიან წერილში რუსეთის ჩეჩენი მოჯაჰედები.

განხორციელებულ დივერსიულ აქტებს ჩეჩენი ბოევიკები კანონიერ შურისძიებად მიიჩნევენ და ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმას არ აპირებენ. ისინი რუსეთის მოსახლეობას მთავრობის მთავარ ხელშემწყობად მოიაზრებენ, თუმცა, მიუხედავად ამისა, რუს ხალხს პირდაპირ მტრად არ მიიჩნევენ და თავის სამიზნედ არ აცხადებენ. როგორც მოჯაჰედები წერილში წერენ, ეს დივერსიები იმ დრომდე გაგრძელდება, ვიდრე რუსული "სიკვდილის ესკადრონები" კავკასიაში თარეშს არ შეწყვეტენ. "ჩვენ ვიტოვებთ უფლებას, განვახორციელოთ ადეკვატური საბრძოლო ოპერაციები რუსეთის "სამოქალაქო" მოსახლეობის წინააღმდეგ," - ნათქვამია წერილში.

თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს საიტზე გამოქვეყნებული ინფორმაცია, ამის შემოწმება შეუძლებელია, რადგან რუსეთის შესაბამის სამსახურებში აღნიშნულ საკითხზე კომენტარს არ აკეთებენ.

ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ უმაროვი, რომელიც რუსეთსა და ჩეჩნეთში მსხვილმასშტაბიანი ტერაქტების მოწყობის გამო მოსკოვმა ნომერ პირველ ძებნილად გამოაცხადა, მთებში იმალება. ჩეჩნეთის შსს-ს ცნობით, ამჟამად უმაროვს ბოევიკთა მცირე ჯგუფი ახლავს და მას მსგავსი ტერაქტების მოსაწყობად და სამართავად საკმარისი გავლენა არ გააჩნია.

ამას ისიც ემატება, რომ "ნევის ექსპრესის" აფეთქებაზე პასუხისმგებლობის შესახებ უკიდურესად მემარჯვენე რუსული ნაციონალისტური დაჯგუფების "კომბატ-18"-ის წევრებიც საუბრობდნენ.

მატარებლის აფეთქების საქმე ტერორიზმის მუხლით არის აღძრული. მომხდარში კავკასიელთა მონაწილეობის ვერსია აფეთქებიდან ძალიან მალე გაჩნდა. კომპანია "რუსული რკინიგზის" ხელმძღვანელ ვლადიმერ იაკუნინის თქმით, ამჟამინდელი ტერაქტი ძალიან ჰგავს იმ აფეთქებას, რომელიც იმავე ლიანდაგზე 2007 წელს განხორციელდა. მაშინ ტერაქტი ორი ინგუშის მიერ იყო ორგანიზებული. თუმცა ამავე დროს იაკუნინი მუსლიმების ხელწერაზე მხოლოდ ზოგადად საუბრობს და კონკრეტული დასკვნების გაკეთებას ერიდება. სხვა ოფიციალური პირები და ექსპერტთა ნაწილი კი მომხდარში ჩეჩნების მონაწილეობას ეჭვქვეშ აყენებს და აცხადებს, რომ ტერაქტის უკან ადგილობრივი დივერსანტები დგანან.

ასეთი ეჭვის საფუძვლად კი იმ ფაქტს ასახელებენ, რომ ბომბი, რომელიც სიმძლავრით 7 კილოგრამ ტროტილს უტოლდებოდა, დისტანციურად იმართებოდა - სავარაუდოდ, მობილური ტელეფონის მეშვეობით. მუსლიმებისთვის კი ბევრად უფრო მარტივი იქნებოდა მატარებელში თვითმკვლელი ტერორისტის შეშვება. გარდა ამისა, ინციდენტი ყველა მუსლიმისთვის წმინდა დღესასწაულის ყურბან-ბაირამის დღეს მოხდა. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთ დღეს ტერაქტს ფანატიკოსიც კი არ დაგეგმავდა.

თავის მხრივ, ტერაქტის გამოძიების ოპერატიული შტაბის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მედიაში "კავკასიური კვალისა" და ყველა სხვა ვერსიის განხილვა გამოძიების ინტერესებს მხოლოდ ვნებს. მათი თქმით, მასმედიაში ბოლო პერიოდში გაჩენილი ვარაუდები სიმართლეს არ შეესაბამება.

"ნევის ექსპრესზე" ტერაქტი 27 ნოემბერს განხორციელდა. აფეთქების შედეგად 26 ადმიანი დაიღუპა, ხოლო 100-ზე მეტი დაიჭრა. რამდენიმე ადამიანი ამ დრომდე დაკარგულად არის მიჩნეული.

"ვარშაველი სნაიპერი" ორშაბათობით ისვრის

პოლონეთის პოლიცია ეძებს დამნაშავეს, რომელიც გასული თვის განმავლობაში პოლონეთის დედაქალაქში მოძრავ საზოგადოებრივ ტრანსპორტს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროდა. ე.წ. ვარშაველი სნაიპერი თავდასხმებს ორშაბათობით აწყობს.

ვარშავის პოლიციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებდნენ, თუმცა მას მერე, რაც ვარშავაში ორშაბათობით ატეხილი სროლები მასობრივი საინფორმაციო საშუალებების განხილვის მთავარ საგნად იქცა და საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია, გაირკვა, რომ ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელმა ადამ მულარზმა უკვე შექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც "საქალაქო ტრანსპორტზე მებრძოლის" კვალზე უნდა გავიდეს.

პოლონეთის დედაქალაქის კომენდანტის პრეს-მდივნის მარტინა შინდლერის განცხადებით, შექმნილ სპეცჯგუფში სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის თანამშრომლებიც შედიან.

ვარშავის პოლიციის არაოფიციალური ინფორმაციით, სროლების შედეგად უკვე დაშავდა რვა მანქანა.

"ვარშაველი სნაიპერი" პირველად მიმდინარე წლის 9 ნოემბერს გამოჩნდა. საღამოს რვა საათის შემდეგ, უცნობმა ორ ტრამვაის და ორ ავტობუსს ესროლა. 23 ნოემბერს, საღამოს კიდევ სამი ავტობუსი დაცხრილა. ბოლო შემთხვევა 30 ნოემბერს მოხდა, როდესაც გასროლის შემდეგ, ტრამვაის მძღოლი მსუბუქად დაიჭრა. "ვარშაველი სნაიპერის" მიერ მხოლოდ ერთი ადამიანის დაჭრას, ადგილობრივი გაზეთები სასწაულს უწოდებენ. რადგან, სნაიპერი თავში უმიზნებს მგზავრებს და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედი ინტენსიურად ისვრის და ავტომატურ იარაღს იყენებს, სამართალდამცველებმა დღემდე შემთხვევის ვერც ერთ ადგილას ვერ მოძებნეს საფანტი, ან ტყვიის გულა. თუმცა, არიან თვითმხილველები, რომლებიც ცეცხლის გახსნის ფაქტს ადასტურებენ. თითქმის ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ ჯერ ტაშის, შემდეგ კი მინის ჩამსხვრევის ხმა გაიგეს. ერთადერთი სამხილი, რაც პოლიციელებმა აღმოაჩინეს, ავტოტრანსპორტის საბარგულზე ნაპოვნი დენთის კვალია. ტროლეიბუსის ერთ-ერთი მძღოლის ვარაუდით, რომელის სასწაულებრივად გადაურჩა "ვარშაველი სნაიპერის" ტყვიას, მას ავტომობილიდან ესროლეს, თუმცა სიბნელეში ავტომობილის მარკის, ან ნომრის დანახვა ვერ შეძლო.

პოლიციელები არ გამორიცხავენ, რომ ეს იყოს "იმ ბოროტმოქმედთა სულელური გართობა, რომელთაც იარაღი შეიძინეს და "საფარის" ქვეშ, ქალაქში ავტომობილით გადაადგილდებიან და ერთობიან".

ანალოგიური ინციდენტი მიმდინარე წლის სექტემბერში ლატვიის დედაქალაქ რიგაშიც მოხდა, როდესაც ტროლეიბუსი გაჩერებას მიუახლოვდა, უეცრად ჯერ წინა მინა ჩაიმსხვრა, შემდეგ უკანა. რამდენიმე მგზავრი მინის ნამსხვრევებით დაიჭრა. ერთი მგზავრი, ღრმა ჭრილობის მიღების შემდეგ საავადმყოფოშიც გადაიყვანეს.

ლატვიელმა სამართალდამცველებმა ბოროტმოქმედები მომხდარი ფაქტიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაიკავეს. ორივე მათგანი არასრულწლოვანი ნარკომანი აღმოჩნდა.

პუტინის მსხვერპლს მეორედ ასამართლებენ

"ამ ადამიანმა, რომელიც ოდესღაც უმდიდრესი რუსი იყო, ციხის გისოსებს მიღმა უკვე ექვსი წელი გაატარა," *- წერს The New York Times-ის ჟურნალისტი ენდრიუ მეიერი.*

ჟურნალისტის აზრით, რუსეთში, პუტინის მართველობის დასაწყისიდან "შეკერილ" სისხლის სამართლის საქმეები მრავლადაა, თუმცა მიხეილ ხოდორკოვსკის საქმე გამონაკლისია.

"ვიდრე ნავთობის ფასი მაღალი იყო პუტინს შეეძლო ხოდორკოვსკი არ გაეხსენებინა, მაგრამ რუსი ოლიგარქის მეორე სასამართლო პროცესი გლობალურ კრიზისს დაემთხვა. ახლა, მოსკოვის სასტიკი კურსის წინააღმდეგ, არა მხოლოდ ლიბერალები გამოდიან, არამედ ოლიგარქებიც, პოლიტიკოსებიც და ჟურნალისტებიც, რომლებიც ადრე კრემლის ზურგს იყვნენ ამოფარებული. ვის ეშინია ხოდორკოვსკის გათავისუფლების?" - აცხადებს ანდრიუ მეიერი, რომლის აზრითაც, პასუხი ხოდორკოვსკის საქმიანობაში უნდა ვეძებოთ: 46 წლის ხოდორკოვსკიმ საინტერესო, მრავალფეროვანი ცხოვრებით იცხოვრა. სტუდენტი და კომკავშირის ლიდერი კომპიუტერების იმპორტიორად გადაიქცა და, პარალელურად, რუსეთში ერთ-ერთი პირველი კერძო ბანკის დამაარსებელიც გახდა. 40 წლის ასაკში რუსი ოლიგარქების წრეში თავისი ადგილი ჰქონდა. ფინანსურ სტრუქტურების ინვესტირებით, სასოფლო მეურნეობითა და ნავთობით იყო დაკავებული.

ადრე, "იუკოსი" და "მენატეპი" საგადასახადო ნავსადგურებით სარგებლოდნენ, თუმცა, 1998 წელს დეფოლტის შემდეგ, ხოდორკოვსკიმ აუცილებელ კორპორაციულ მმართველობაზე დაიწყო საუბარი. პუტინის პრეზიდენტობის პირველ წლებში ხოდორკოვსკიმ პარტნიორული ურთიერთობის ხელშეკრულება გააფორმა ამერიკულ ფირმებთან. იგი ასევე ფირმა "არსოს" კლიენტი და ლობისტი გახდა. ცნობისთვის "არსოშო" ძირითადად, გადამდგარი ელჩები და კონგრესმენები მუშაობენ. ხოდორკოვსკიმ შექმნა ფონდი არაკომერციული და უფლებების დამცველი ორგანიზაციების დასაცავად. ცდილობდა დასავლეთიდან მხარდაჭერა მოეპოვებინა. იგი ამერიკელებს "იუკოსის" 40 პროცენტის ყიდვას სთავაზობდა, რაც, ალბათ, კომპანიას რუსეთის ხელისუფლებისგან დაიცავდა.

"მაგრამ 2003 წელს, რუსმა ოლიგარქმა ოპოზიციური პარტიების დაფინანსება დაიწყო და "იუკოსი" "სიბნეფტთან" გააერთიანა. ამით მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ნავთობის კომპანია შექმნა და როგორც თავად აღიარა, მთელი ამ ხნის განმავლობაში გრძნობდა, რომ დააკავებდნენ," - ამბობს მეიერი.

2003 წლის ოქტომბერში, ხოდორკოვსკი ერთ-ერთ აეროპორტში დააკავეს, მას 9 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამჟამად კი, მის წინააღმდეგ ახალი ბრალდებებით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს, სადაც მას კიდევ ერთხელ გაასამართლებენ.

ენდრიუ მეიერი თვლის, რომ სასამართლო დარბაზში პასუხი შეკითხვაზე, თუ ვის ეშინია ხოდორკოვსკის გათავისუფლების, არ მოიძებნა. სასამართლო პროცესი უკვე 10 თვეა მიმდინარობს და სხდომაზე შეუსვენებლად კითხულობენ 188 ტომისგან შემდგარ საქმეს.

The New York Times-ის ჟურნალისტი წერს, რომ კრემლი რუსი ოლიგარქის ბუშის ადმინისტრაციის მისამართით კეთილგანწყობამ და პარტნიორების საზღვარგარეთ ძიებამ გააბრაზა.

"მისი ყველაზე დიდი შეცდომა კი პუტინის მისამართით გაკეთებული გამოწვევა იყო," - წერს მეიერი.

ოლიგარქი ევროპის სასამართლოში ჩივის. ევროპის ადამიანის უფლებების დამცველი სასამართლო მის პირველ სარჩელს უახლოეს მომავალში განიხილავს.

"არასდროს ვყოფილვარ კორუმპირებული ჩინოვნიკი," - მიწერა მეიერს ხოდორკოვსკიმ.

ამერიკა რუსული რაკეტების დათვლის საშუალებას კარგავს

შეერთებული შტატები უახლოეს პერიოდში კონტროლის საკვანძო ელემენტს დაკარგავს, რომელსაც ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდიდან ამ დრომდე ინარჩუნებდა. კონტროლის ელემენტი ითვალისწინებს რუსეთში ამერიკელი დამკვირვებლების განთავსების უფლებას, რათა შორეული მოქმედების რაკეტები მანამდე დაითვალონ, სანამ ისინი აწყობის ადგილს დატოვებენ.

მოსალოდნელია, რომ ამ პრივილეგიის დაკარგვა კონგრესში სერიოზულ პროტესტს გამოიწვევს. ამავე დროს აქტიური კამათია იმაზე, თუ ვინ არის დანაკარგზე პასუხისმგებელი - ჯორჯ ბუში-უმცროსის ადმინისტრაცია თუ ამჟამინდელ პრეზიდენტ ბარაკ ობამასი.

"რესპუბლიკელებს" აღელვებთ გაუხმაურებელი შეთანხმება, რომელიც თეთრ სახლსა და კრემლს შორის მიმდინარე წლის ოქტომბერში გაფორმდა და რომელიც ითვალისწინებს, რომ ამერიკელმა ინსპექტორებმა რუსეთი ამ კვირაში უნდა დატოვონ. "რესპუბლიკელები" მიიჩნევენ, რომ ამ შეთანხმების გამო ამერიკელები ვეღარ შეძლებენ იმის გაკონტროლებას, შეასრულებს თუ არა მოსკოვი სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს.

ამავე დროს "დემოკრატები" ამტკიცებენ, რომ მათ მოქმედების საშუალებას არ აძლევს გასული წლის ბოლოს ჯორჯ ბუშის მიერ მოსკოვთან გაფორმებული შეთანხმება, რომელიც საზოგადოებისთვის ცნობილი არ გამხდარა.

ობამას ადმინისტრაციის წევრები და კონგრესმენები აღნიშნავენ, რომ ბუშის მიერ გაფორმებული შეთანხმების მოქმედების ვადა სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ არსებული დოკუმენტის ვადასთან ერთად იწურება - 5 დეკემბერს. მათივე მტკიცებით, ობამას ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გააფორმოს მოსკოვთან შეთანხმება, რომელიც ამერიკელ დამკვირვებლებს რუსეთში დარჩენის საშუალებას მისცემს.

1987 წელს მიხეილ გორბაჩოვსა და რონალდ რეიგანს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, მონიტორინგის უფლება რუსებსაც ჰქონდათ, თუმცა უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში რუსებს ეს უფლება არ გამოუყენებიათ. ამის მიზეზია ის, რომ ამერიკელები ბოლო წლების განმავლობაში რაკეტებს აღარ აწარმოებენ, რუსებს კი ეს პროცესი არ შეუჩერებიათ. სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ხელშეკრულება კრძალავს გარკვეული ტიპის რაკეტების წარმოებას და ამერიკელები სწორედ შეთანხმების შესაბამისი პუნქტების შესრულებას აკონტროლებენ.

რუსეთში აცხადებენ, რომ შორეული მოქმედების რაკეტების წარმოება რუსეთში მას შემდეგ განახლდება, რაც შეთანხმების ვადა ამოიწურება. ანალიტიკოსთა განცხადებით, ეს საკმაოდ რეალურია.

მიმდინარე წლის ივლისში რუსეთში ობამას ვიზიტის დროს მხარეები შეთანხმდნენ, რომ სტრატეგიული იარაღის შემცირების შესახებ ახალ ხელშეკრულებას ძველი ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე - 5 დეკემბრამდე გააფორმებდნენ, თუმცა ახლა უკვე ყველა ფიქრობს, რომ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია.

თეთრი სახლის ოფიციალურ წარმომადგენელ იან კელის განცხადებით, აშშ-ს იმედი აქვს, რომ შეთანხმების პროექტი თვის ბოლოსთვის მზად იქნება.

კონგრესის წევრები აცხადებენ, რომ ობამას ადმინისტრაციის განმარტების თანახმად, რუსეთში ამერიკული კონტროლის გაუქმება ბუშის ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების შედეგია. გარდა ამისა, ბუშის ხელისუფლება არ ცდილობდა, გაეგრძელებინა იარაღის შემცირების შესახებ არსებული შეთანხმების ვადა, თუმცა იმ პერიოდში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვერიფიკაციის, პირობების შესრულებისა და რეალიზაციის საკითხებში პოლა დე სატერი აღნიშნავს, რომ ამერიკა ასეთი ინიციატივით გამოვიდა, თუმცა რუსეთმა ამაზე უარი განაცხადა. დე სატერი იმასაც განმარტავს, რომ იმ პერიოდში რაკეტებისა და მათი გადამზიდების რაოდენობა არ იზღუდებოდა და, შესაბამისად, არც მათი დათვლის აუცილებლობა არსებობდა.

ობამას ადმინისტრაციამ კი პირიქით, შეთანხმების სწორედ იმ პუნქტებზე გაამახვილა ყურადღება, რომლებშიც ქობინებისა და რაკეტების შემცირებაზეა საუბარი. თუმცა დე სატერი აცხადებს, რომ მათ მიერ გაფორმებულ შეთანხმებაში ისეთი არაფერი ყოფილა, რაც ობამას ადმინისტრაციას ხელს შეუშლიდა შეიარაღებისადმი თავისი მიდგომის განხორციელებაში.

ობამას ადმინისტრაცია ამ დროისთვის იმ გზების მოძებნაზე მუშაობს, თუ როგორ ჩანაცვლდეს მუდმივი მონიტორინგი, თუმცა კონგრესში "რესპუბლიკური პარტიის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ყოველდღიურ კონტროლს ვერაფერი შეცვლის და მისმა გაუქმებამ შესაძლოა უარყოფითი შედეგები მოიტანოს. აქედან გამომდინარე, ობამას ადმინისტრაციამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა რუსეთის ტერიტორიაზე კონტროლის განხორციელება შეძლოს.

"რესპუბლიკელთა" გაფრთხილებების პასუხად ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ რუსეთი და ამერიკა მტრები აღარ არიან და ოფიციალურ მოსკოვთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად მათ ყველაფერი გააკეთეს. თუმცა კრიტიკოსების ვარაუდით, ორი ქვეყნის დღევანდელი ურთიერთობა არც იმდენად კარგია, რომ ვაშინგტონი მოსკოვს სრულიად ენდოს.

"რესპუბლიკელი" სენატორი ჯონ კილი აღნიშნავს, რომ პირველად 15 წლის მანძილზე რუსეთი სრულიად უკონტროლოდ რჩება, რაც შესაძლოა, სახიფათო აღმოჩნდეს. თავის მხრივ ბუშის ადმინისტრაციის წევრები კილს იმაში სდებენ ბრალს, რომ მას არასდროს გაუპროტესტებია ბუშის გადაწყვეტილება კონტროლის გაუქმების შესახებ.

კილის უფროსი თანაშემწის განცხადებით, სენატორი ამ საკითხზე იმის გამო ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომ ობამას სურს, შეიარაღება უფრო მეტად შეამციროს, ვიდრე ამას ბუში გეგმავდა. მისი თქმით, ამერიკის მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ რუსეთი აღებულ ვალდებულებებს შეასრულებს.

"ვაშინგტონ თაიმსის" მიხედვით
მოამზადა მარიკა იაშვილმა

გაზის რევოლუცია

ამ წლის ბოლოს უკვე მერამდენედ წარმოიშვა რუსეთის გაზის მიწოდების საკითხი: უკრაინაში გამავალი მილსადენების გადაკეტვის საფრთხე, "მძევლებად აყვანილი" ევროპელები... ეს საკითხები 26-27 ნოემბერს ვლადიმირ პუტინის პარიზში ვიზიტის დროსაც განიხილებოდა.

ამასთან, რუსეთისა და უკრაინის პრემიერებმა ვლადიმირ პუტინმა და იულია ტიმოშენკომ იალტის 19 ნოემბრის შეხვედრაზე, როგორც ჩანს, მწვავე საკითხების მეტ-ნაკლებად შეთანხმება მოახერხეს. კრემლის პოზიციის შერბილება შესაძლოა იმ ძირეულმა გარდაქმნებმა განაპირობა, რომლებიც ამჟამად მსოფლიო ბაზარზე მიმდინარეობს.

ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა დღევანდელი გეოპოლიტიკური წონასწორობა ახლო მომავალში შესაძლოა მთლიანად შეცვალოს.

ამ დრომდე მსოფლიო ბაზარი არსებული სატრანსპორტო საშუალებების შეზღუდულობის (მიწისქვეშა და ზღვის მილსადენები, თხევადი გაზისთვის განკუთვნილი ტანკერები) გამო ერთმანეთისგან დამოუკიდებელ სამ ზონად იყო დაყოფილი: ჩრდილოეთ ამერიკა, ფაქტობრივად, თავად ახერხებს საკუთარი თავის უზრუნველყოფას, დასავლეთ ევროპა დიდად არის დამოკიდებული მილსადენებზე, ჩრდილოეთ აზია თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტს ანიჭებს უპირატესობას.

ამ საწვავის პერსპექტივა ყველაზე ნათელი ჩანდა. ევროპა ახალი გაზსაცავების მშენებლობით ცდილობდა, შეემცირებინა თავისი დამოკიდებულება "ძვირფას მეგობარ" რუსეთზე. ამერიკაში ტრადიციული რესურსების მოსალოდნელ გამოლევას შეუძლებელია არ გამოეწვია თხევადი გაზის იმპორტის გაზრდა. ამასთან, ამერიკულ ბაზარზე (მისი ფასი ევროპულისგან დამოუკიდებლად ყალიბდება) ბუნებრივმა აირმა ნავთობზე ადრე გადააჭარბა იმ ზღვარს, რომელიც ბარელი ნავთობისთვის 100 დოლარის ეკვივალენტია. ეს მოხდა 2006 წლის ზამთარში, როდესაც დაბალმა ტემპერატურამ მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში არსებული სირთულეები გამოავლინა.

თუმცა ყველაფერი იცვლება ბუნებრივი აირის ახალი წყაროების დამუშავების, პირველ რიგში კი, ფიქალის ფენებს შორის არსებული გაზის დამუშავების შემდეგ. ჰორიზონტალური ჰიდრავლიკური ბურღვის ტექნიკამ ამ საწვავის მოპოვების დაწყება შესაძლებელი გახადა. პირველი გახდა ბარნეტის საბადო, რომელიც ტექსასში, აეროპორტ ფორტ უორტთან ახლოს მდებარეობს.

ამერიკულ ენერგეტიკულ კოქტეილზე ახალი წყაროს გავლენა ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა: წარმოება გაიზრდა, დადასტურებულია დიდი მარაგი, გაზს ისევ იყენებენ საწვავად ელექტროენერგიის წარმოებაში, და მივიღეთ ახალი გეოგრაფიული განლაგება: საბადოები მდებარეობს აშშ-ში (პენსილვანია და ნიუ იორკი), კანადასა (ბრიტანეთის კოლუმბია) და პოლონეთში. ამან გამოიწვია ამერიკის ბაზარზე ფასების მკვეთრი ვარდნა: იმ დროს, როდესაც ნავთობის ფასი 2009 წლის განმავლობაში 30 დოლარიდან 80 დოლარამდე გაიზარდა, ბუნებრივი აირის საფასური შეადგენდა მხოლოდ 15-20 დოლარს სექტემბერში, ხოლო ნოემბერში, ზამთრის სეზონის დადგომის მიუხედავად, 40 დოლარისთვის არ გადაუჭარბებია.

იმის გათვალისწინებით, რომ ამერიკას აღარ ესაჭიროება თხევადი ბუნებრივი აირის იმპორტი, მსოფლიო ბაზარზე შესაძლოა, მალე წარმოიქმნას თხევადი გაზის სიჭარბე, მაშინ როცა ამ ინდუსტრიის განვითარებამ ინვერსტორებისგან მნიშვნელოვანი თანხების ჩადება მოითხოვა. ყველაფერმა ამან შეუძლებელია, გავლენა არ მოახდინოს მსოფლიო ფასზე და მომავალი კონტრაქტების პირობებზე. "გაზპრომს" ევროპელი კლიენტები ბარელი ნავთობის ეკვივალენტ გაზში 70 დოლარს უხდიან, თუმცა მისი ყიდვა სხვაგანაც არის შესაძლებელი... თან გაცილებით იაფად.

"მონდის" მიხედვით მოამზადა
თამთა კახაძემ

ირანის პრეზიდენტი შეტევაზე გადადის

ივა შილაკაძე

ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰნადინეჯადმა თავის სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა, რომ მისი ქვეყნის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციები არავითარ შედეგს არ მოიტანს. მან რუსეთიც გააკრიტიკა - ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს (აესს) რეზოლუციის მხარდაჭერის გამო. აესს-ის რეზოლუციაში დაგმობილია ირანის მიერ ურანის გამამდიდრებელი მეორე ქარხნის მშენებლობა ქალაქ კუმთან. აჰმადინეჯადმა კი რუსეთის მიერ ამ რეზოლუციისთვის ხმის მიცემას "შეცდომა" უწოდა. მისი სიტყვებით, რუსეთს "არა აქვს ნათელი წარმოდგენა მსოფლიოში დღევანდელ სიტუაციაზე". აჰმადინეჯადმა აგრეთვე განაცხადა, რომ რუსეთი და სხვა ქვეყნები, რომელთა შორისაც მან პოლონეთი, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი დაასახელა, ვერ აიძულებენ ირანს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმას (ისე საინტერესოა, რატომ მოხვდა ამ "განსაკუთრებულ" სიაში პოლონეთი და არ მოხვდნენ ჩინეთი და ამერიკის შეერთებული შტატები). ირანის პრეზიდენტმა აგრეთვე გამორიცხა მომავალში სამხედრო მოქმედებები ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

"ნებისმიერი თითი, რომელიც შეეცდება სახლეტის გამოკვრას, მოიჭრება," - განაცხადა აჰმადინეჯადმა და დასძინა - "სასაცილოა" აესს-ის გაფრთხილება იმის შესახებ, რომ ზოგიერთმა ქვეყანამ შეიძლება შეწყვიტოს ირანთან თანამშრომლობა. მისი სიტყვებით, დასავლეთის ქვეყნებს უფრო სჭირდებათ ირანი, ვიდრე ირანს ისინი, ეს ფსიქოლოგიური ომია და ირანის იზოლაცია ვერ მოხერხდება. ირანის პრეზიდენტმა ამ გამოსვლით უპასუხა დასავლეთისა და გაერო-ს მკაცრ გაფრთხილებებს ურანის გამამდიდრებელი ათი ახალი ქარხნის მშენებლობის

გეგმების გამო ("24 საათი" ამაზე დაწვრილებით წერდა). ეს გადაწყვეტილება, აჰმადინეჯადის სიტყვებით, მთავრობამ უკვე მიიღო, მას არ შეცვლის და ეს "ბლეფი" არ არის. უკვე არსებული სანქციები ზღუდავს ირანისთვის იმ ტექნოლოგიებისა და საქონლის მიწოდებას, რომელიც ამ ქვეყანას ურანის გამდიდრებაში დაეხმარება.

მაღალჩინოსანი რუსი დიპლომატები, რომლებიც ჯერჯერობით ერიდებიან პრესაში საკუთარი ვინაობის დასახელებას, ადასტურებენ, რომ რუსეთი უკვე იხრება ირანის წინააღმდეგ სანქციების მხარდაჭერისკენ.

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მართლაც ცოტა საეჭვოა, ირანმა ასე უცებ ააშენოს ათი ახალი ქარხანა ურანის გასამდიდრებლად. ეს შეიძლება ირანის დიპლომატიური ფანდი იყოს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების მქონე ქვეყანა საკუთარი ინტერესების დასაცავად იყენებს. თუ ეს მართლა არ არის ბლეფი, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ირანს ამ ქარხნების საიდუმლოდ მშენებლობა უკვე დაწყებული აქვს და ამაში ეხმარება (ასევე ფარულად) რომელიღაც, იმაზე უფრო სერიოზული ქვეყანა, ვიდრე ეს ურანის მარაგის მქონე მისი მეგობარი ვენესუელაა. დასკვნა ადვილი გამოსატანია, რადგან ასეთი სახელმწიფოების სია არც ისე დიდია.

რევიუ

ქუჩა და სნაიპერის სამიზნე

პირველი გვერდიდან

ქვეყანა დიდია და ხსნაც სადგაც აქვეა

ეს ყველაფერი არ არის

კოლუაშვილის ფილმის შეფასების საშუალება ამჯერად მხოლოდ ფესტივალის გახსნითი საღამოს სტუმრებს ჰქონდათ. ფართო მაყურებელი მას რამდენიმე თვეში, სავარაუდოდ მარტში იხილავს. "ქუჩის დღეების" პრემიერა სწორედ ამ დროისთვისაა დაგეგმილი, მანამდე კი შევეცდები ოდნავ მაინც შევქმნა მასზე შთაბეჭდილება და ვთქვა, თუ რატომ უნდა ნახოთ ეს ფილმი.

"ქუჩის დღეები", მარტივად რომ ვთქვათ, ნარკომანიის თემაზეა და ზუსტად ვიცი, რომ მკითხველის პირველი ანტიგანწყობას სწორედ ეს გამოიწვევს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ქართველი მაყურებელი დაიღალა ერთი და იმავე თემატიკის ათასჯერ გადამღერებით, ეკრანზე "ლომკაში" ჩავარდნილი და წამლის საშოვნელად "დვიჟენიაში" მყოფი ნარკომანების ყურებით. ასეთი მაყურებელი მტკიცედ ამბობს: ვიცით, რომ თბილისი (ამ შემთხვევაში თბილისი) სავსეა ნარკომანებით, ქუჩებში ყოველდღე ვაწყდებით მათ მოლასლასე ლანდებს, ტროტუარებზე მიყრილ "ბაიანებს", ვიგებთ წამალში გაპარული მეზობლების, ახლობლების, ოჯახის წევრების შესახებ და ასე შემდეგ და აღარ გვინდა ამაზე ფილმების ყურება. ეს ტიპური განზე დგომის პოლიტიკაა, როდესაც თვალებზე, ყურებსა და პირზე ხელები გვაქვს აფარებული და ვამბობთ - რასაც მე არ ვხედავ და არ მესმის, იმაზე საუბარიც არ მსურს. ლევან კოლუაშვილის ფილმის ღირსება კი სწორედ ესაა - უყურებ და ხვდები, რომ შეუძლებელია ეს პრობლემა თვითოეული ჩვენგანის პრობლემა არ იყოს.

"ქუჩის დღეების" ისტორია ერთი შეხედვით ჩვეულებრივი, უკიდურეს შემთხვევაში კი თითქოს ბანალურიცაა: პოლიციელები "სტაჟიან" ნარკომანს მეგობარი მინისტრის 16 წლის შვილისთვის წამლის გაკეთებას ავალებენ იმ მიზნით, რომ შვილის ციხიდან და საკუთარი თავის სირცხვილისგან თავის დასაღწევად მინისტრი მამიკო ბევრ ფულს გადაიხდის. თამაში დაიწყო: 45 წლის ჩეკი (მის როლს არაჩვეულებრივად თამაშობს გუგა კოტეტიშვილი) ნარკოტიკის გასინჯვის სურვილით გაგიჟებულ ბიჭთან ერთად "ბარიგასთან" მიდის, იღებენ წამალს და სწორედ მაშინ, როდესაც თამაშის დამკვეთი პოლიციელების გეგმის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა შეასრულოს, ხვდება, რომ კისრამდე ნეხვშია და ვიდრე სიბინძურე თავამდე დაფარავს, რაღაც უნდა გააკეთოს, დაუბრუნდეს იმ საწყის წერტილს, როდესაც სხეულიც და სულიც ჯანმრთელი ჰქონდა, უყვარდა, შვილს ზრდიდა, როდესაც უბრალოდ ადამიანი იყო.

კინო მხოლოდ ისტორია, მხოლოდ ფურცელზე დაწერილი სცენარი არაა. კინო სწორედ ის გამომსახველობითი საშუალებაა, რომელიც ადამიანს ყველაზე ღრმად დამალული გრძნობების, განწყობის, სამყაროს აღწერისა და გაზიარების შესაძლებლობას აძლევს. როგორც ჩანს, ლევან კოღუაშვილმა ეს კარგად იცის, რადგან ზედმიწევნით შეძლო ამ პატარა ისტორიის მაყურებლისთვის ხელის გულივით გადაშლა. ფილმის მთავარი "გმირები" 40-45 ან მეტი წლის "ჩამპალი" ნარკომანები არიან, მთელ დღეებს ქუჩაში ატარებენ და მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობენ - სად იშოვნონ "წამლის" საყიდელი ფული, როგორ წავიდნენ "ბარიგასთან", სად შეიყუჟონ და ვინ რამდენი ხაზი გაიკეთოს. სად არის მათი თავშეყრის ადგილი? სკოლის გვერდით - ერთი ჩვეულებრივი სკოლის გვერდით, როგორიც თბილისში და მთელ საქართველოში, მთელ მსოფლიოში უამრავია. სწორედ ეს ფაქტორია პირველი მიზეზი, რის გამოც თვალებსა და ყურებზე ხელაფარებულმა მაყურებელმა იმაზე უნდა დაიწყოს ფიქრი, რატომ უნდება 16 წლის ბიჭს ნარკოტიკის გასინჯვა და რატომ მიაჩნია ეს მამაკაცობაში გადასასვლელი პერიოდის აუცილებელ ეტაპად. თუ კოღუაშვილის ფილმის "უფროს" ნარკომანებს კიდევ შეუძლება მოეძებნოს გამართლება და ითქვას, რომ ისინი 90-იანი წლების დაკარგული თაობის სახეს წარმოადგენენ, ერთი შეხედვით ძნელია აიხსნას თანამედროვე 16 წლის ბიჭების ამისადმი მისწრაფება. თუმცა ახსნა აქაც ადვილია - აქ გენეტიკური ინერციის ფაქტორს აქვს ადგილი, როდესაც ახალი თაობა მამების თაობისგან ბინძურ სისხლს მემკვიდრეობით იღებს.

ლევან კოღუაშვილმა თემა მხოლოდ რამდენიმე ადამიანის მაგალითზე არ გაშალა. მათი ცხოვრების ფონად ბინძური ქუჩები, ბათქაშჩამოშლილი შენობები, ღატაკი ინტერიერები და დათრგუნული ზოგადი გარემო შეარჩია. ეს კი თითქოს სიმბოლოა იმისა, რომ ნარკომანია არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის პრობლემა და რომ მისი მეტასტაზები მთელ საზოგადოებაშია გავრცელებული. "წამალზე" დამოკიდებულები არიან არა მხოლოდ თავად ნარკომანები, არამედ მათი ცოლები, შვილები, მშობლები, რომლებიც იმავე ბინძური სისხლით იკვებებიან და გაუცნობიერებლად ილევიან, ქრებიან, კვდებიან. სწორედ ამის ილუსტრაციაა ჩეკის ცოლ-შვილის საშინელი ყოფა, წამლის ბარიგას მამის უკიდურესი ნაბიჯი (განსაკუთრებით ემოციური ეპიზოდი), ფულისთვის გატაცებული პატარა გოგონას საავადმყოფოში აღმოჩენა და ათასი სხვა. ეს სწორედ ის ეპიზოდებია, როდესაც მაყურებელი ხედავს, რომ ნარკომანია მხოლოდ ცუდი კი არა, სამარცხვინოა, დამამცირებელია, შეურაცხყოფელია...

რაც შეეხება ფილმის სხვა ღირსებებს, ამ მხრივ ლევან კოღუაშვილმა ნამდვილად მოახდინა სასწაული, რადგან შემოგვთავაზა ყოველგვარ სიყალბეს მოკლებული სამსახიობო ანსამბლის თამაში. ეს პრობლემა ქართულ კინოში ნამდვილად არსებობს - მსახიობთა არადამაჯერებელმა თამაშმა უკვე ბევრ ფილმს დაუკარგა ღირსება და ხარისხი, მაყურებელს კი მათი ნახვის სურვილი. ძალიან კარგ ნამუშევარს გვთავაზობს ფილმის ოპერატორი არჩილ ახვლედიანი. მის მიერ შემოთავაზებული რაკურსები, ორმაგი პლანის მქონე სცენები (ისევ და ისევ წამლის გამყიდველის მამის სცენა) გრძელი, რამდენიმე წუთის განმავლობაში უწყვეტი კადრები ხასიათის გარდა კარგ სანახაობასაც ქმნის.

▪ ▪ ▪

თუ საქართველოში ნარკომანიაზე გადაღებული ფილმები ბეზრდებათ, ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნებში ასეთი დამოკიდებულება ალბათ ომის თემატიკისადმი აქვთ. ხორვატი ვინკო ბრეშანის "ეს ყველაფერი არ არის" სიყვარულზეა, თუმცა რომ არა ომი, ეს სიყვარული ვერ შედგებოდა, ერთმანეთს ვერ იპოვნიდნენ, ვერ აღმოაჩნდნენ და ვერ შეიყვარებდნენ. ომს თავისი კანონები აქვს და მის ყველა მონაწილეს თავად უკვალავს გზას - ხორვატი სნაიპერისა და სერბი გენერლის ცოლის გზები სწორედ ამ ფილმში იკვეთება. თუმცა მთავარი ფილმში ის ნარჩენები, ის ხორცმეტებია, რასაც ომი ტოვებს. ფილმიც სწორედ ამ განწყობით იწყება - მთხრობელი უბრალოდ ბედნიერია, რომ ღმერთმა არც სერბად გააჩინა და არც ხორვატად და რომ უბრალოდ ბოშაა, მსოფლიოს შვილი, ვისთვისაც ალბათ სულ ერთია სად იცხოვრებს, მთავარია თავის გარშემო საზღვრებს არ ხედავდეს და არავინ ედავებოდეს პასპორტში მითითებული ეროვნების გამო. თუმცა ფილმი მხოლოდ ამის თქმას არ ცდილობს - ვინკო ბრეშანმა ერთგვარი ძღვენი მიართვა იმ დროს, როდესაც ხორვატები, სერბები და ყოფილი იუგოსლავიის ყველა ერისა თუ სარწმუნოების ხალხი ერთად ცხოვრობდა. რეჟისორი სწორედ ამ დამოკიდებულებით ცდილობს ამ ომის, ზოგადად ომების აბსურდულობის ახსნას. რამდენად გამოსდის ეს, სხვა საკითხია, მთლიანობაში კი ფილმი ნამდვილად კარგი სანახავი და ზედმეტ ფილოსოფიებსაა მოკლებული.

მეტ-ნაკლები სიმარტივით ხასიათდება ბულგარელი სტეფან კომანდარევის "ქვეყანა დიდია და ხსნაც სადღაც აქვეა" - ბაბუასა და შვილიშვილის ურთიერთობის ამბავი, რომელიც ალბათ აუცილებლად გაგახსენებთ "იავნანამ რა ჰქმნას?!", თუმცა იმ განსხვავებით, რომ ბაბუა შვილიშვილის მეხსიერების აღდგენას სიმღერის ნაცვლად ნარდის თამაშით ცდილობს. პარალელურად კი გაცილებით საინტერესო ისტორია ვითარდება - საბჭოთა ბულგარეთიდან ერთი ოჯახის დასავლეთ ევროპაში ემიგრაციის თემა, მათი გაუსაძლისი ყოფა და ცხოველური დამოკიდებულება დევნილთა ბანაკებში. ალბათ სწორედ ასე ცდილობს ბულგარელი რეჟისორი გამოეხმაუროს თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში შეხიზნული ასიათასობით დევნილის პრობლემას, შუაგულ ევროპაში არსებულ მოუგვარებელ კონფლიქტებს, საერთაშორისო ორგანიზაციების უუნაროებას და უბრალოდ გვეუბნება, რომ ამ დიდ ქვეყანაში სადღაც არსებულ ხსნას თავადვე უნდა მივაგნოთ და მოვიპოვით...

აფიშა

3 დეკემბერი

თეატრი

რუსთაველის თეატრი
"სტუმარი"
(ექსპერიმენტული სცენა)
დასაწყისი: 19.45

კოტე მარჯანიშვილის თეატრი
"Private Lives"
(თეატრი სხვენში)
დასაწყისი: 20.00

თავისუფალი თეატრი
"ჯინსების თაობა"
დასაწყისი: 19:00

გრიბოედოვის თეატრი
"მწირი"
დასაწყისი: 18:00

კინო

კინოფესტივალი "პრომეთე"
1-6 დეკემბერი

რუსთაველი
"პლანეტა 51"
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.30; 18.00; 20.00; 21.30;
"ამანათი"
დასაწყისი: 12.00; 14.15;
"2012"
დასაწყისი: 16.00; 19.00; 22.00;
"გალმა ნაპირი"
დასაწყისი: 20:30; 22:15.

ამირანი
"2012"
დასაწყისი: 12.20; 15.00; 17.30;
"ახალი მთვარე"
დასაწყისი: 12.00; 14.30; 17.00;

საქართველო
"ფეხბედნიერი"
დასაწყისი:12:00
"მოძღვრალი თახვები"
დასაწყისი: 13:45.
"დონ ჟუანის დაბრუნება"
დასაწყისი: 15:30.
"2012"
დასაწყისი: 17.20; 20.40;

გამოფენა

ტელესკოპი
კერამიკა - თანამედროვე ქართველი კერამიკოსები

ვერნისაჟი
ტული ჭუბაბრიას გამოფენა

ლაინი
ქართველი მხატვრების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია

WHY SHE WOULD NOT

ბერნარდ შოუსა და მისი დაუმთავრებელი პიესის ისტორია

თამარ კიკნაველიძე



გუშინ უცხოურ საინფორმაციო საშუალებებში გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც რომანისტს, დრამატურგსა და ნობელის პრემიის ლაურეატს ლიტერატურის დარგში, ჯორჯ ბერნარდ შოუს (1856-1950 წწ.) უკავშირდება. მას ნობელის პრემია 1925 წელს მიენიჭა. ინგლისურ თეატრში პოპულარობით (შექსპირის შემდეგ) მეორე ადგილზე მყოფმა დრამატურგმა ნობელის პრემიის ფულად ჯილდოზე უარი თქვა, ლაურეატის მედალი კი მიიღო. 1938 წელს "ოსკარის" ლაურეატი "პიგმალიონის" სცენარისთვის გახდა. ეს ნაწარმოები დღეს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის რეპერტუარშია - სოფიკო ჭიაურელის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპექტაკლი რეჟისორმა ლევან წულაძემ დადგა და მასში დასის უმრავლესობა მონაწილეობს. რაც შეეხება სიახლეს, რომელიც პირველად The New York Times-მა გაავრცელა, 2009 წლის 14 დეკემბერს ნიუ იორკში გაიმართება პრემიერა ბერნარდ შოუს უკანასკნელი, დაუმთავრებელი პიესისა, სახელწოდებით "რატომ არ მოისურვა" (Why She Would Not), რომელიც დევიდ სტოლერმა (David Staller) განახორციელა. მანჰეტენის კლუბის (The Players) სცენაზე სპექტაკლს Gingold Theatrical Group-ი წარმოადგენს.

ერთი წარმოდგენის ფარგლებში მაყურებელს შესთავაზებენ პიესის ძირითად ნაწილს - ხუთ სცენას, რომელთა დაწერაც შოუმ მოასწრო და კიდევ, მეექვსე სცენის ხუთ განსხვავებულ ვარიანტს, რომლებიც სტოლერის თხოვნით ერთმა დრამატურგმა - იზრაელ ჰოროვიცმა (Israel Horovitz) და ოთხმა თეატრალურმა კრიტიკოსმა შექმნა. აღსანიშნავია, რომ ეს კრიტიკოსები წერენ გამოცემებისთვის Time Out New York, Playbill.com, Village Voice, Newsweek.

პიესის სიუჟეტისთვის, ახალგაზრდა კაცი, ჰენრი ბოსბორნი, ქურდებისგან იხსნის გოგონას, სახელად სერაფინას, რომელიც უმდიდრესი ადამიანის შვილიშვილი აღმოჩნდება. მისი გადარჩენისათვის მამაკაცს მადლიერების ნიშნად შესთავაზებენ სამსახურს და მოგვიანებით, ის გოგონას ოჯახური ბიზნესის ხელმძღვანელი გახდება. ამის მიუხედავად, ქალს მისი ცოლობა არ სურს და არც ამის მიზეზს ასახელებს...

შოუს უკანასკნელი პიესის დადგმა დააგვირგვინებს სამწლიან პროექტს, რომლის ფარგლებშიც სტოლერმა ბრიტანელი დრამატურგის ორმოცდასამივე პიესა გააცოცხლა - 2006 წლის ივნისიდან მოყოლებული, ის ყოველ თვე თითო სპექტაკლს დგამდა. რეჟისორი აცხადებს, რომ პროექტის ერთ-ერთი მიზანი იყო მაყურებლისთვის ეჩვენებინა შოუს ის პიესები, რომლებიც აქამდე იშვიათად, ან არასოდეს არ დადგმულა.

ჯორჯ ბერნარდ შოუ 1856 წლის 26 ივლისს დაიბადა. მამამისი გაკოტრდა და ალკოჰოლს მიეძალა. მისით იმედგაცრუებული დედა სიმღერამ გაიტაცა. შოუ ვერაფერს დაეუფლა სკოლებში, რომელებსაც ხშირად იცვლიდა. სამაგიეროდ, ბევრი შეიტყო ა ჩ. დიკენსის, უ. შექსპირის, დ. ბენიანის წიგნებიდან, ასევე, ბიბლიიდან, არაბული ზღაპრებიდან - "ათას ერთი ღამე"... ამასთან, უსმენდა ოპერებსა და ორატორიებს, რომლებსაც დედა ასრულებდა, ათვალიერებდა ირლანდიურ ნაციონალურ გალერეაში დაცულ ნახატებს...

15 წლის იყო, როდესაც მიწის ნაკვეთების გაყიდვის ფირმაში კლერკად დაიწყო მუშაობა. ერთი წლის შემდეგ მოლარე გახდა და ამ საქმიანობით 4 წლის განმავლობაში იყო დაკავებული. ასეთ სამსახურს ვეღარ გაუძლო და 20 წლის ასაკში გაემგზავრა ლონდონში, სადაც დედამისი თავს, ქმართან განქორწინების შემდეგ, სიმღერის მასწავლებლობით ირჩენდა.

შოუ ლიტერატურამ გაიტაცა. ის სტატიებს ინტენსიურად წერდა და რედაქციებსაც უგზავნიდა, მაგრამ მათი უმრავლესობა უკან უბრუნდებოდა. ცნობილია, რომ მისი მხოლოდ ერთი წერილი გამოქვეყნდა, რომლისთვისაც ავტორს 15 შილინგი გადაუხადეს. მისი ხუთივე რომანი ყველა ინგლისურმა გამომცემლობამ დაიწუნა. 1884 წელს შოუ ფაბიანურ საზოგადოებაში დაწევრიანდა და მალე ბრწყინვალე ორატორი გახდა. ის ცოდნას ბრიტანული მუზეუმის სამკითხველო დარბაზში იღრმავებდა. იქ გაიცნო მწერალი უ. არჩერი (1856-1924 წწ.), რომელმაც ჟურნალისტიკაში ჩართო. უშტატო ჟურნალისტად მუშაობის შემდეგ, მან სალამის ერთ-ერთ გაზეთში მუსიკალური კრიტიკოსის ადგილი მიიღო, შემდეგ თეატრის კრიტიკოსი გახდა. ამ დროისათვის გამოსცა წიგნი ჰ. იბსენსა და რ. ვაგნერზე. მან დაწერა პიესები, რომელთაგან ერთ-ერთი, Mrs. Warren's Profession, რომელიც პირველად 1902 წელს დაიდგა, ცენზურამ აკრძალა, მეორე - You Never Can Tell, რამდენიმე რეპეტიციის შემდეგ მოიხსნა, ხოლო მესამე - Arms and the Man, ვერავინ გაიგო.

შოუ წერდა პიესებს, რეცენზიებს, გამოდიოდა როგორც ქუჩის ორატორი და პროპაგანდას უწევდა სოციალისტურ იდეებს. ამის გარდა, იყო სენტ პანკრასის ოლქის მუნიციპალური საბჭოს წევრი. ის ძალიან დატვირთული იყო, რამაც მისი მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია და რომ არა შარლოტა პეინ-თაუნზენდის, რომელიც ცოლად 1898 წელს შეირთო, მზრუნველობა სიცოცხლეს ცუდად დაამთავრებდა. ავადმყოფობისას შოუმ შექმნა პიესები: Caesar and Cleopatra და Capitain Brassbound's Conversio, რომლებსაც მწერალი "რელიგიურ ტრაქტატებს" უწოდებდა. მის პიესებში მონაწილეობენ რეალური, ისტორიული პირები. დრამატურგის ნაწარმოებების ნაწილი ფილოსოფიურია და ინტელექტუალებისთვისაა განკუთვნილი.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში შოუ არაპოპულარული ფიგურა იყო. პრესა, პუბლიკა და კოლეგები მას აკრიტიკებდნენ. ამის მიუხედავად, შოუმ დაასრულა პიესა Heartbreak House. 1924 წელს მან კვლავ გაითქვა სახელი, როგორც მწერალმა და მსოფლიო აღიარება მოიპოვა დრამით Saint Joan.

იმ დროს, როდესაც მოგზაურობისთვის არავის ეცალა, შოუმ მოიარა აშშ, სსრკ, სამხრეთ აფრიკა, ინდოეთი, ახალი ზელანდია და ა.შ. 90 წლის ასაკში მწერალი დუბლინისა და ლონდონის სენტ პანკრასის ოლქის, სადაც ახალგაზრდობაში ცხოვრობდა, საპატიო მოქალაქე გახდა. შოუს მეუღლე 1943 წელს გარდაიცვალა. სიცოცხლის დარჩენილი წლები მან ჰერტფორდშირის საგრაფოში მდებარე ეიოტ-სენტ-ლორენსში გაატარა. 92 წლისამ დაამთავრა პიესა Buoyant Billions, მაგრამ დაუმთავრებელი დარჩა Why She Would Not, რომლის პრემიერაც 14 დეკემბერს გაიმართება.

მომგებიანი "ბოროტების ყვავილები"

შარლ ბოდლერის ლექსების კრებულის პირველი გამოცემა, რომელსაც თან პოეტის ავტოგრაფიც ახლდა, პარიზში ორგანიზებულ აუქციონზე 755 ათას ევროდ გაიყიდა. ამის შესახებ ინფორმაცია Agence France-Presse-მა გაავრცელა.

ეს ლოტი რეკორდული აღმოჩნდა კრებულისთვის, რომელიც 1857 წელს გამოიცა და მისი ტირაჟი 1100 იყო. აღსანიშნავია, რომ 2007 წელს Sotheby-ს აუქციონზე წიგნი პირველი ტირაჟიდან მინაწერით მხატვარ ეჟენ დელაკრუასადმი 560 ათას ევროდ შეიძინეს.

1845 წლით დათარიღებული წერილი, რომელიც ბოდლერმა მისი ნდობით აღჭურვილ იურიდიულ პირს, ნარსის ანსელოუს მიწერა და სადაც პოეტი აცხადებს, რომ თავის მოკვლა აქვს გადაწყვეტილი, 225 ათას ევროდ გაიყიდა. ეს ლოტიც რეკორდული აღმოჩნდა ცნობილი პოეტების მიერ დაწერილ წერილებს შორის ღირებულების თვალსაზრისით.

აუქციონზე სულ 180 ლოტი იყო გამოტანილი. მათ შორის ბოდლერის წერილები, წიგნები და ნოვთები, რომლებიც მას ეკუთვნოდა, ან უკავშირდებოდა. ორგანიზატორებმა მოიგეს დაახლოებით 4,05 მილიონი ევრო, რაც მოსალოდნელს ორჯერ აღემატება.

"ბოროტების ყვავილები" (Fleurs du mal) 1857-1868 წლებში სამ გამოცემად დაიბეჭდა. 1857 წელს კრებულის გამოცემამ სკანდალი გამოიწვია - ბოდლერი საზოგადოებრივი მორალის შეურაცხყოფაში დაადანაშაულეს, რის შემდეგაც ტირაჟის ნაწილი აღარ გაავრცელეს, პოეტი კი 300 ათასი ფრანკით დააჯარიმეს. მისი ლექსების გამოცემაზე აკრძალვა ფორმალურად მხოლოდ 1949 წელს გაუქმდა.

პარიზში დაბადებული პოეტის მამა, ფრანსუა ბოდლერი, მხატვარი იყო და შვილს ელოვნების სიყვარულს ადრეული ასაკიდან უნერგავდა. შარლმა მამა 6 წლის ასაკში დაკარგა, მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, დედამისი სხვას გაჰყვა ცოლად და ბიჭს მამინაცვალთან ურთიერთობა არ აეწყო. 1

11 წლის იყო შარლი, როდესაც ოჯახი



საცხოვრებლად ლიონში გადავიდა. ის პანსიონს მიაბარეს. 1836 წელს ბოდლერი დაბრუნდა პარიზში და სწავლა განაგრძო წმინდა ლუდოვიკის სახელობის კოლეჯში, საიდანაც გამოაგდეს. 1841 წელს ის სამოგზაუროდ გაუშვეს, რათა "ცუდი გავლენებისგან დაეცვათ". ცოტა ხანში მას მამის მეკვიდრეობა ერგო, მაგრამ მისი გაფლანგვა დაიწყო და 1844 წელს მემკვიდრეობის მართვა სასამართლომ შარლის დედას გადასცა. როდის დაიწყო წერა? ცნობილია, რომ მაშინ, როდესაც მამის მემკვიდრეობა მიიღო და უდარდელ ცხოვრებას ეწეოდა. "ბოროტების ყვავილების" გაკრიტიკებისა და აკრძალვის შემდეგ, ის პოეზიას 1860 წელს მიუბრუნდა და გამოაქვეყნა კრებული, რომელშიც პროზად მიცემული ლექსები გაერთიანდა. 1864 წელს გაემგზავრა ბელგიაში, სადაც ორ წელზე მეტი დაჰყო. იქ მან გონება დაკარგა და ქვის კიბეზე დაეცა. ის პარიზში გადაიყვანეს და მოათავსეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა კიდეც. ის მონპარნასის სასაფლაოზე დაკრძალეს.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს ქ. თბილისში მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველების (ძაღლი, კატა) ჰუმანური დაჭერა-იზოლაციის და ვეტერინარული ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისში მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველების (ძაღლი, კატა) ჰუმანური დაჭერა-იზოლაციის და ვეტერინარული ზედამხედველობის განხორციელება.

შენიშვნა: მომსახურების სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა: 01.01.2010 წ-დან 31.12.2010 წ-მდე.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 3 დეკემბრიდან ამავე წლის 23 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში მაწანწალა-უზედამხედველო ცხოველების (ძაღლი, კატა) ჰუმანური დაჭერა-იზოლაციის და ვეტერინარული ზედამხედველობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 დეკემბრის 11:00 საათიდან 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: *პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.* განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მერი სულუაშვილი, გივი ჭუმბურიძე, ტელ: (995-32) 37-85-68, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქ. თბილისის მერია (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7) აცხადებს მრავალწლიან ტენდერს **ქ. თბილისში, უზედამხედველო ცხოველებისთვის თავშესაფრის სამშენებლო სამუშაოების** სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1.შესყიდვის ობიექტი - ქ. თბილისში, უზედამხედველო ცხოველებისთვის თავშესაფრის სამშენებლო სამუშაოები.

2. შესრულების სავალდებულო ვადა - 2010 წლის 01 იანვრიდან 2010 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

3. სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით სატენდერო კომისიის აპარატში 2009 წლის 23 დეკემბრის 11:00 საათიდან 2009 წლის 23 დეკემბრის 15:15 საათამდე, მისამართზე: **ქ. თბილისი, ჟ. შარტავს ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური**.

4. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

4.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ)ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ.
ე)ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან იურიდიული პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.3 როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა)ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.
ბ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
გ) ინფორმაცია პერსონალის კვალიფიციკაციის და გამოცდილების შესახებ, მ. შ. ანალოგიური საქმიანობის სფეროში;
დ) ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

5.პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

შენიშვნა: სამუშაოების შესასრულებლად სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის შემთხვევაში, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ასევე სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის საკვალიფიკაციო მონაცემები მე-4 მუხლის მიხედვით;

ზემოთაღნიშნული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული/შედგენილი წინამდებარე განცხადების გამოქვეყნების თარიღის შემდგომ პერიოდში.

6.თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

7.სატენდერო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით უნდა იყოს გადახდილი შემდეგ რეკვიზიტებზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ანგარიში: N200122900, ბანკის კოდი: 220101222; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174.

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ქ. თბილისში, უზედამხედველო ცხოველებისთვის თავშესაფრის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

8.სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის 3 დეკემბრის 09:00 საათიდან 2009 წლის 23 დეკემბრის 11:00 საათამდე სატენდერო კომისიის აპარატში ზემოთ აღნიშნულ მისამართზე გადახდის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენის შემდგომ. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

9.პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

10. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე)

11. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

12.შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

13. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს ზემოთაღნიშნულ მისამართზე, მარიამ ცენტერაძე, მერი სულუაშვილი, ტელეფონი - (995-32) 37-85-72; 37-85-68.

სატენდერო კომისია

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიმართვა ხალხს

სამომავლო ღონისძიებათა მიმართულება ავღანეთსა და პაკისტანში

ამერიკის ადმინისტრაციამ გამოაქვეყნა ავღანეთისა და პაკისტანის ტერიტორიებზე მოძრაობა "თალიბანსა" და ტერორისტულ ქსელ "ალ ქაიდასთან" ბრძოლის ახალი სტრატეგია, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილი ავღანეთში ამერიკული კონტინგენტისა და, საერთოდ, ანტიტერორისტული კოალიციის გაზრდას ითვალისწინებს. ამ კოალიციის აქტიური წევრია საქართველოც. ამ ახალი გეგმის წარდგენისას ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა ვესტ პოინტის სამხედრო აკადემიაში ვრცელი საპროგრამო სიტყვით გამოვიდა. ეს გამოსვლა საინტერესოა ფართო საზოგადოებისა და ქართველი მკითხველისთვისაც იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენი ქვეყნის მთავარი სტრატეგიული მოკავშირე სახელმწიფოს ლიდერი განიხილავს არა მხოლოდ ავღანურ სტრატეგიას, არამედ საუბრობს ამერიკის მიდგომაზე მსგავსი საერთაშორისო პრობლემების მიმართ, საერთოდ ამერიკის როლზე მსოფლიოში და ახალი ადმინისტრაციის ხედვაზე საკუთარი ქვეყნის ეკონომიკის, კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გასაძლიერებლად. ეს სტრატეგია საშუალებას მისცემს მსოფლიო საზოგადოებას, მეტ-ნაკლებად ნათლად წარმოიდგინოს, თუ რა პოზიციას დაიკავებს შეერთებული შტატები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში შექმნილ კრიზისულ თუ კონფლიქტურ სიტუაციებში.

საღამო მშვიდობისა. ამერიკის შეერთებული შტატების კადეტთა კორპუსს, ჩვენს შეიარაღებულ ძალებში მომსახურე მამაკაცებსა და ქალებს და ამერიკელ თანამოქალაქეებს: ამ საღამოს, მე მინდა გესაუბროთ ჩვენი მცდელობების შესახებ ავღანეთში - ამ ქვეყანაში ჩვენს მიერ დასახული მიზანმიმართებისა და ამოცანების სახეზე, ჩვენი ინტერესების სფეროებსა და სტრატეგიაზე, რომელიც ჩემს ადმინისტრაციას დასახული აქვს ამ ომის წარმატებით დასამთავრებლად. ჩემთვის დიდი პატივია აქ, ვესტ პოინტში ამ სიტყვის წარმოთქმა, სადაც ამდენი მამაკაცი და ქალი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების სამსახურში დგას და ჩვენი ქვეყნის ყოველივე საუკეთესოს წარმოაჩენს.

ამ საკითხთა განხილვისას, აუცილებელია გავიხსენოთ, თუ პირველ რიგში რა მიზეზით არის განპირობებული ის, რომ ამერიკა და მისი მოკავშირეები იძლებულნი არიან ავღანეთში იომონ. ეს ომი ჩვენ არ გამოგვიწვევია. 2001 წლის 11 სექტემბერს, 11-მა კაცმა გაიტაცა ოთხი თვითმფრინავი და ისინი 3,000 ადამიანის დასახოცად გამოიყენა. მათ შეტევა მიიტანეს ჩვენს სამხედროებზე და ეკონომიკურად უმნიშვნელოვანეს ცენტრებზე. მათ შეიწირეს უდანაშაულო მამაკაცების, ქალების და ბავშვების სიცოცხლე განურჩევლად რელიგიისა, რასისა თუ მდგომარეობისა. ამ თვითმფრინავებიდან ერთ-ერთის მგზავრებს რომ გმირულად არ ემოქმედათ, გამტაცებლები ჩვენი დემოკრატიის ერთ-ერთ უდიდეს სიმბოლოზე მიიტანდნენ შეტევას ვაშინგტონში და კიდევ უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავდნენ.

როგორც ვიცით, ეს ადამიანები ეკუთვნოდნენ ალ-ქაიდას - ექსტრემისტულ ჯგუფს, რომლებმაც დაამახინჯეს და შეურაცხყოფა მიაყენეს ისლამს, მსოფლიოს ერთ-ერთ დიდ რელიგიას, იმისათვის, რომ უდანაშაულო ადამიანთა დახოცვა გაემართლებინათ. ალ-ქაიდას საოპერაციო ბაზა იყო ავღანეთში, სადაც ისინი იფარავდნენ თალიბანს - უმოწყალო და რეპრესიულ რადიკალურ მოძრაობას, რომელმაც ამ ქვეყნის კონტროლი აიღო ხელში მას შემდეგ, რაც ქვეყანა დანგრეული და განადგურებული იქნა საბჭოთა მრავალწლიანი ოკუპაციისა და სამოქალაქო ომის შედეგად და მას შემდეგ, რაც ამერიკისა და ჩვენი მოკავშირეების ყურადღებამ სხვაგან გადაინაცვლა.

სულ მალე, 11 სექტემბრის შემდეგ, კონგრესმა ალ-ქაიდასა და მათი მფარველების წინააღმდეგ ძალის გამოყენების ოფიციალური უფლება გასცა - უფლება, რომელიც დღესაც ძალაშია. სენატში მიცემული ხმების რაოდენობა 98 - 0-ზე იყო. წარმომადგენელთა პალატაში მიცემული ხმების რაოდენობა იყო 420 - 1-ზე. პირველად, თავისი ისტორიის განმავლობაში, ნატომ მოქმედებაში მოიყვანა მე-5 მუხლი - უფლება-მოვალეობა, რომლის მიხედვითაც ნატოს ერთ წევრზე თავდასხმა მის ყველა წევრზე თავდასხმად ითვლება. გაეროს უსაფრთხოების საბჭომ ხელი მოაწერა ყველა ძირითად საფეხურს 11 სექტემბრის თავდასხმებისადმი პასუხის გაცემის საქმეში. ამერიკა და ჩვენი მოკავშირეები მოქმედებდნენ როგორც ერთი, რომ ალ-ქაიდას ტერორისტული ქსელი გაენადგურებინათ და ჩვენი საერთო უსაფრთხოება დაეცვათ.

ასეთი შიდა სახელმწიფოებრივი ერთიანობისა და საერთაშორისო კანონმდებლობის დროშის ქვეშ - და მხოლოდ მას შემდეგ, რაც თალიბანმა უარი თქვა ოსამა ბინ ლადენის გადაცემაზე - ჩვენ ავღანეთში ჯარები გავგზავნეთ. სულ რაღაც რამდენიმე თვის განმავლობაში, ალ-ქაიდა დაიქსაქსა და მისი ბევრი მებრძოლი მოკლული იქნა. თალიბანი ხელისუფლებიდან განდევნილი და უკუგდებული იქნა. ადგილს, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მხოლოდ შიშით გარემოცული იყო, ახლა იმედის საფუძველი მიეცა. გაეროს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, პრეზიდენტ ჰამიდ ყარზაის მეთაურობით, დროებითი მთავრობა შეიქმნა. ამასთან, ჩამოყალიბდა საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები, რომელმაც დახმარება უნდა გაუწიოს ომის შედეგად განადგურებულ ქვეყანაში მშვიდობის დამყარების საქმეს.

ამის შემდეგ, 2003 წლის დასაწყისში, ერაყში მეორედ ომის დაწყების გადაწყვეტილება იქნა მიღებული. ერაყის ომის გარშემო წარმოებული მწვავე დებატები ყველასათვის კარგად არის ცნობილი და ამის გამეორების საჭიროება აქ არ არის. საკმარისია ითქვას, რომ მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, ერაყის ომმა ჩვენი ჯარების, ჩვენი რესურსების, ჩვენი დიპლომატიისა და ჩვენი ერის ყურადღების უდიდესი ნაწილი მიიზიდა. ამასთან, ერაყში შესვლის გადაწყვეტილების მიღებამ ამერიკასა და მსოფლიოს უმეტეს ნაწილს შორის მნიშვნელოვანი ბზარი გააჩინა.

დღეს განსაკუთრებულად დიდი დანაკარგების შემდეგ, ჩვენ მოვნახეთ ერაყში სამომავლო ღონისძიებათა მიმართულება. ჩემი განცხადებისამებრ, პრეზიდენტად გახდომამდე და პრეზიდენტად გახდომის შემდეგ, ჩვენ ერაყის ომი საპასუხისმგებლო დასასრულამდე მიგვყავს. ჩვენ საბრძოლო შენაერთებს ერაყიდან მომავალი ზაფხულის დასასრულისათვის გამოვიყვანთ, ხოლო ყველა ჩვენს შეიარაღებულ ძალას კი 2011 წლის დასასრულისათვის. ჩვენი ამგვარი ქმედება არის პატივისცემის გამოხატვა ყველა მამაკაცისა და ქალისადმი, რომელიც სამხედრო ფორმას ატარებს. მათი გამბედაობის, სიმტკიცისა და უდრეკლობის წყალობით, ჩვენ ერაყეელებს მათი მომავლის განსაზღვრისა და ჩამოყალიბების საშუალება მივეცით და ჩვენ წარმატებით ვუტოვებთ ერაყს თავის ხალხს.

მაგრამ მაშინ, როცა ჩვენ მძიმე გარჯის შედეგად ერაყში უმნიშვნელოვანეს მიზნებს მივაღწიეთ, ავღანეთში სიტუაცია გაუარესდა. 2001 და 2002 წლებში, ალ-ქაიდას ხელმძღვანელობამ საზღვარი გადაკვეთა, პაკისტანში გადავიდა და იქ თავისთვის უსაფრთხო თავშესაფარი შეიქმნა. თუმცა ავღანელი ხალხის მიერ ლეგიტიმური მთავრობა იქნა არჩეული, მისთვის ხელისშემშლელი ფაქტორები აღმოჩნდა კორუფცია, ნარკოტიკებით ვაჭრობა, განუვითარებელი ეკონომიკა და უსაფრთხოების ძალების უკმარისობა. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, თალიბანი ალ-ქაიდასთან საერთო მიზნებს ინარჩუნებს, ორივე მათგანი ცდილობს რა ავღანეთის მთავრობის ჩამოგდებას. თანდათანობით, თალიბანმა ავღანეთის მიწებზე კონტროლის დამყარება დაიწყო, მაშინ როცა იმავდროულად თალიბანი პაკისტანელი ხალხის წინააღმდეგ ტერორიზმის სულ უფრო და უფრო აღვირახსნილ და გამანადგურებელ აქტებს ახორციელებს.

ამ პერიოდის განმავლობაში, ჩვენი ჯარების რაოდენობა ავღანეთში უმნიშვნელო იყო იმასთან შედარებით, რაც იყო ერაყში. როდესაც მე საპრეზიდენტო უფლება-მოვალეობების შესრულებას შევუდექი, ავღანეთში მხოლოდ 32,000 ამერიკელი მსახურობდა, მაშინ როცა ერაყის ომის პიკის პერიოდში იქ 160,000 ამერიკელი ჯარისკაცი იყო. ავღანეთის სამხედრო ძალების ხელმძღვანელობა, თალიბანის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებით, არაერთხელ მოითხოვდა დამატებითი ძალებით უზრუნველყოფას, მაგრამ, ასეთ დახმარებას ადგილი არ ჰქონია. სწორედ ამ მიზეზით, მას შემდეგ რაც პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შევუდექი, არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, მხარი დავუჭირე დიდი ხნის განმავლობაში არსებულ მოთხოვნას ავღანეთში მეტი ჯარების გაგზავნის შესახებ. ჩვენს მოკავშირეებთან კონსულტაციების შემდეგ, მე გამოვაცხადე სტრატეგია, რომელიც ავღანეთში ჩვენს საომარ მოქმედებებსა და პაკისტანში ექსტრემისტების უსაფრთხო თავშესაფრების არსებობას შორის ფუნდამენტურ კავშირს ითვალისწინებს. მე მიზნად დავისახე ამოცანა, რომლის ვიწროდ განსაზღვრება ჩამოყალიბდა, როგორც ალ-ქაიდასა და მისი ექსტრემისტი მოკავშირეების დარღვევა, დაშლა და დამარცხება. მე პირობა დავდე, რომ ჩვენს სამხედრო და სამოქალაქო ღონისძიებებს უკეთეს კოორდინაციას გავუწევ.

ამის შემდგომ, ჩვენ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, პროგრესს მივაღწიეთ. განადგურებულნი იქნენ ალ-ქაიდასა და თალიბანის მაღალი რანგის მქონე ლიდერები და ჩვენ მსოფლიოს მასშტაბით ალ-ქაიდაზე ზეწოლა მოვახდინეთ. პაკისტანში, ამ ქვეყნის არმიამ წლების განმავლობაში ყველაზე დიდი შეტევები განახორციელა. ავღანეთში, ჩვენ და ჩვენმა მოკავშირეებმა შევძელით თავიდან აგვეცილებინა თალიბანის მიერ საპრეზიდენტო არჩევნების ჩაშლის მცდელობა. და მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებს გაყალბების გამო ზიანი მიადგა, არჩევნებმა წარმოქმნა მთავრობა, რომელიც ავღანეთის კანონებსა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაშია.

ყოველივე ამის მიუხდავად, ჩვენს წინ მეტად რთული ამოცანები რჩება. ავღანეთი დაკარგული არ არის, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში ამ ქვეყნის უკუსვლას ჰქონდა ადგილი. არ არის მთავრობის გადაგდების უშუალო საშიშროება, მაგრამ თალიბანმა ძალა მოიკრიბა. ალ-ქაიდა ავღანეთში ისეთი რაოდენობით აღარ აღმოცენებულა, როგორც ეს 11 სექტემბრამდე იყო, მაგრამ, საზღვრის გაყოლებაზე მას კვლავ ხელში უჭირავს თავისი უსაფრთხო თავშესაფრები. იმ პირობებში, როდესაც საქმის დასასრულებლად ჩვენს ჯარებს წინ ნაწევა ესაჭიროებათ, მათ არა აქვთ სრული დახმარება, რათა ეფექტურად გაწვრთნან და ითანამშრომლონ ავღანეთის უსაფრთხოების ძალებთან და უკეთესად დაიცვან მოსახლეობა. ჩვენმა ახალმა მეთაურმა ავღანეთში, გენერალმა მაკკრისტალმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების სიტუაცია იმაზე მეტად სერიოზულია, ვიდრე ამას იგი მოელოდა. მოკლედ რომ ითქვას, ამგვარი სტატუს კვოს შენარჩუნება შეუძლებელია.

როგორც კადეტები, თვენ მოხალისეებად ჩაეწერეთ სამხედრო სამსახურში ასეთ საშიშ პეროდში. ზოგიერთ თქვენგანს უბრძოლია ავღანეთში. ბევრი თქვენგანი იქ გაწვეული იქნება. როგორც თქვენს მთავარსარდალს, მე მმართებს ნათლად განგისაზღვროთ მისია, რომელიც თქვენს სამსახურს შეეფერება. სწორედ ამ მიზნით, როდესაც ავღანეთში ხმის მიცემის პროცესი დასრულდა, მე მოვითხოვე ჩვენი სტრატეგიის დაწვრილებითი განხილვა. ნება მომეცით, ნათლად განვაცხადო: ჩემს წინაშე არასოდეს ყოფილა წარმოდგენილი წინადადება, რომელიც ჯარების დისლოცირებას მოითხოვდა 2010 წლამდე; ამდენად, ამ განხილვის შედეგად არ მოჰყოლია არავითარი შეყოვნება ან არ მომხდარა უარის თქმა იმ რესურსებზე, რომლებიც აუცილებელია ომის საწარმოებლად. პირიქით, განხილვამ საშუალება მომცა რთული კითხვები დამესვა და ჩემს სახელმწიფო უშიშროების ჯგუფთან, ავღანეთში ჩვენს სამხედრო და სამოქალაქო ხელმძღვანელობასთან და ჩვენს ძირითად პარტნიორებთან ერთად შემესწავლა ყველა სხვადასხვა ვარიანტი. ვიცით რა თუ როგორი ამოცანების წინაშე ვდგავართ, სწორედ ეს იყო ჩემი მოვალეობა ამერიკელი ხალხის წინაშე და ჩვენი ჯარების წინაშე.

განხილვა უკვე დასრულებულია და მე, როგორც მთავარსარდალმა, განვსაზღვრე, რომ ჩვენი სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვს ავღანეთში დამატებით 30,000 ჯარისკაცის გაგზავნას. 18 თვის შემდეგ, ჩვენი ჯარი უკან დაბრუნებას დაიწყებს. ეს რესურსები ჩვენ ინიციატივის ხელში ასაღებად გვესაჭიროება, იმ დროს როცა ჩვენ ვზრდით ავღანელთა შესაძლებლობებს, რაც საშუალებას მოგვცემს ავღანეთიდან ჩვენი ძალების გამოყვანა მთელი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით მოვახდინოთ.

მე ეს გადაწყვეტილება ადვილად არ მიმიღია. მე ერაყში ომის წინააღმდეგი სწორედ იმის გამო ვიყავი, რომ მე ვთვლი, ჩვენ სამხედრო ძალის გამოყენებას ზომიერად უნდა ვახდენდეთ და ყოველთვის ვითვალისწინებდეთ ჩვენი მოქმედებების გრძელვადიან შედეგებს. უკვე რვა წელიწადია, რაც ჩვენ ომს ვაწარმოებთ, სიცოცხლისა და რესურსების უზარმაზარი დანაკარგების ფასად. ერაყისა და ტერორიზმის შესახებ წლების განმავლობაში კამათმა, სახელმწიფო უშიშროების საკითხების შესახებ ჩვენი ერთიანობა დააქუცმაცა და ამ საქმეში მეტად პოლარიზებული და არაობიექტური ფონი შექმნა. გარდა ამისა, ახლახანს განვიცადეთ რა დიდი დეპრესიის შემდეგ ყველაზე ცუდი ეკონომიკური კრიზისი, გასაგები მიზეზების გამო, რომ ამერიკელი ხალხის ყურადღება გადატანილია ჩვენი ეკონომიკის აღდგენასა და ხალხის დასაქმებაზე სახელმწიფოს შიგნით.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს გადაწყვეტილება თქვენგან, როგორც სამხედროებისაგან, უფრო მეტს ითხოვს - თქვენგან და თქვენი ოჯახებისაგან, რომელთაც უკვე ყველაზე მეტი სიმძიმეები გაქვთ გადატანილი. როგორც პრეზიდენტს, მე ხელი მაქვს მოწერილი ომში დაღუპული ყველა ამერიკელის ოჯახებისათვის გაგზავნილ თითოეულ მისასამძირებელ წერილზე. მე წაკითხული მაქვს ჯარში გაწვეულთა მშობლებისა და მეუღლეებისაგან მიღებული წერილები. მე მომინახულებია ჩვენი ვაჟკაცი დაჭრილი მეომრები ვოლტერ რიდში. მე ჩავედი დოვერში, რათა დავხვედროდი დროშაგადაკრულ სასახლეებს იმ 18 ამერიკელისა, რომლებიც დაბრუნდნენ სახლში, თავიანთ სამუდამო განსასვენებელ ადგილას. მე უშუალოდ ვხედავ ომის საშინელ შედეგებს. მე რომ არ ვფიქრობდე, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა ამერიკელი ხალხის უსაფრთხოებას საშიშროება არ ემუქრებოდეს ავღანეთში განვითარებული მოვლენების გამო, სიამოვნებით გავცემდი თითოეული ჩვენი ჯარისკაცის ხვალ სამშობლოში დაბრუნების ბრძანებას.

ამგვარად, ამ გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ადვილი არ არის. მე ამ გადაწყვეტილებას ვიღებ, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს უსაფრთხოებას ავღანეთსა და პაკისტანში საშიშროება ემუქრება. ეს არის ეპიცენტრი იმ ძალადობრივი ექსტრემიზმისა, რომელსაც პრაქტიკულად ახორციელებს ალ-ქაიდა. ჩვენზე 11 სექტემბრის თავდასხმა სწორედ იქიდან განხორციელდა და სწორედ იქიდან იგეგმება ახალი შეტევები, სწორედ ამ წუთას, როდესაც მე ახლა ვლაპარაკობ. ეს არ არის მოჩვენებითი საშიშროება; არ არის უსაფუძვლო საშიშროება. და ეს საშიშროება მხოლოდ გაიზრდება, თუკი რეგიონის საქმე უკან წავა, სადაც ალ-ქაიდას დაუსჯელად მოქმედება შეეძლება. ჩვენ ალ-ქაიდაზე ზეწოლა უნდა შევინარჩუნოთ და ამისათვის, უნდა გავზარდოთ რეგიონში ჩვენი პარტნიორების სტაბილურობა და შესაძლებლობები.

რა თქმა უნდა, ეს ტვირთი მხოლოდ ჩვენი სატარებელი არ არის. ეს არ არის მხოლოდ ამერიკის მიერ წარმოებული ომი. 11 სექტემბრის შემდეგ, ალ-ქაიდას უსაფრთხო თავშესაფრები ლონდონში, ამანსა და ბალიში ტერორისტული შეტევების წყარო გახდა. როგორც ავღანეთის, ასევე პაკისტანის ხალხი და მთავრობები საშიშროების ქვეშ არიან. სიტუაცია კიდევ უფრო სერიოზულია ბირთვული შეიარაღების მქონე პაკისტანში, რადგან ჩვენ ვიცით, რომ ალ-ქაიდა და სხვა ექსტრემისტები ეძიებენ ბირთვულ იარაღს და ჩვენ ყველა საფუძველი გაგვაჩნია ვიფიქროთ, რომ ისინი ამ იარაღს გამოიყენებენ.

ეს ფაქტები ჩვენ იმისაკენ გვიბიძგებს, რომ ჩვენს მეგობრებთან და მოკავშირეებთან ერთად ვიმოქმედოთ. ჩვენი ყოვლისმომცველი მიზანი იგივე რჩება: დავარღვიოთ, დავშალოთ და დავამარცხოთ ალ-ქაიდა ავღანეთსა და პაკისტანში და აღვკვეთოთ მისი შესაძლებლობა, რომ მან ამერიკასა და მის მოკავშირეებს მომავალში საფრთხე არ შეუქმნას.

ამ ამოცანის განსახორციელებლად, ჩვენ ავღანეთში შემდგომ მიზნებს ვისახავთ; არ უნდა მივცეთ ალ-ქაიდას საშუალება, ჰქონდეს უსაფრთხო თავშესაფრები. უნდა შევაჩეროთ თალიბანის წინსვლა და მოქმედებები და არ მივცეთ მას მთავრობის ჩამოგდების საშუალება. ამასთან, ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ავღანეთის უსაფრთხოების ძალების უნარიანობა და მთავრობა, რომ მათ ავღანეთის მომავალზე პასუხისმგებლობის აღება შეეძლოთ.

ამ მიზნებს სამი გზით განვახორციელებთ: პირველ რიგში, ჩვენ გამოვიყენებთ სამხედრო სტრატეგიას, რომელიც შეაჩერებს თალიბანის წინსვლას და გაზრდის ავღანეთის შესაძლებლობებს მომავალი 18 თვის განმავლობაში.

დამატებითი 30,000 ჯარისკაცის დისლოცირება, რასაც მე დღეს ვაცხადებ, 2010 წლის პირველ ნახევარში მოხდება, შეძლებისდაგვარად ყველაზე უსწრაფესი საშუალებით, რომ ამ ძალებმა შეძლონ შეიარაღებულ დაჯგუფებებზე შეტევის განხორციელება და დაიცვან ძირითადი დასახლებული ცენტრები. ეს გაზრდის ჩვენს შესაძლებლობებს, რომ გავწვრთნათ ეფექტური მოქმედების უნარის მქონე ავღანური უსაფრთხოების ძალები და მათთან ისეთი პარტნიორობა დავამყაროთ, რომ ბრძოლაში მეტი ავღანელის ჩართვა მოხდეს. ისინი შექმნიან პირობებს, რითაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ავღანელებისათვის პასუხისმგებლობის გადაცემის საშუალება მიეცემა.

რადგანაც ეს საერთაშორისო მცდელობაა, მე ვთხოვე ჩვენს მოკავშირეებს, რომ შემოგვიერთდნენ და თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ საქმეში. ზოგიერთმა მათგანმა უკვე გამოყო დამატებითი ჯარები და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მომავალ დღეებსა და კვირებში, ამ საქმეში მეტი დახმარება იქნება. ჩვენი მეგობრები ჩვენთან ერთად იბრძვიან, სისხლს ღვრიან და კვდებიან ავღანეთში. ახლა, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ, რომ ეს ომი წარმატებით დავასრულოთ; რადგანაც, საფრთხე ნატოს სანდოობის გამოცდას კი არ ემუქრება, არამედ საქმე ეხება ჩვენი მოკავშირეების უსაფრთხოებას და მსოფლიოს საერთო უსაფრთხოებას.

მაგრამ ეს ყველაფერი ერთად აღებული, დამატებითი ამერიკული და საერთაშორისო ჯარები, შესაძლებლობას მოგვცემს დავაჩქაროთ ავღანური ძალებისათვის პასუხისმგებლობის გადაცემა და დავიწყოთ ავღანეთიდან ჩვენი საბრძოლო ნაწილების გამოყვანა 2011 წლის ივლისში. ზუსტად ისე, როგორც ეს ერაყში გავაკეთეთ, ჩვენ ამ გადასვლას პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ადგილზე არსებული მდგომარეობის გავითვალისწინებთ. ჩვენ გავაგრძელებთ ავღანეთის უსაფრთხოების ძალებისათვის რჩევების მიცემასა და დახმარების გაწევას, რათა დარწმუნებული ვიყოთ, რომ ისინი ამ საქმეს მომავალშიც წარმატებით გაართმევენ თავს. ავღანეთის მთავრობისა და უფრო მეტად კი ავღანელი ხალხისათვის, ცხადი უნდა გახდეს, რომ საბოლოოდ თავის ქვეყანაზე მხოლოდ ისინი აგებენ პასუხს.

მეორე, ჩვენ ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ავღანელ ხალხთან ერთად, რომ გავაძლიეროთ ჩვენი სამოქალაქო ძალისხმევა, რათა ავღანეთის მთავრობამ შეძლოს ისარგებლოს გაუმჯობესებული უსაფრთხოებით.

ეს ძალისხმევა ამოცანათა შესრულებისუნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. ცარიელი ჩეკების გაცემის დრო წავიდა. პრეზიდენტმა ყარზაიმ, თავის საინაგურაციო გამოსვლაში სწორი განცხადება გააკეთა ახალი მიმართულებით მოძრაობის შესახებ. წინსვლის პროცესში, ჩვენ ნათლად გამოვხატავთ, თუ რას მოველით ჩვენ მათგან, ვინც ჩვენგან დახმარებას იღებს. ჩვენ მხარს დავუჭერთ ავღანეთის სამინისტროებს, მმართველობას და ადგილობრივ ლიდერებს, რომლებიც ებრძვიან კორუფციას და ხალხის სასიკეთოდ მოქმედებენ. ჩვენ მოველით, რომ ის ვინც არაეფექტური ან კორუმპირებულია, პასუხს აგებს. ასევე, ჩვენ დახმარების დარგში ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ სფეროებზე, როგორიცაა აგროკულტურა, რასაც ავღანელი ხალხის ცხოვრებაზე უშუალო ზემოქმედების მოხდენა შეუძლია.

გაგრძელება A13 გვერდზე

A12 გვერდიდან

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აკადემია ვესტ პოინტში

ავღანელმა ხალხმა ათეულობით წლების განმავლობაში ბევრი ძალადობა გადაიტანა. მათ მოუწიათ ოკუპაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, რომელიც განხორციელდა ჯერ საბჭოთა კავშირის, ხოლო შემდეგ კი ალ-ქაიდას უცხოელი მებრძოლების მიერ, რომლებიც ავღანეთის მიწას თავიანთი მიზნებისთვის იყენებდნენ. ამგვარად, მე მსურს, რომ ავღანელმა ხალხმა გაიგოს - ამერიკა ეძიებს ამ ომისა და ტანჯვის ეპოქის დასრულების გზას. ჩვენ არ გვაქვს თქვენი ქვეყნის ოკუპაციის ინტერესი. ჩვენ მხარს დავუჭერთ ავღანეთის მთავრობის ძალისხმევას, რომ კარი გაუღოს თალიბანის იმ წევრებს, რომლებიც უარს იტყვიან ძალადობაზე და რომელთაც თანამოქალაქეებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემა გააჩნიათ. ჩვენ ვეძიებთ ავღანეთთან ისეთ პარტნიორობას, რომელიც ურთიერთპატივისცემაზე იქნება დამყარებული - რათა მოხდეს მათი იზოლირება, ვინც ანადგურებს; მოხდეს მათი გაძლიერება, ვინც აშენებს; დაჩქარდეს ჩვენი ჯარების გაყვანის დღე და ჩამოყალიბდეს მტკიცე მეგობრობა, სადაც ამერიკა თქვენი პარტნიორი იქნება და არასოდეს - თქვენი ბატონი.

მესამე, ჩვენ ვიმოქმედებთ სრული შეგნებით, რომ ავღანეთში ჩვენი წარმატება განუყოფლადაა დაკავშირებული პაკისტანთან ჩვენ თანამშრომლობასთან.

ჩვენ ავღანეთში ვართ, რათა ხელი შევუშალოთ კიბოს კიდევ ერთხელ მოდებას ამ ქვეყანაში. მაგრამ იგივე კიბო ასევე გავრცელდა მეზობელ რეგიონში, პაკისტანში. სწორედ ამიტომ გვჭირდება ისეთი სტრატეგია, რომელიც საზღვრის ორივე მხარეს იმუშავებს.

წარსულში, პაკისტანში იყვნენ ისეთები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მათი ბრძოლა არ არის და რომ პაკისტანისათვის უკეთესი იქნება, თუ მცირედს გააკეთებს ან დაახლოვდება მათთან, ვინც ძალადობას იყენებს. მაგრამ როდესაც გასულ წლებში უდანაშაულო ადამიანები იქნენ მოკლულნი ყარაჩიდან ისლამაბადის ჩათვლით, ცხადი გახდა, რომ ექსტრემიზმისაგან საფრთხე სწორედ პაკისტანელ ხალხს ემუქრებოდა. საზოგადოებრივი აზრი შეიცვალა. პაკისტანის არმიამ შეტევები განახორციელა სვატსა და სამხრეთ ვაზირისტანზე. ეჭვგარეშეა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და პაკისტანს საერთო მტერი ჰყავს.

წარსულში, ჩვენ პაკისტანთან ურთიერთობას ხშირად ვიწროდ განვსაზღვრავდით. ეს დღეები წარსულს ჩაბარდა. მივდივართ რა წინ, ჩვენ ერთგულად ვაგრძელებთ პაკისტანთან პარტნიორობას, რომელიც ეფუძნება საერთო ინტერესებს, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას. ჩვენ გავაძლიერებთ პაკისტანის უნარიანობას, რომ მას საშუალება ჰქონდეს, იერში მიიტანოს იმ ჯგუფებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყნებს საშიშროებას უქმნიან; ჩვენ ნათლად ვაცხადებთ, რომ არ შევეგუებით უსაფრთხო თავშესაფრების არსებობას ტერორისტებისათვის, რომელთა ადგილსამყოფელიც და მიზნებიც კარგად არის ცნობილი. ამერიკა ასევე მნიშვნელოვან რესურსებს აწვდის პაკისტანს დემოკრატიისა და განვითარებისათვის. ჩვენ ყველაზე დიდ საერთაშორისო მხარდამჭერს წარმოვადგენთ პაკისტანში ბრძოლების შედეგად განდევნილი და ლტოლვილი პაკისტანელებისათვის. წინსვლის პროცესში, პაკისტანელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ამერიკა კვლავაც იქნება პაკისტანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდამჭერი, მას შემდეგ რაც იქ იარაღის სროლა შეწყდება, რაც პაკისტანელ ხალხს თავიანთი დიდ პოტენციალის გამომჟღავნების საშუალებას მისცემს.

ჩვენი სტრატეგიის სამი ძირეული ელემენტი შემდეგია: სამხედრო მოქმედებები, რომლებიც პასუხისმგებლობის გადაცემის პირობებს შექმნის; სამოქალაქო ძალების თავმოყრა, რაც გააუმჯობესებს პოზიტიურ ქმედებებს; და პაკისტანთან ეფექტური პარტნიორობა.

მე ვაცნობიერებ, რომ ჩვენს მიდგომასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული ეჭვები. ნება მომეცით, მოკლედ შევეხო ზოგიერთ უფრო ცნობილ არგუმენტს, რომელიც მე მომისმენია და რომელსაც მე ძალიან სერიოზულად აღვიქვამ.

პირველი - არიან ისინი, რომლებიც გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ავღანეთი მეორე ვიეტნამია. ისინი ამტკიცებენ, რომ შეუძლებელია ავღანეთის სტაბილიზაცია და უმჯობესია, თუ ჩვენ მეტ დანაკარგებს აღარ დავუშვებთ და იქიდან სასწრაფოდ გამოვალთ. მე ვფიქრობ, რომ ასეთი არგუმენტი ისტორიის მცდარად წაკითხვას ნიშნავს. ვიეტნამისაგან განსხვავებით, ჩვენთან ერთად არის 43 სახელმწიფოსაგან შემდგარი ფართო კოალიცია, რომლებიც ჩვენი მოქმედებების ლეგიტიმურობას სცნობენ. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ვიეტნამისაგან განსხვავებით, ავღანეთიდან საშინელი შეტევა განხორციელდა ამერიკელ ხალხზე, რომელიც კვლავ სამიზნედ რჩება იმავე ექსტრემისტებისათვის, რომლებიც ავღანეთის საზღვრებიდან ისევ გეგმავენ შეტევებს. ამ ადგილის ახლა მიტოვება და ალ-ქაიდას წინააღმდეგ მიმართულ მოქმედებათა მხოლოდ დისტანციურ მართვაზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს ჩვენს მიერ ალ-ქაიდაზე ზეწოლის შესაძლებლობას და წარმოქმნის ჩვენს მიწა-წყალზე და ჩვენს მოკავშირეებზე დამატებითი შეტევების განხორციელების დაუშვებელ რისკს.

მეორე - არიან ისინი, რომლებიც ცნობენ, რომ ავღანეთის დატოვება ისეთ სიტუაციაში, როგორშიც ის დღეს არის, არ შეიძლება; მაგრამ ისინი თვლიან, რომ ჩვენ შეგვიძლია წინსვლა გავაგრძელოთ იმ ჯარებით, რომლებიც უკვე იქ არიან. ამგვარი ქმედება უბრალოდ სტატუს კვოს შენარჩუნება იქნებოდა, რომელშიც ჩვენ მოუწესრიგებლად ვმოქმედებთ, რაც იქაური სიტუაციისა და პირობების თანდათანობით დეგრადაციას მოახდენდა. საბოლოოდ, ასეთი მიდგომა უფრო მეტ დანაკარგებს გამოიწვევდა და ავღანეთში ჩვენს ყოფნას გაახანგრძლივებდა, რადგანაც ჩვენ ვერასოდეს ვერ შევქმნიდით იმ პირობებს, რომლებიც საჭირო იქნებოდა ავღანეთის უსაფრთხოების ძალების წვრთნისათვის და მათთვის პასუხისმგებლობის გადაბარებისათვის.

და ბოლოს, არიან ისეთებიც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმ ვადების დადგენას, როდესაც ჩვენ ავღანელებს პასუხისმგებლობა უნდა გადავაბაროთ. მართალია ის, რომ ზოგიერთები მოუწოდებენ ჩვენი საომარი ძალისხმევის უვადო ესკალაციისაკენ, რაც ჩვენ ჩაგვრთავს სახელმწიფოს მშენებლობის თითქმის ათწლიან პროექტში. მე ამ კურსს უარვყოფ, რადგან ის ისეთ მიზნებს ისახავს, რომელთა მიღწევაც შეუძლებელია დასაშვები ხარჯების ფარგლებში და რომლებიც ჩვენ გვჭირდება ჩვენი ინტერესების დასაცავად. უფრო მეტიც, პასუხისმგებლობის გადაცემის კონკრეტული ვადების არქონა ყოველგვარ აზრს მოკლებული იქნებოდა ავღანეთის მთავრობასთან მუშაობაში. ნათელი უნდა იყოს, რომ ავღანელებმა თავიანთი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა თავიანთ თავზე უნდა აიღონ, რადგან ამერიკა არ არის დაინტერესებული ავღანეთში უსასრულო ომით.

როგორც პრეზიდენტი, მე უარს ვამბობ ისეთი მიზნების დასახვაზე, რომლებიც ჩვენი პასუხისმგებლობის სფეროებს, მიზნის მიღწევის საშუალებებსა და ჩვენს ინტერესებს სცილდება. მე უნდა შევაფასო ყველა ის სირთულე, რომელთა წინაშეც ჩვენი ერი დგას. მე არ მაქვს იმის ფუფუნება, რომ მხოლოდ ერთზე გავამახვილო ყურადღება. მართლაც, მე არ მავიწყდება პრეზიდენტ ეიზენჰაუერის სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა ჩვენი ეროვნული უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ დისკუსიაში: "ყველა გეგმა შეფასებული უნდა იყოს უფრო ფართო ანალიზის შუქზე: ბალანსის დაცვა საჭიროა ეროვნული პროგრამების შიგნით და პროგრამებს შორის. "

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, ჩვენ ეს ბალანსი დავკარგეთ. ჩვენ ვერ შევაფასეთ ის კავშირი, რომელიც ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებასა და ჩვენს ეკონომიკას შორის არსებობს. ეკონომიკური კრიზისის დაწყების შემდეგ, ძალიან ბევრი ჩვენი მეზობელი და ახლოშორეული უმუშევარია და უჭირს გადასახადების გადახდა. ძალიან ბევრ ამერიკელს აფიქრებს ჩვენი ბავშვების მომავალი. ამავე დროს, გლობალური ეკონომიკაში კონკურენცია უფრო დაუნდობელი გახდა. ჩვენ უბრალოდ, საშუალება აღარ გვაქვს ამ ომების ხარჯებს იგნორირება გავუკეთოთ.

ყოველივე ზემოთქმულთან, იმ პერიოდში, სანამ მე პრეზიდენტის უფლებამოვალეობის შესრულებას შევუდგებოდი, ომების ფასმა ერაყსა და ავღანეთში ტრილიონ დოლარს მიაღწია. მივდივართ რა წინ, მე მიზნად ვისახავ ამ ხარჯების საკითხთა ღია და გულახდილ განხილვას. ჩვენი ახალი მიდგომა და ავღანეთში და მასთან დაკავშირებული სამხედრო ხარჯები დაახლოებით 30 ბილიონი დოლარი დაჯდება და მე კონგრესთან ერთად ვიმუშავებ ამ ხარჯების საკითხებზე, იმ პირობებში როცა ჩვენ დეფიციტის შემცირებაზე ვმუშაობთ.

ერაყში ომის დამთავრებისა და ავღანელებზე პასუხისმგებლობის გადაცემის პირობებში, ჩვენ უნდა აღვადგინოთ ჩვენი სიძლიერე აქ, ჩვენს სახლში. ჩვენი კეთილდღეობა ჩვენი ძლიერების საძირკველია. ის ჩვენი სამხედრო ძალების ხარჯებს ფარავს. ის ხელს უწყობს ჩვენს დიპლომატიას. ის ჩვენი ხალხის პოტენციას ზრდის და ახალ დარგებში ინვესტიციების გაკეთებას შესაძლებლობას იძლევა. იგი ჩვენ საშუალებას მოგვცემს, ისეთივე კონკურეციის უნარი გვქონდეს ამ საუკუნეში, როგორიც ჩვენ წინა საუკუნეში გვქონდა. სწორედ ამის გამო, ჩვენი ჯარების ავღანეთში ყუფნა არ შეიძლება უვადო იყოს - რადგანაც, სახელმიწიფო, რომლის აღმშენებლობაშიც მე ყველაზე მეტად ვარ დაინტერესებული, ეს თავად ჩვენი სახელმწიფოა.

მე მინდა პირდაპირ განვაცხადო: არც ერთი ამოცანის შესრულება არ იქნება ადვილი. ძალადობრივ ექსტრემიზმთან ბრძოლა სწრაფად არ დამთავრდება და იგი ავღანეთისა და პაკისტანის ფარგლებს სცილდება. ეს იქნება ჩვენი თავისუფალი საზოგადოების გამძლეობისა და მსოფლიოში ჩვენი, როგორც ლიდერის როლის გამოცდა. განსხვავებით დიდი ძალების კონფლიქტებისა და ნათლად მოცემული დაპირისპირებებისაგან, რაც მე-20 საუკუნისათვის იყო დამახასიათებელი, ჩვენი საქმე გვექნება არაკონტროლირებად რეგიონებთან, სავალალო მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოებთან და სხვადასხვა ადგილას გავრცელებულ მტერთან.

ამრიგად, ამერიკამ უნდა აჩვენოს ჩვენი სიძლიერე იმ მიმართულებისა, რომლითაც ვამთავრებთ ომებს და თავიდან ვიცილებთ კონფლიქტს - და არა მხოლოდ ის, თუ როგორ ვაწარმოებთ ომებს. სამხედრო ძალის გამოყენებაში ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ მოხერხებულობა და სიზუსტე. იქ სადაც ალ-ქაიდა და მისი მოკავშირეები ფეხის მოკიდებას ცდილობენ - სომალიში, იემენსა თუ სხვა ადგილებში - მათ უნდა დაუპირისპირდეს მზარდი ზეწოლა და ძლიერი თანამშრომლობა.

გარდა ამისა, ჩვენ არ შეგვიძლია მხოლოდ სამხედრო სიძლიერეზე დაყრდნობა. ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სახელმწიფოს უშიშროების სამსახური, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია საზღვარგარეთ არსებული ყველა მოძალადე ექსტრემისტის დაჭერა ან განადგურება. ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი დაზვერვის გაუმჯობესება და უკეთესი კორდინაცია, რომ ერთი ნაბიჯით წინ ვუსწრებდეთ ჩრდილოვან ორგანიზაციათა ქსელებს.

ჩვენ თავიდან უნდა მოვიშოროთ მასობრივი განადგურების საშუალებები. სწორედ ამ მიზეზით, ჩემი საგარეო პოლიტიკის ცენტრალურ საყრდენად გავიხადე გაფანტული ბირთვული მასალების ტერორისტების ხელყოფისაგან დაცვა, ბირთვული იარაღის გავრცელების შეჩერება და მიზანდასახულობა, რომ მსოფლიო ამ იარაღის გარეშე არსებობდეს - რადგან ყველა ერმა უნდა გააცნობიეროს ის, რომ მეტი და მეტი დესტრუქციული იარაღით გაუთავებელი შეიარაღება ჭეშმარიტ უსაფრთხოებას არასოდეს მოიტანს; ნამდვილ უსაფრთხოებას ის მიაღწევს, ვინც ამ იარაღს უარყოფს.

ჩვენ დიპლომატია უნდა გამოვიყენით, რადგან არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტოდმატო ქმედებებით ურთიერთდაკავშირებული სამყაროს რთულ პირობებში არსებობა. ამ წელიწადს დაკავებული ვიყავი არსებული კავშირების განახლებითა და ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბებით. ჩვენ ახალი დასაწყისი მივეცით ამერიკასა და მუსლიმურ სამყაროს შორის ურთიერთობას - ისეთს, რომელიც კონფლიქტის ციკლის შეწყვეტაში ჩვენს საერთო ინტერესებს აღიარებს და რომელიც ისეთ მომავალს გვპირდება, სადაც ის ვინც უდანაშაულოს კლავს, იზოლირებულია მათ მიერ, ვინც მშვიდობას, კეთილდღეობასა და ადამიანის ღირსებას იცავს.

და ბოლოს, ჩვენ უნდა ვეყრდნობოდეთ ჩვენი ღირებულებების სიძლიერეს - რადგანაც ის სირთულეები, რომელთა წინაშეც ჩვენ ვდგავართ, შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ის რისიც ჩვენ გვწამს, უცვლელია. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენს ღირებულებებს ხელს უნდა ვუწყობდეთ და მათ პრაქტიკულად სწორედ ჩვენს სახელმწიფოში მივსდევდეთ. სწორედ ამ მიზეზით, მე ავკრძალე წამება და დავხურავ გუანტანამოს ციხეს. ჩვენ ცხადი უნდა გავხადოთ მთელს მსოფლიოში ყველა მამაკაცის, ქალისა და ბავშვისათვის, რომლებიც ტირანიის შავი ღრუბლის ქვეშ ცხოვრობენ, რომ ამერიკა ადამიანთა უფლებების დასაცავად ხმას აიმაღლებს და იზრუნებს თავისუფლებაზე, სამართლიანობაზე, პოტენციალზე და ღირსების პატივისცემაზე ყველა ადამიანისათვის. ეს არის ის, რაც ჩვენ ვართ. ეს არის წყარო, ამერიკის ავტორიტეტის მორალური წყარო.

ფრანკლინ რუზველტის დღეებიდან დაწყებული, ჩვენი წინაპრების მიერ გაწეული სამსახურითა და თავგანწირვით, ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო საქმეების სფეროში განსაკუთრებული ტვირთი აქვს ნაკისრი. ჩვენ ამერიკული სისხლი მრავალ ქვეყანაში და ბევრ კონტინენტზე დაგვიღვრია. ჩვენი შემოსავალი დაგვიხარჯავს სხვათა დასახმარებლად, რათა მათ ნანგრევებიდან აეშენებინათ და განვითარებინათ თავიანთი ეკონომიკა. ჩვენ სხვებიც შემოგვიერთდნენ, რათა შეგვემუშავებინა არქიტექტურა ინსტიტუტებისა - გაერთიანებული ერების ორგანიზაციით დაწყებული და ნატოსა და მსოფლიო ბანკის ჩათვლით - რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო უსაფრთხოებასა და ადამიანთა კეთილდღეობას.

ჩვენ ყოველთვის არ გვემადლიერებოდნენ ამ ძალისხმევებისათვის და ზოგჯერ ჩვენ შეცდომებიც დაგვიშვია. მაგრამ ყველა სხვა ერზე მეტად, უკვე ექვს ათწლეულზე მეტია, რაც ამერიკის შეერთებული შტატები გლობალური უსაფრთხოების სადარაჯოზე დგას - ამ დროის განმავლობაში მას უნახავს ნგრევა, ახალი ბაზრების გახსნა, მილიონობით ადამიანის სიღარიბიდან გათავისუფლება, შეუდარებელი სამეცნიერო პროგრესი და ადამიანის თავისუფლების საზღვრების გაფართოება და წინსვლა.

განსხვავებით სხვა ადრე არსებული დიდი ძალებისაგან, ჩვენ არასოდეს მივილტვოდით მსოფლიო ბატონობისაკენ. ჩვენი კავშირი დაფუძნდა ჩაგვრაზე წინააღმდეგობის გაწევის საფუძველზე. ჩვენ მიზნად არ გვაქვს სხვა ერების ოკუპაცია. ჩვენ პრეტენზიას არ განვაცხადებთ სხვა სახელმწიფოს რესურსებზე ან არ დავუწყებთ დევნას სხვა ხალხს, იმ მიზეზით, რომ მათი რწმენა ან ეთნიკური წარმოშობა ჩვენისაგან განსხვავდება. ის რისთვისაც ჩვენ გვიბრძოლია და რისთვისაც ჩვენ ვიბრძვით, უკეთესი მომავალია ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისათვის. და ჩვენ გვჯერა, რომ მათი ცხოვრება უფრო უკეთესი იქნება, თუ სხვა ხალხების შვილებსა და შვილიშვილებსაც მშვიდობიანი ცხოვრების შესაძლებლობა.

როგორც ქვეყანა, ჩვენ არა ვართ ისეთი ახალგაზრდა - და ალბათ არც ისეთი უდანაშაულო - როგორც ჩვენ მაშინ ვიყავით, როდესაც ქვეყნის პრეზიდენტი რუზველტი იყო. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც მემკვიდრეები ვართ თავისუფლებისათვის ღირსეული ბრძოლისა. და ახლა ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ მთელი ჩვენი ძალა და მორალური შეგონება, რათა ახალი ეპოქის სირთულებს გავუმკლავდეთ.

და ბოლოს, ჩვენი უსაფრთხოება და ლიდერობა არ მომდინარეობს მხოლოდ ჩვენი შეიარაღების სიძლიერიდან. ის მომდინარეობს ჩვენი ხალხიდან - იმ მშრომელებიდან და ბიზნესებიდან, ვინც ჩვენს ეკონომიკას აღადგენს; მეწარმეებიდან და მკვლევარებიდან, რომლებიც საფუძველს ჩაუყრიან ახალ ინდუსტრიებს; მასწავლებლებიდან, რომლებიც ჩვენს ბავშვებს განათლებას მისცემენ და მშრომელებიდან, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან; დიპლომატებიდან და მშვიდობის კორპუსის მოხალისეებიდან, ვინც საზვარგარეთ იმედს თესავს; და იმ მამაკაცებიდან და ქალებიდან, რომლებიც სამხედრო ფორმას ატარებენ და რომლებიც თავშეწირვათა იმ გაუწყვეტელი ხაზის ნაწილი არიან, რომელმაც ხალხის მთავრობა ხალხის მიერ და ხალხისათვის შექმნა და ეს დედამიწაზე რეალობად აქცია.

ამ დიდსა და მრავალფეროვან სამოქალაქო საზოგადოებას, ყველა საკითხზე ყოველთვის ერთი და იგივე აზრი არ ექნება - და არც უნდა ჰქონდეს. მაგრამ მე ასევე ვიცი, რომ როგორც ქვეყანა, ჩვენ ვერ შევინარჩუნებთ ჩვენს მოწინავე როლს და ვერც ჩვენს დროში აღმოცენებულ სირთულეებს გავართმევთ თავს, თუ ჩვენ საკუთარ თავს ნებას მივცემთ ერთმანეთს გავემიჯნოთ ბრაზისა და ციინიზმის გამო და მიკერძოების გამო, რამაც ბოლო ხანებში ჩვენს ეროვნულ სჯაკამათს თავისი კვალი დააჩინა.

ადვილია იმის დავიწყება, რომ როდესაც ეს ომი დაიწყო, ჩვენ გაერთიანებულნი ვიყავით - ერთად შეკრულები, რადგანაც მეხსიერებას ცოცხლად ახსოვდა ის საშინელი თავდასხმა და ერთად შეკრულები ვიყავით იმ მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ დაგვეცვა ჩვენი სამშობლო და ის ღირებულებები, რომლებიც ჩვენთვის ესოდენ ძვირფასია. მე უარვყოფ იმ თვალსაზრისს, თითქოს ჩვენ არ შეგვიძლია კვლავაც ვიქონიოთ ასეთი ერთიანობა. მე ჩემი მთელი არსების ყველა უჯრედით მჯერა, რომ ჩვენ - როგორ ამერიკელებს - კვლავაც შეგვიძლია საერთო მიზნის ქვეშ გაერთიანება, რადგან ჩვენი ღირებულებები არ არის პერგამენტზე დაწერილი უბრალო სიტყვები - არამედ ისინი არის რწმენა, რომელიც ჩვენ ერთიანობისაკენ მოგვიწოდებს და რომელსაც ჩვენ არაერთხელ ვუტარებივართ ბნელ ქარიშხლებში, როგორც ერთი ერი და ერთი ხალხი.

ამერიკა - ჩვენ დიდი გამოცდის პერიოდში ვიმყოფებით. და ის განცხადება, რომელსაც ჩვენ ამ ქარიშხლების შუაგულში ვაკეთებთ, ნათელი უნდა იყოს: რომ ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენი გადაწყვეტილება კი ურყევი. ჩვენ ვივლით იმ თავდაჯერებით, რომ სიმართლე სიძლიერეს წარმოშობს და იმ რწმენით, რომ ამერიკა არის უფრო დაცული და მსოფლიო კი უფრო უსაფრთხო და რომ მომავალი ყველაზე ძლიერ შიშთან კი არ ასოცირდება, არამედ ყველაზე დიდ იმედებთან.

გმადლობთ. ღმერთმა დაგლოცოთ. ღმერთმა დალოცოს ამერიკის შეერთებული შტატები.

1 დეკემბერი, 2009 წელი.
თეთრი სახლი
პრეს-მდივნის ოფისი

სპორტი

ფიბა-ევროპამ ახალგაზრდული ჩემპიონატების დრო და ადგილი დათქვა

ფიბა-ევროპამ დაასახელა ის ქვეყნები, რომლებიც 2010 წლის ასაკობრივ ჩემპიონატებს უმასპინძლებს. საქართველოს სამივე ასაკობრივ ჩემპიონატში გამოჰყავს გუნდი - 20, 18 და 16 წლამდელებში.

20 წლამდელთა ნაკრებს, რომელსაც დავით უსტიაშვილი ხელმძღვანელობს, 14-დან 24 ივლისამდე ავსტრიის ქალაქებში - ობერვარტსა და გესინგში მოუწევს ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონში ასპარეზობა.

მიხეილ კობეშავიძის მიერ გაწვრთნილი 18 წლამდელთა ნაკრები 2010 წლის 22 ივლისიდან 1 აგვისტომდე ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში ითამაშებს. 18 წლამდელებიც B დივიზიონში არიან.

რაც შეეხება ასევე B დივიზიონში მყოფ 16 წლამდელებს, რომელსაც გია კაზანჯიანი თავკაცობს, ესტონეთის დედაქალაქ ტალინში მოუწევს კონტინენტის ჩემპიონატზე თამაში. ტურნირი 5-დან 15 აგვისტომდე გაიმართება.

რაც შეეხება A დივიზიონში მყოფ ეროვნულ ნაკრებს, კენჭისყრა 16 იანვარს გაიმართება, რის შემდეგაც დადგინდება კალენდარი.

რიომ კონკურენტები დაასახელა

"მანჩესტერ იუნაიტედის" მცველის რიო ფერდინანდის აზრით, ინგლისის ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში მანკუნიანელთა მთავარი კონკურენტები კვლავაც "ლივერპული", "არსენალი" და "ჩელსი" არიან.

"კონკურენციას კვლავინდებურად გაგვიწევენ "ლივერპული", "არსენალი" და "ჩელსი". ასევე დავამატებ "მანჩესტერ სიტის". სეზონი არცთუ ცუდად დაიწყო "ტოტენჰემმა". და, საერთოდ, არც ერთი გუნდის ჩამოწერა არ შეიძლება. "ჩელსის" ფეხბურთელები რამდენიმე წელია ერთად თამაშობენ. "არსენალი" ბოლო წლების განმავლობაში უფრო და უფრო იხვეწებოდა და ამ პროცესს ახლაც განაგრძობს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ჩვენთან აღარ არიან კრიშტიანუ რონალდუ და კარლოს ტევესი. არ ვიცი, რამდენად იმოქმედებს ეს გუნდზე, მაგრამ ჩვენ საკუთარი ძალების გვჯერა. გუნდი სერიოზული გამოცდის წინაშე დგას," - ამბობს ფერდინანდი.

დემიკელისი არ გაბრაზებულა

მარტინ დემიკელისი შვაინშტაიგერისა და ლამის შემდეგ ყველაზე დიდი ხანია თამაშობს "ბაიერნში". ის მეშვიდე წელია კლუბშია, თუმცა ეს დღეს არაფერს ნიშნავს. ვან გაალი ვან ბუიტენს და ბადშტუბერს ანიჭებს უპირატესობას. არგენტინელი კი მოთმინებით ელის თავის შანსს და მწვრთნელზე არ ბრაზობს. "მე ფორმაში ვარ. მე ყველაფერს ვაკეთებდი კლუბისთვის და მომავალშიც მინდა გავაკეთო. მე არ ვარ პირველი, ვინც ძირითადის მიღმა დარჩა, მაგრამ მე ვიბრძოლებ. დღევანდელი მდგომარეობის გამო მე გაბრაზებული და უკმაყოფილო არ ვარ. ეს ჩემი გუნდია. შვიდი წელია, "ბაიერნის" მაისურს ვატარებ. ეს ჩემთვის მეორე სახლია. მე ჩემს შანსს დაველოდები", - ამბობს არგენტინელი.

აპენინებზე რასიზმს ებრძვიან

გასულ სეზონში "იუვენტუსისა" და "ინტერის" მატჩში ტურინული კლუბის ფანებმა მარიო ბალოტელის შეურაცხყოფა მიაყენეს. ტრიბუნებზე რასისტული შინაარსის ბანერებიც გამოკიდეს. მომავალ კვირას "ინტერი" კვალვ ესტუმრება "დელე ალპის". იტალიის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტის სერხიო კომპანის განცხადებით, თუ მსგავსი რამ მოხდა, თამაში შეწყდება.

"გასულ წელს, როცა რასობრივი კუთვნილების ნიადაგზე გულშემატკივრებმა მარიო ბალოტელი შეურაცხყვეს, "იუვენტუსს" ცარიელი ტრიბუნების ფონზე უხდებოდა თამაში. მიუხედავად ამისა, მიმდინარე სეზონში ტურინელი ფანები ისევ გამოირჩევიან მსგავსი საქციელით. თამაშის შეჩერება ადვილი არ არის, მაგრამ თუ ბოროტების დამარცხება გვინდა, ეს ნაბიჯი უნდა გადავდგათ. ტრიბუნებზე რასიზმის გამოვლინების შემთხვევაში გუნდების კაპიტნებს თამაშის შეწყვეტას მოვთხოვთ", - ამბობს კომპანი.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე კი აცხადებს, რომ თუ საჭირო იქნება, არბიტრი პოლიციის დახმარებით მატჩს 10 წუთში შეაჩერებს.

"ოლიმპი" VS "ზესტაფონი"

თეა დოლიძე

ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დასასრულს უახლოვდება. პირველი წრის ლიდერი ზესტაფონის "ზესტაფონი" გათამაშების ლიდერ "ოლიმპს" 4 ქულით ჩამორჩა და ამ წრის დასრულებამდე 2 ტურით ადრე "ეროვნულ თასსაც" გამოეთიშა. ზესტაფონში - 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ, განმეორებით შეხვედრაში გეგუჩაძის შეგირდები ქვეყნის მოქმედ ჩემპიონ ვიტჯორჯიასთან დამატებით დროში - 0:4 დამარცხდნენ. ზესტაფონმა მე-16 ტურში ვერც "სპარტაკს" სძლია და 1 ქულას დასჯერდა.

ძირითად შემადგენლობაში მოხვედრაზე გუნდში დიდი კონკურენციაა. გიორგი გეგუჩაძის მისვლის შემდეგ 21 წლის ნახევარმცველი ირაკლი ძარია სისტემატურად ხვდება ძირითად შემადგენლობაში. გამონაკლისი არც ეროვნული თასის მეოთხედფინალი აღმოჩნდა. 1 დეკემბერს ძარია იუბილარი გახლდათ, თუმცა ვიტჯორჯიასგან საკმაოდ არასასიამოვნო საჩუქარი მიიღო.

ირაკლი ძარია: ზედმეტად თავდაჯერებულები გავედით მოედანზე და ამის გამო დავისაჯეთ კიდეც. ზესტაფონში - 3:0 მოვუგეთ ვიტჯორჯიას და თავი ფაქტობრივად ნახევარფინალში გვეგონა. ვერ შევაფასეთ მეტოქე და საკუთარ კარში 4 ბურთი მივიღეთ.

- ირაკლი, ბოლო ხანებში თქვენი მეკარეების: ზურაბ მამალაძისა და როინ კვასხვაძის გარშემო აზრები გაიყო. ბოლო 2 თამაშში "ზესტაფონმა" კარში 7 ბურთი მიიღო. შენი აზრით, დაცვით ხაზშია პრობლემები, თუ შეიძლება გაშვებული გოლები მეკარეს დაბრალდეს?

- გუნდის წაგებას კონკრეტულად ვერავის დავაბრალებ. ყველანი თანაბრად ვართ დამნაშავეები, რომ ბოლო ტურში 1 ქულა ავიღეთ. მეკარის ბრალი, არც ვიტჯორჯიასთან მარცხი იყო.

- "ზესტაფონი" მოიაზრებოდა ყველაზე სტაბილურ გუნდად. რა გახდა ბოლო დროს არასტაბილური თამაშის მიზეზი?

- ფეხბურთელები ძალიან გადავიღალეთ, გადატვირთული გრაფიკი გვაქვს. თან მოედანიც ცუდი დაგვხვდა. გორში ამანაც შეგვიშალა ხელი. ჩვენი მაღალი დონის სტადიონის შემდეგ სხვაგან თამაში გვიჭირს.

- თქვენმა ფანებმა თამაშის ბოლოს მსაჯისადმი აგრესია გამოავლინეს. შენ რას იტყოდი, დაგჩაგრათ მსაჯმა?

- მსაჯების კეთილგანწყობას ჩვენდამი ნამდვილად ვერ ვგრძნობ. შეპასუხების გამო მეც მივიღე ვიტჯორჯიასთან ყვითელი ბარათი. მსაჯობაზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ რაღაცეები მეც არ მომწონს, ისევე როგორც სხვებს.

- 4:0 მარცხის შემდეგ რა გითხრათ გეგუჩაძემ გასახდელში და რამდენად მალე შეძლებთ ამ მარცხის დავიწყებას?

- გეგუჩაძემ გასახდელში გვითხრა, რომ ამ მარცხზე დიდი ხანი არ უნდა გვეფიქრა. ნამდვილად კარგი გაკვეთილი მივიღეთ. მალე დავიბრუნებთ ძველ შემართებას. ისევ ჩემპიონობისთვის ვიბრძვით. თასი ჩვენი აღარ იქნება, მაგრამ ჩემპიონობის პრეტენზია ნამდვილად გვაქვს.

- შემდეგ ტურში უაღრესად დაძაბული მატჩი გელით ჩემპიონატის ლიდერ "ოლიმპთან", თქვენი წინა დაპირისპირება ფრედ - 2:2 დასრულდა. 5 დეკემბერს "ოლიმპთან" ქულების დაკარგვა გაგიუარესებთ სატურნირო მდგომარეობას. შეუძლია, თუ არა "ზესტაფონს", "ოლიმპთან" 3 ქულის აღება?

- ნამდვილად დაძაბული მატჩი იქნება. პირადად მე მინდორზე თავს არ დავზოგავ და გულშემატკივარს სანახაობრივ ფეხბურთს ვპირდები. იმედია "ოლიმპის" დამარცხებას შევძლებთ.

- გადაწყდა უკვე სად იქნება ეს მატჩი?

- გადაწყდა, რომ ბოლნისში იქნება. კარგ სტადიონზე თამაში არ გვაწყენდა, ნამდვილად, მაგრამ ასე გადაწყვიტეს. ჩვენც ველოდებით 5 დეკემბერს და მოსაგებად ვემზადებით.

"ზესტაფონის" მსგავსად პოზიციის გამაგრებაზე "ოლიმპიც" ფიქრობს. "ზესტაფონის" ყოფილი მწვრთნელის - თემურ მახარაძის შეგირდები წაუგებელი თამაშების სერიას განაგრძობენ და ცხრილში პირველი ადგილის მყარად დამკვირდებას აპირებენ.

გრიგოლ ჭანტურია ("ოლიმპის" მეკარე): 5 დეკემბერს პრესტიჟის მატჩი გველის. ჩემთვის, თემურ მახარაძისთვის და სევასტი თოდუასთვის ღირსების თამაშია. გვეძლევა საშუალება დავუმტკიცოთ "ზესტაფონს", რომ ჩვენი გამოშვება თავის დროზე შეცდომა იყო.

- თუ ნახეთ თქვენი კონკურენტის თამაში ვიტჯორჯიასთან? თქვენი აზრით, რა გახდა მარცხის მიზეზი?

- სხვის გუნდზე არ მიყვარს ლაპარაკი, მაგრამ ჩემი აზრით "ზესტაფონი" თავდაჯერებულობამ დაღუპა. ვერ დააფასეს მეტოქე და ჩვენსავით თასის გათამაშების მიღმა აღმოჩნდნენ. მაგრამ ჩვენ ცხრილში პირველები ვართ და იმედია ამ პირველობის განმტკიცების საშუალება "ზესტაფონთან" მოგვეცემა.

- ანუ თქვენ 3 ქულას გეგმავთ?

- იცით, ჩემი აზრით მთავარია მოწინააღმდეგესთან არ წააგო. ასეთ დაძაბულ ჩემპიონატში არ შეიძლება მოდუნება.

- თქვენი მინდვრის საფართან დაკავშირებით "ზესტაფონმა" პროტესტი გამოთქვა, რატომ არ ტარდება ეს მატჩი დინამოზე?

- ჩვენს მინდორზე პრეტენზია არც დინამოს და არც არავის საერთოდ არ გამოუთქვამს. საკმაოდ კარგი მინდორი გვაქვს და ეს უფრო "უფროსების" ამბავია ალბათ. არავის აქვს უფლება მსგავსი მოთხოვნები წამოაყენოს. მეც ჩემს სტადიონზე მინდა თამაში, რუსთავში თამაშს არაფერი მირჩევნია, მაგრამ ამჟამად, არ არის ამის საშუალება და რისი საშუალებაც გვაქვს იმით ვკმაყოფილდებით. გორშიც არ არის იდეალური საფარი, მაგრამ მაინდამაინც ჩვენთან აქვთ პრეტენზია, ასეთი დამოკიდებულება ჩემთვის ნამდვილად გაუგებარია.

კახა კალაძე: "მეორე გოლი საოცარი იყო"

სუსტად დაწყებული სეზონის შემდეგ "მილანმა" თამაშს უმატა. ამ უქმეებზე "კატანიასთან" გასვლით შეხვედრაში მოპოვებული გამარჯვება "როსონერისთვის" ზედიზედ მეცხრე წაუგებელი მატჩი იყო. მართალია, კახა კალაძეს არც ამ თამაშში მიუღია მონაწილეობა და თანაგუნდელთა წარმატებას შორიდან ადევნა თვალი, მაგრამ თამაშის შეფასება საქართველოს ნაკრების კაპიტანს ნამდვილად შეუძლია. სწორედ ეს გააკეთა მან საკუთარი ვებგვერდისთვის მიცემულ მცირე ინტერვიუში. "კატანიასთან" მატჩის მიწურულს ჰოლანდიელმა კლაასს იან ჰუნტელაარმა ორი გოლი გაიტანა. "მილანმა" მოიგო და სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

- კახა, სიურპრიზი იყო იმის ნახვა, რომ კლაასმა გაიტანა, თანაც ორჯერ?

- ეს არ იყო დიდი სიურპრიზი, რადგან ჩვენ ვხედავთ, როგორ ვარჯიშობს კლაასი და როგორ ურტყამს ვარჯიშზე. ალბათ გარემოს უცებ ვერ მოერგო, თუმცა შეიძლება ამ ორმა გოლმა მას რწმენა შემატოს და მორალური განწყობა გაუუმჯობესოს. ეს კი ფეხბურთში უმნიშვნელოვანესია. თანაც, მეორე გოლი საოცარი იყო: ადვილი არ არის ასე დაარტყა, თანაც, ისე, რომ მეკარისკენ არ გაიხედო. ვფიქრობ, ზუსტად იცოდა, სად იყო კარი. ეს არის გოლის ინსტინქტი.

კალაძე "სამპდორიასთან" მძიმე ბრძოლას ელის

- იმ ბოლო წუთებზე ჯერ კიდევ გქონდათ გამარჯვების იმედი?

- როდესაც დრო გადის და ხედავ, რომ ქმნი, მაგრამ გიჭირს კარისკენ დარტყმა, ფიქრობ, რომ მატჩი შეიძლება წავიდეს გარკვეული მიმართულებით. ლეონარდომ მიზანშეწონილად ჩათვალა ოთხი სუფთა თავდამსხმელის გამწესება. ასეთი რამ ხშირად არ ხდება და ის მართალი აღმოჩნდა. ასეთმა მიდგომამ გამოიწვია ის, რომ "კატანია" ჩაიკეტა, ჩვენ კი დავიწყეთ თამაში საჯარიმო მოედანთან უფრო ახლოს და სწორედ იქიდან წარმოიშვა ორი გოლი.

- შემდეგი მეტოქე იქნება "სამპდორია", შაბათ საღამოს "სან სიროზე"...

- კიდევ ერთი რთული მატჩი. ეს არ მითქვამს შემთხვევით "კატანიასთან" მიმართებაში და არ ვამბობ შემთხვევით ამ გარემოებაში. "წითელ-ლაჟვარდოვნებმა" შეგვაკავეს მატჩის უკანასკნელ ორ წუთამდე. თანაც, პატარა სივრცეს გვიტოვებდნენ. დელ ნერის გუნდი კი დერბიში განცდილი მძიმე მარცხის შემდეგ გვხვდება და ამიტომ გაბრაზებული იქნება. ისიც მართალია, რომ მათი თამაშის სტილი გულისხმობს მცდელობას, ეკავოთ მატჩის სადავეები. იმედი გვაქვს, ასეც მოხდება, რათა ლამაზი მატჩი გამოდგეს. თანაც ჰყავთ კასანო, რომელსაც, თუ ფორმაშია, ძალიან უნდა ვუფრთხილდეთ.

დაგვიანებული აღსარება

ადებაიორი "არსენალის" კარში გატანილი გოლის შემდეგ

გვინდა შეგახსენოთ პრემიერლიგის წლევანდელი გათამაშების დასაწყისი, "მანჩესტერ სიტისა" და "არსენალის" მატჩი, რომელიც "ქალაქელებმა" 4:2 მოიგეს. ემანუელ ადებაიორის საქციელის გამო ეს თამაში ინგლისელებს კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ.

წესიერი ფეხბურთელები ყოფილი გუნდის კარში გატანილ გოლს საერთოდ არ აღნიშნავენ. ემანუელ ადებაიორმა კი გოლიც აღნიშნა და "არსენალის" ფანებსაც შეურაცხყოფა მიაყენა. თან ყოფილ თანაგუნდელს ვან პერსის უხეშად მოექცა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ადებაიორი სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და 25 ათასი გირვანქა სტერლინგით დააჯარიმა. იმ თამაშის შემდეგ თითქმის სამი თვე გავიდა. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. ემანუელიც, ეტყობა, ახლაღა მოეგო გონს და საჯაროდ გაზეთ "სანის" მეშვეობით მოიბოდიშა.

"რა თქმა უნდა, მომხდარს ვნანობ. შეცდომისგან არავინ არ არის დაზღვეული. მთავარია, მერე მაინც გამოიტანო სწორი დასკვნები და შეცდომა არ გაიმეორო. ბარაკ ობამა შემცდარა, ცდებოდა კრიშტიანუ რონალდუ, აგერ, სერ ალექს ფერგიუსონმა მოიხადა ბოდიში მსაჯის შეურაცხყოფის გამო. რაც შემეხება მე, მართლაც ძალიან ცუდად მოვიქეცი. იმით, რაც ჩავიდინე, პირველ რიგში, ჩემს მშოლბებს ვატკინე გული. ადამანი ვარ და შევცდი," - განუცხადა ადებაიორმა "სანის" ჟურნალისტს.

ამის შემდეგ ტოგოელმა ფორვარდმა მიმდინარე საფეხბურთო მოვლენებზე ისაუბრა.

"კმაყოფილი ვარ თუ არა ჩემი სათამაშო ფორმით? არა. დისკვალიფიკაციის შემდეგ თამაშს დავუბრუნდი, მაგრამ სათანადო ფორმაში ვერ შევდივარ. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ტრავმა მაწუხებს. 100 პროცენტით მზად არ ვარ, თუმცა, მუშაობას ვაგრძელებ და სულ მალე ისევ იმ ფეხბურთს ვაჩვენებ, რომელსაც სეზონის სტარტზე ვაჩვენებდი. გოლები იქნება - ამას გპირდებით, მაგრამ პირადად ჩემთვის ჩემს გოლებზე უფრო მნიშვნელოვანი გუნდის დახმარებაა. მთავარია, რომ გუნდში ჩემი სჯერათ. აქ სიყვარულს ვგრძნობ, - ამბობს ადებაიორი.

საუბრის ბოლოს ტოგოელმა ჟურნალისტებს გაანდო პატარა საიდუმლო, რომელიც მას არსენ ვენგერმა ასწავლა (ტიერი ანრიმ "არსენალი"-"სიტის" სკანდალური მატჩის შემდეგ თქვა: "ეს როგორ იკადრა ადებაიორმა, ფეხბურთელად ვენგერმა აქცია".)

"როდესაც "არსენალში" გადავედი, ვენგერმა წამიყვანა ერთ ქალბატონთან, რომელიც იოგას მასწავლიდა. ეს ძალიან დამეხმარა. ვენგერს უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. ახლა "სიტიში" ვარ და, საბედნიეროდ, აქაც მყავს იოგას მასწავლებელი", - აცხადებს ადებაიორი.

წილისყრის მოლოდინში

წილისყრა ამ დარბაზში გაიმართება

საფეხბურთო სამყარო 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფური ტურნირის წილისყრის მოლოდინშია. ხვალ კეიპტაუნში მუნდიალის მონაწილე 32 გუნდს (32-ს და არა 33-ს, როგორც ირლანდიელებს სურდათ) 8 ქვეჯგუფში გაანაწილებენ. წილისყრის ცერემონიალი ნამდვილ ვარსკვლავთცვენად იქცევა. პირველი აფრიკული მუნდიალის ორგანიზატორები ძალღონეს არ იშურებენ, რათა მსოფლიო გააოცონ.

წილისყრის ცერემონიალს ჰოლივუდის ვარსკვლავი, სამხერთაფრიკელი მსახიობი, ოსკარის მფლობელი შარლიზ თერონი წაუძღვება. კეიპტაუნს ესტუმრა სპორტის ცოცხალი ლეგენდა, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ეთიოპიელი სტაიერი ჰაილე გებრსელასე. ცხადია, ასეთი ღონისძიება ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის გარეშე არ ჩაივლის - კეიპტაუნში წილისყრის ცერემონიალის ერთ-ერთი მთავარი გმირი იქნება ინგლისელი ვარსკვლავი დევიდ ბექჰემი, რომელსაც გვერდს დაუმშვენებენ სამხრეთ აფრიკის ფეხბურთელთა ნაკრების ლიდერი მეთიუ ბუტი, ამავე ქვეყნის მორაგბეთა ეროვნული გუნდის კაპიტანი ჯონ სმიტი და კრიკეტისტთა ნაკრების პირველი ფერადკანიანი წევრი მაჰაია ნტინი. სავარაუდოდ, ამ ღონისძიებას 350-მილიონიანი ტელეაუდიტორია ეყოლება. მოკლედ, ყველაფერი ეს ხვალისთვის არის დაგეგმილი. მანამდე კი კეიპტაუნში ფიფას მაღალჩინოსნები მუშაობდნენ და რამდენიმე საინტერესო პრეზენტაციაც გაიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფიფამ არ დააკმაყოფილა ირლანდიელთა თხოვნა და მუნდიალზე 33-ე გუნდი არ დაუშვა.

ფიფას გენერალურმა მდივანმა ჟერომ ვოლკმა ირლანდიელთა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება გამორიცხა და განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის სტრუქტურის შეცვლა შეუძლებელია.

ამასთან, ვოლკის მოსაზრებით, ფიფას, გამონაკლისის სახით, ირლანდიელები მართლაც რომ დაეშვა მუნდიალზე, სხვა ქვეყნების გუნდებიც იგივეს მოითხოვდნენ.

"შეიძლება ამას აბსურდი არც ვუწოდოთ, მაგრამ ზუსტად ასეთი გადაწყვეტილების მიღება შეუძლებელია", - დასძინა მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა.

ფიფამ უკვე შეიმუშავა 2010 წლის მუნდიალის ოფიციალური ბურთის დიზაინი და შეირჩა მსოფლიო ჩემპიონატის ჰიმნი. მომავალ ზაფხულს პლანეტის 32 უძლიერესი გუნდი ახალი ბურთით გაეჯიბრება ერთმანეთს. ამ ბურთს სახელად უწოდეს "ჯაბულანი", რაც ქართულად "ზეიმს" ნიშნავს. ოფიციალურ ჰიმნად შეარჩიეს კომპოზიცია "მოფრიალე დროშა", რომელსაც სომალური წარმომავლობის კანადელი რეპერი K'naan ასრულებს. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ოფიციალური ჰიმნის რანგში ეს კომპოზიცია წარმოდგენილი იქნება მუნდიალის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაზე.

რეპერი K'naan 1978 წელს სომალის დედაქალაქ მოგადიშოში დაიბადა. მისმა ოჯახმა 1991 წელს, სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ დატოვა სამშობლო და ტორონტში იპოვა თავშესაფარი. ახალგაზრდა სომალელ რეპერის წინსვლაში დაეხმარა ცნობილი სენეგალელი მომღერალი Youssou N'Dour-ი.

მოკლედ, დაველოდოთ ხვალინდელ დღეს და შარლიზ თერონისა და რეპის ჰანგების ფონზე გავიგოთ, როგორ დაჯგუფდება პლანეტის უძლიერესი 32 გუნდი.

ლავი ფანებმა აითვალწუნეს

ბრაზილიური "პალმეირასის" ფორვარდს ვაგნერ ლავს სან-პაულუში თავისი გუნდის ქომაგები დაესხნენ თავს.

"პალმეირასის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, ინციდენტი 1 დეკემბერს ქალაქის ერთ-ერთი ბანკის ავტოსადგომთან მოხდა. ვაგნერს კლუბის სამი გულშემატკივარი მიუახლოვდა. ფანებმა ის ცუდად თამაშში დაადანაშაულეს, რის საფუძველზეც მათ შორის კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნა. შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ ქომაგები დააკავა. ინციდენტის შედეგად ბრაზილიელი თავდამსხმელი სერიოზულად არ დაშავებულა. მან იმავე საღამოს გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც.

"დეპორმა" ფორვარდი დაკარგა

ლაკორუნიული "დეპორტივოს" თავდამსხმელი ლასად ნუიუი დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს ფეხბურთის თამაშს. ტუნისელი ფორვარდი დაშავდა პრიმერადივიზიონის მატჩში, რომელიც "დეპორმა" 1:0 მოუგო სანტანდერის "რასინს".

ექიმების ვარაუდით, 23 წლის ნუიუის ტრავმის მოსაშუშებლად, სულ მცირე, ოთხი კვირა დასჭირდება.

"იების" ლაზარეთი გაივსო

"ფიორენტინა" მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდა - ამ გუნდის რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტრავმის გამო ვერ თამაშობს. ახლახან დაშავდა მარკო მარკიონი, რომელიც "იების" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. ნახევარმცველი, სულ მცირე, ათ დღეს ვერ ითამაშებს და გამოტოვებს იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩს.

გასულ ტურში "ინტერთან" დაპირისპირებისას დარიო დაინელიც დაშავდა და მასაც ვადაზე ადრე მოუხდა მოედნის დატოვება. თუმცა, მარკიონისგან განსხვავებით, ფლორენციელთა კაპიტნის ტრავმა (მან საზარდული დაიზიანა) შედარებით მსუბუქია. ექიმების ვარაუდით, კვირამდე ის გამოჯანმრთელდება.

ამ ფეხბურთელების გარდა, "ფიორენტინას" ლაზარეთში ძირითადი შემადგენლობის კიდევ სამი მოთამაშეა - ალესანდრო გამბერინი, ადრიან მუტუ და სტევან იოვეტიჩი.

რობერტო კარლოსი სამშობლოში ბრუნდება

წარმატებული ევროპული კარიერის შემდეგ ბრაზილიელთა უმეტესობა სამშობლოში ბრუნდება. ცხადია, გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, რივალდო, რომელმაც უზბეკურ "ბუდინკორს" მიაშურა, თუმცა რივალდო ამ მხრივ მართლაც გამონაკლისია.

რობერტო კარლოსი კი თანამემამულეთა გზას ადგას და კარიერის დასრულებას სამშობლოში აპირებს. 36 წლის მარცხენა მცველს ევროპული ვოიაჟი მობეზრდა ("ინტერი", "რეალი", ბოლოს კი - "ფენერბახჩე"). 14 წელი გაატარა რობერტო კარლოსმა ევროპაში და ახლა სამშობლოში დაბრუნდება, სადაც რონალდოსთან ერთად "კორინთიანსში" ითამაშებს.

"კონტრაქტი ჯერ არ გაგვიფორმებია, თუმცა, ჩემთვის რობერტო კარლოსის სიტყვა ნებისმიერ ხელმოწერაზე უფრო მტკიცე საბუთია. მან სიტყვიერი თანხმობა უკვე მოგვცა. ახლა მხოლოდ თურქულ კლუბთან დარჩა სიტუაცია გასარკვევი. სავარაუდოდ, იანვრიდან ის ჩვენს განკარგულებაში იქნება", - ასეთი კომენტარი გააკეთა "კორინთიანსის" მთავარმა მწვრთნელმა მანო მენეზესმა ბრაზილიელ ჟურნალისტებთან საუბრისას.

რობერტო კარლოსს კარიერის განმავლობაში თითქმის ყველაფერი აქვს მოგებული, რისი მოგებაც შეუძლია ფეხბურთელს სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე.

მორატი ბალოტელის არ ყიდის

"ინტერის" ახალგაზრდა ფორვარდს მარიო ბალოტელისა და გუნდის მთავარ მწვრთნელს ჟოზე მოურინიოს შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა. გაჩნდა ვარაუდი, რომ ბალოტელი "ნერაძურის" დატოვებდა, მით უმეტეს, რომ ფეხბურთელის შეძენის მსურველები მრავლად არიან, მათ შორის, "ბარსელონა" და "არსენალი".

"ბალოტელი არ იყიდება. მისი გასხვისება აზრადაც არ მოგვსვლია. უბრალოდ, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ბოლო პერიოდში არსებული დაძაბული ურთიერთობა უნდა დავარეგულიროთ და ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. ასე რომ, სიტუაციას კრიტიკულს ვერ ვუწოდებ. დარწმუნებული ვარ, მოურინიო კონფლიქტს ადვილად მოაგვარებს და ბალოტელი გუნდისთვის ისევ საჭირო ფიგურად იქცევა", - ასეთი კომენტარი გააკეთა "ინტერის" პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ და ბალოტელის ტრანსფერზე საუბარს წერტილი დაუსვა. რაც შეეხება მოურინიოს, მისი ბედი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. თუ "ინტერმა" ვერ მოახერხა ყაზანის "რუბინის" დამარცხება და ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში გასვლა, პორტუგალიელს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს.

ბალაკმა ენკე გაიხსენა

მიხაელ ბალაკი და რობერტ ენკე 13 წლის ასაკიდან იცნობდნენ ერთმანეთს. ისინი "კარლ ცაისში" ერთად თამაშობდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ 10 ნოემბერს ენკეს თვითმკვლელობამ გერმანიის ნაკრების კაპიტანი შოკში ჩააგდო. ერთ-ერთი ინგლისური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ნახევარმცველმა მეგობრის გარდაცვალების შესახებ ისაუბრა. "სასტუმროში ვიყავი, როცა ეს ამბავი შევიტყვე. შოკში ჩავვარდი. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა... ყველა ვტიროდით. ჩვენ კარგი მეგობარი დავკარგეთ", - განაცხადა ბალაკმა. არც ბალაკმა იცოდა რამე ენკეს დეპრესიის შესახებ. "არასოდეს ვიფიქრებდი, რომ ასეთი პრობლემები ჰქონდა. რა ცუდია, რომ არაფერი ვიცოდით და ვერაფრით დავეხმარეთ. ამის შემდეგ ერთი რამ ნამდვილად ვისწავლეთ: ადამიანებს სისუსტეებიც აქვთ და ჩვენ მათ პატივი უნდა ვცეთ", - თქვა ბუნდესნაკრების კაპიტანმა.

ჰიტცლშპერგერს კაპიტნის სამკლაური ჩამოართვეს

ამ სეზონში "შტუტგარტი" არასახარბიელო შედეგებს უჩვენებს, რასაც გუნდის მესვეურები ფეხბურთელებს აბრალებენ. ამის გამო დაისაჯა გუნდის ლიდერი და კაპიტანი ტომას ჰიტცლშპერგერი, რომელსაც კაპიტნის სამკლაური ჩამოართვეს.

გუნდის წარუმატებლობაში კლუბის ხელმძღვანელები არავითარ პასუხისმგებლობას არ აკისრებენ მწვრთნელ მარკუს ბაბელს, რომელსაც სრული ნდობა გამოუცხადეს. არადა, "შტუტგარტი" ბუნდესლიგის გათამაშების ცხრილის ბოლო საფეხურს იკავებს. ზამთარში "შვაბების" ბოსები რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენას გეგმავენ.

ვილია 88 მილიონად შეფასდა

"ვალენსია" რთულ ფინანსურ მდგომარეობაშია - შესაძლოა, გუნდმა დავიდ ვილიაც კი გაყიდოს. "ღამურების" პრეზიდენტმა მანუელ ლიორენტემ უკვე დაასახელა ის თანხა, რომლის სანაცვლოდაც შეელევა ვილიას. კერძოდ, ესპანეთის ნაკრებისა და "ვალენსიას" მთავარი მეგოლე 88 მილიონ ევროდ შეფასდა.

"გადავწყვიტეთ, ვილია 88 მილიონ ევროდ შევაფასოთ. ეს ფასი იმდენად ჩვენი სურვილითა არ არის განპირობებული, რამდენადაც სატრანსფერო ბაზრის მოთხოვნით. ჩემი აზრით, ვილიამ უკვე დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის ფეხბურთელია", - ამბობს ლიორენტე. გასულ ზაფხულს ესპანეთის ნაკრების ფორვარდის შეძენას მადრიდის "რეალი" და "ბარსელონა" ცდილობდნენ, თუმცა "ვალენსიამ" ფეხბურთელის გასხვისება არ ისურვა. ახლა ვილიას შეძენის მთავარი ფავორიტი ლონდონის "ჩელსია".

ტოტიმ ახალი კონტრაქტი გააფორმა

"რომას" კაპიტანმა და სიმბოლომ ფრანჩესკო ტოტიმ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმა.

იტალიური მედიის ცნობით, "რომაელებთან" 33 წლის ფორვარდის ახალი ხელშეკრულება ათ წელიწადზეა გათვლილი. აქედან ხუთ წელიწადს ტოტი კლუბში ფეხბურთელის რანგში გაატარებს, ხოლო შემდეგ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე იმუშავებს. ამასთან, ფეხბურთელის იურისტებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონი "რომას" ხელმძღვანელობის ცვლილების შემთხვევაშიც კი შეინარჩუნებს პოსტს.

"კონტრაქტს ხელი მოვაწერეთ. ველოდებით, "რომა" როდის გააფორმებს დოკუმენტაციას. სულ უფრო ახლოვდება ჩემი კარიერის დასასრული, თუმცა ჯერ იმაზე ფიქრიც კი არ მინდა, როდის გავიხდი ბუცებს სამუდამოდ", - ამბობს ტოტი.

"ბენფიკა" ბრაზილიელ ფორვარდს ყიდულობს

პორტუგალიური ფეხბურთის გრანდი "ბენფიკა" ბრაზილიელი ფორვარდის ხარჯზე აპირებს გაძლიერებას. "ბენფიკას" ბრაზილიის ეროვნული გუნდისა და "ატლეტიკო მინეიროს" თავდამსხმელის დიეგო ტარდელის შეძენა სურს.

მიმდინარე სეზონში ტარდელიმ "ატლეტიკო მინეიროს" შემადგენლობაში ჩატარებულ 29 მატჩში 18 გოლი გაიტანა. ბრაზილიის ნაკრებში 24 წლის ფეხბურთელს 4 შეხვედრა აქვს გამართული.

იბიშევიჩი გადარჩა

"ჰოფენჰაიმის" ბოსნიელი თავდამსხმელი ვედად იბიშევიჩი ბუნდესლიგის მე-12 ტურში "დორტმუნდთან" მატჩში მეტოქის მცველ პატრიკ ოვომოიელასთან უხეში თამაშისთვის დასჯას გადაურჩა.

თამაშის დროს არბიტრმა ვერ შეამჩნია, რომ იბიშევიჩი მოწინააღმდეგეს თმაში სწვდა, მაგრამ მოგვიანებით გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მომხდარის გამო გამოძიების ჩატარება გადაწყვიტა. ბოსნიელ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა, მაგრამ ოვომოიელამ განაცხადა, რომ იბიშევიჩის დასჯის საფუძველი არ არსებობს, რის შემდეგაც დისციპლინარებმა გამოძიების შეწყვეტის გადაწყვეტილება მიიღეს.

ყველაზე ჩუმი მკვლელი

ზურაბ თალაკვაძე

Yahoo.com-მა რამდენიმე თვის წინ საინტერესო გამოკითხვის ჩატარება დაიწყო. ამ ვებგვერდმა სპორტის თითქმის ყველა სახეობაში, ასევე ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადების ბოლო 10 წლის საუკეთესოები გამოავლინა. საბოლოო სიებით ბოლომდე კმაყოფილი ვერავინ დარჩებოდა, თუმცა ბევრ რამეში ნამდვილად ვეთანხმები. ისევე როგორც კალათბურთში, სადაც პირველ ადგილზე გავიდა ის, ვინც ამას ყველაზე მეტად იმსახურებდა. დღეიდან ამ სიებიდან ყველაზე საინტერესოების გამოქვეყნებას ვიწყებთ და იმედი მაქვს, უინტერესო ამბებს არ გაგაცნობთ. დავიწყეთ კალათბურთით და NBA-ს ათი უკაშკაშესით.



ტიმ დანკანი ბოლო ათწლეულის საუკეთესოა

10. ალენ აივერსონი (ფილადელფია, დენვერი, დეტროიტი, მემფისი)

კარიერის სტატისტიკა: 889 მატჩი, 24 020 (27.0) ქულა, 5 522 (6.2) პასი, 3 319 (3.7) მოხსნა.

მოკლედ: აივერსონზე ბოლო დროს ხშირად მიწევს წერა, მაგრამ ერთხელაც გეტყვით, რომ ალენი იყო მთლიანად გუნდი, მის გარეშე კი "ფილადელფია" ლიგის უსუსტესებში ყველაზე დაჩაგრული იქნებოდა. აივერსონი კლათბურთიდან ასე არ უნდა წავიდეს და იმედია, მოთამაშე და მისი ყოფილი (ანუ პირველი) გუნდი "ფილადელფია" საერთო ენას გამონახავენ.

9. ტრეისი მაკგრეიდი (ტორონტო, ორლანდო, ჰიუსტონი)

კარიერის სტატისტიკა: 784 მატჩი, 17 289 (22.1) ქულა, 4 777 (6.1) მოხსნა, 3 700 (4.7) პასი.

მოკლედ: თი მაკი 2002-03 წლების რეგულარულის საუკეთესო მოთამაშე იყო, მაგრამ ინდივიდუალური ჯილდოს გარეშე დარჩა. "მეჯიქის" ვარსკვლავი ერთ მატჩში საშუალოდ 32.1 ქულას აგროვებდა და ფლორიდელების პროგრესი ამ უნიჭიერესმა, მაგრამ ზარმაცმა და უმოტივაციო მსროლელმა განაპირობა. ერთადერთი, რაც მას დიდ მინუსს უწერს, ის არის, რომ ტრეისის არც ერთ გუნდთან მთელი კარიერის განმავლობაში პლეი-ოფის არც ერთი სერია არ მოუგია. "ჰიუსტონში" ტრეისის შედეგიანობა დაეცა, მაგრამ გუნდს იაო მინის სახით პირველი შემტევი ანუ Go To Guy ჰყავს და ტრეისიც (რომელიც ახლა დამტვრეულია) ყველაფერს შეეგუა.

8. დუეინ უეიდი (მაიამი)

კარიერის სტატისტიკა: 411 მატჩი, 10 378 (25.3) ქულა, 2 007 (4.9) მოხსნა, 2 723 (6.6) პასი.

მოკლედ: ტრავმებმა ამ ფეთქებად და უნიჭიერეს უკანახაზელს ბევრი რამ წაართვა, მაგრამ როდესაც ჯანმრთელია, დუეინ უეიდი პერმანენტულად შეგვიძლია პლანეტის ხუთ საუკეთესოში შევიყვანოთ. მოწოდებით ლიდერი, რომელმაც შაკთან ერთად, მაგრამ მაინც ყველაზე მეტად განაპირობა "ჰიტის" ჩემპიონობა. იმ სერიაში დუეინი უძვირფასესად დაასახელეს, წელს კი "მაიამის" კაპიტანი რეგულარულის საუკეთესოდ აღიარების (თუ ტრავმას არ მიიღებს) ფავორიტებშია. ძალიან ძლიერია დაცვაში და ხშირად ბოლო სროლით თავისი გუნდისთვის გამარჯვება მოუტანია. ერთადერთი მინუსი ისევ და ისევ ხშირი ტრავმიანობაა.

7. ჯეისონ კიდი (ნიუ ჯერსი, დალასი)

კარიერის სტატისტიკა: 1 125 მატჩი, 15 466 (13.8) ქულა, 10 361 (9.2) პასი, 7 506 (6.7) მოხსნა.

მოკლედ: კიდს კარიერაში ასზე მეტი სამმაგი დუბლი აქვს გაკეთებული და, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ლიგის ახალგაზრდა, ჯანიანი თანაამპლუელების წინააღმდეგ საგრძნობლად ფერმკრთალდება, "დალასისთვის" მაინც დიდი ძალაა. ჯეისონმა "ნიუ ჯერსი" ზედიზედ ორჯერ სუპერფინალში გაიყვანა, მაგრამ ისტ რუზერფორდის ბინადარი ჯერ მშრალად დამარცხდა "ლეიკერსთან", მეორედ კი 2:4 დათმო ფინალი მაშინ ჯერ კიდევ დევიდ რობინსონის (და კიდევ ერთი კაცის) "სპურსთან". ჯეისონს გაუჭირდება ჩემპიონობის მოპოვება, მაგრამ მაინც დარჩება ყველა დროის გამორჩეულ გამთამაშებლად. ძალიან მაგარი ვინმეა!

6. შაკილ ო`ნილი (ლეიკერსი, მაიამი, ფინიქსი, კლივლენდი)

კარიერის სტატისტიკა: 1 128 მატჩი, 27 741 (24.6) ქულა, 12 642 (11.2) მოხსნა, 2 939 (2.6) პასი.

მოკლედ: ყველგან, ყოველთვის, ასაკის მატების მიუხედავად, ყურადღების ცენტრში იყო, თუმცა "მაიამისთან" ჩემპიონობის 2006-ში მოგების მერე ბევრი არაფრისთვის მიუღწევია. შაკს "ფინიქსში", ალბათ, უფრო წარმატებული პერიოდი უნდა ჰქონოდა, მაგრამ არიზონელებმა "სპურსთან" თითქმის მოგებული სერია დათმეს. სერიის ოთხ მატჩში შაკისა და სტივ ნეშის საძმო 20 და მეტი ქულით იგებდა და საბოლოოდ შემდეგ წრეში მაინც პოპოვიჩის გუნდი გავიდა. ო`ნილი "კლივლენდშიც" საჩემპიონოდ გადავიდა. ვნახოთ, რამდენად შეძლებს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრი დასახული მიზნის მიღწევას. მას ამაში ლებრონი (და პირიქით) დაეხმარება.

5. ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)

კარიერის სტატისტიკა: 489 მატჩი, 13 489 (27.6) ქულა, 3 421 (7.0) მოხსნა, 3 295 (6.7) პასი.

მოკლედ: მეცინება, როდესაც ვიხსენებ, რომ ამ მონსტრს კარმელო ენტონის ადარებდნენ. ლებრონის ერთი-ერთზე დაჭერა შეუძლებელია, თუმცა ჭკვიანური დაცვით ამ ტერმინატორის მორჯულებაც შეიძლება. 2007-ში მან "კავალიერსი" სუპერფინალში გაიყვანა (სადაც გუნდი 0:4 შერცხვა "სან ანტონიოსთან"), რაც ამ ეტაპზე ჯეიმსის ეპოქის გუნდის საუკეთესო შედეგია. ჯეიმსის ინდივიდუალური სტატისტიკა ფენომენალურია! ცენტრის გარდა, ლებრონი ნებისმიერ პოზიციაზე სახიფათოა და ბოლო დროს ხშირად პლეიმეიკერობასაც ითავსებს. "მეფეს" გვირგვინის უფრო მყარად მორგებისთვის მხოლოდ ჩემპიონობა აკლია. ესეც მალე იქნება.

4. დირკ ნოვიცკი (დალასი)

კარიერის სტატისტიკა: 857 მატჩი, 19 573 (22.8) ქულა, 7 335 (8.6) მოხსნა, 2 297 (2.7) პასი.

მოკლედ: ნოვიცკი ერთხელ (2005-06) გახდა ლიგის უძვირფასესი და ქულების მოხვეჭის მანქანად იქცა. იმავე სეზონში მან "მავერიქსი" სუპერფინალში გაიყვანა, მაგრამ სერიაში "მაიამისთან" 2:0 დაწინაურების შემდეგ, ტეხასელებმა ჯახი მაინც წააგეს. გერმანელი არ არის ძლიერი დამცველი, მაგრამ შეტევაში შეუჩერებელია. ხშირად მის წინააღმდეგ ორმაგ მეურვეობას მიმართავენ, რაც დირკის თანაგუნდელებს შეტევაში სივრცეს უთავისუფლებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზელიგის ისტორიაში ყველაზე უხვქულიანი და უხვმოხსნიანი ევროპელი იქნება. მინუსი? დაცვა და ის, რომ ერთხელაც ვერ დაასრულა რეგულარული საშუალო ორმაგი დუბლით.

3. კობი ბრაიანტი (ლეიკერსი)

კარიერის სტატისტიკა: 965 მატჩი, 24 310 (25.2) ქულა, 5 109 (5.3) მოხსნა, 4 469 (4.6) პასი.

მოკლედ: ძნელია ვარსკვლავებით გაძეძგილ დასავლეთში პერმანენტულად საუკეთესოებში გყავდეს გუნდი, მაგრამ კობი ამას ახერხებს, თუმცა ისიც ვთქვათ, რომ მის გვერდით, ერთი უშაკო სეზონის გარდა, ყოველთვის, სულ მცირე, ორი ბობოლა იდგა. კობის ერთი-ერთზე აყვანა შეუძლებელია. ბრაიანტი ჯორდანის წასვლის მერე ყველაზე შედეგიანი მოთამაშეა და ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდამ უწია 20 000 ქულას. 2005-06 წლების სეზონში "ლეიკერსის" ლიდერს ფენომენალური სტატისტიკა ჰქონდა: ერთ მატჩში საშუალოდ 35 ქულაზე მეტს აგროვებდა. ამ შედეგისთვს კი ბოლოს მხოლოდ "მის უჰაერესობას", ანუ "ბულზის" ერთ ვიღაცას მიუღწევია.

2. კევინ გარნეტი (მინესოტა, ბოსტონი)

კარიერის სტატისტიკა: 1 073 მატჩი, 21 533 (20.1) ქულა, 11 814 (11.0) მოხსნა, 4 580 (4.3) პასი.

მოკლედ: გარნეტი წლების განმავლობაში ერთგულად ემსახურა ჯერ აუტსაიდერ, მერე კი მოღონიერებულ "მინესოტას". ერთხელ გუნდი დასავლეთის ფინალშიც გაიყვანა, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხა. ბოლოს გუნდმაც მისცა მას საჩემპიონოდ გაბრძოლების შანსი და კევინმა ეს "სელტიქსში" მისვლისთანავე მოახერხა. გარნეტი ყველა დროის ერთ-ერთი უძლიერესი დამცველია, იდეალურად კითხულობს თამაშს. ქეი ჯის ერთადერთი ნაკლი გადამწყვეტ მომენტში ბურთის სხვისთვის შეჩეჩებაა, თუმცა სხვა მხრივ გარნეტი ბრწყინვალე გუნდური მოთამაშე და ნამდვილი ლიდერია. სულ ცოტა, ორი სეზონი ეს კაცი კიდევ მაღალ დონეზე იქნება.

1. ტიმ დანკანი (სან ანტონიო)

კარიერის სტატისტიკა: 912 მატჩი, 19 487 (21.4) ქულა, 10 687 (11.7) მოხსნა, 2 895 (3.2) პასი.

მოკლედ: ყველა დროის უდიდესი მძიმე ფორვარდი. მოთამაშე, რომელიც ასევე ყველა დროის საუკეთესო ათეულში შევიდა და ვისაც უმაღლეს დონეზე თამაში ჯერაც შეუძლია. დანკანს შაკმა "ჩუმი მკვლელი" შეარქვა და ტიმიც იდეალურად ირგებს ამ ნიკს. სტაბილურობის ეტალონი და დომინანტი, რომელსაც ყველაზე მეტჯერ უწევს ორმაგი მეურვეობის დაძლევა. დანკანმა ოთხჯერ სხვადასხვა შემადგენლობით მოაპოვებინა გუნდს ჩემპიონობა. არავინ დავობს, რომ დიდი ძალაა პარკერი და ჯინობილი, მაგრამ "სან ანტონიო" დღესაც დანკანის გუნდია. უძლიერესი დამცველი და ლიდერი, რომელსაც რეგულარულსა და პლეი-ოფში ხშირად ერთი სროლით თამაშის ბედი გადაუწყვეტია. ერთადერთი სუსტი წერტილი საჯარიმოების ცუდი რეალიზაციაა (კარიერაში 68.5 პროცენტი). სხვა მხრივ კი ტიმი უძლიერესია.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიურო, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ, ფაქტიური მისამართი: ქეთევან წამებულის ქუჩა №1 აცხადებს ტენდერს:

– სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს საოფისე შენობის ტერიტორიაზე შემოღობვის, ავტომანქანების სადგომისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე მდებარე ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-10კმ, ერთ ლოტად (დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები) და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

2. სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 70 დღისა.

3. დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა და მიღება ქართულ ენაზე შეუძლიათ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის დასრულებამდე, მისამართზე: ქ. თბილისი ქეთევან წამებულის ქუჩა №1, მესამე სართული ოთახი №302.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა მხოლოდ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

ტენდერში მონაწილეობის მსურველმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადონ შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220 101 222 ანგარიშის ნომერზე №200122900, სახაზინო კოდი 302004000 იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობისათვის.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციის და სატენდერო წინადადების მიღების ვადაა 2009 წლის 24 დეკემბრიდან 25 დეკემბრის 17:00 საათამდე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორამციას.

5.1. **იურიდიული პირისათვის:**

ა) ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრება ან სანაციის საქმის წარმოება.

ბ) ცნობას რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

5.2. **ფიზიკური პირისათვის:**

ა) ცნობას რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე.

ბ) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ;

5.3 **როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირისათვის:**

ა) სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონს/ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე არსებული დავალიანების შესახებ;

6. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დამატებით დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

1. სატენდერო წინადადებას, ლოკალურ ხარჯთაღრიცხვას შედგენილს რესურსული ნორმებით. (ამონაბეჭდი დამოწმებული ხელმოწერითა და ბეჭდით, ასევე ელექტრონული სახით CD)

2. სამუშაოებში გამოსაყენებელი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ.

3. წერილი ან ცნობა სადაზღვევო კომპანიიდან, პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, სამშენებლო სამუშაოების, მესამე პირის მიმართ მიყენებული ზიანის და სამშენებლო მასალების დაზღვევაზე მზადყოფნის შესახებ.

4. წერილი ან ცნობა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან იმის თაობაზე, რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი არ ირიცხება არაკეთილსინდისიერ მიმწოდებელთა და პრეტენდენტთა სიაში.

5. ინფორმაცია სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროდან პრეტენდენტის წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების მიმდინარეობის შესახებ.

ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უარყოფილი იქნება სატენდერო კომისიის მიერ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 და მე-6 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

მე-5 და მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება გარდა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის 3-ე პუნქტით და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-15 მუხლის 4-ე პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის სავალდებულოა სატენდერო წინადადების ღირებულების 1%–ის ოდენობის საბანკო გარანტიის წარმოდგენა. სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტია, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილი ერთად, დახურულ კონვერტში ორ ეგზემპლარად. (ერთი დედანის და ერთი – ქსეროასლის სახით) შემდეგ მისამართზე: ქეთევან წამებულის ქუჩა №1, მესამე სართული ოთახი №302. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება ორ კონვერტად.

გამარჯვებულმა პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით სახელშეკრულებო თანხის 3%-ის ოდენობის საბანკო გარანტია.

7. სამუშაოებში გამოსაყენებელი ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

№	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული)	

სუბკონტრაქტორთა მონაწილეობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორთა საკვალიფიკაციო მონაცემები.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის სახით.

ტენდერის შედეგად გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული, რომელთანაც დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე დამატებითი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ შემდეგი პირებისაგან ვლადიმერ ღუდუშაური, ნინო სულიკაშვილი ტელეფონი: 74-92-61, მისამართზე თბილისი ქეთევან წამებულის ქუჩა №1, მესამე სართული ოთახი №302

სატენდერო კომისია

ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის და მასზე განთავსებული მშენებარე ნაგებობის პრივატიზების შესახებ

№	დანიშნულება	მისამართი	მიწის ფართი კვ.მ	განაშენიანების ფართი კვ.მ	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარებში)	„ბე“-ს თანხა ლარებში	„ბიჯი“ ლარებში
1	სასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზე განთავსებული მშენებარე ნაგობობა	ასპინძა, სოფელი ტოლოში „შალოშეთი“	1284	913	400	40	20

აუქციონში მონაწილეობა აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 % -ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა: აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ძირითად საშუალებებზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ინფორმაცია განაცხადების მიღების შესახებ: აუქციონში მონაწილეთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2009 წლის 3 დეკემბრიდან 2010 წლის 4 იანვრის ჩათვლით ყოველდღე (შაბათ კვირის გარდა) 10 საათიდან 16 საათამდე, აუქციონი ჩატარდება 4 იანვარს 16^{00} საათზე.

აუქციონში მოანწილეობის მისაღებად პრეტენდენტმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინოს:

1. განცხადება
2. „ბე“-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითრი (ორი ასლით)
3. მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი (ორი ასლით) – ბილეთის ფასი 20 (ოცი) ლარი
4. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (ასლით)
5. იურიდიული პირები დამატებით წარმოდგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან
6. ნოტარილურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
7. იურიდიული პირისათვის ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტთან დავალიანების არ არსებობის შესახებ

სააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამრჯვებული მყიდველი ვალდებულია: აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარულილი დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გამოსასყიდი თანხა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და შეტანილი „ბე“ არ დაუბრუნდება.

დამატებითი ინფორმაცია: კალენდარულ დღეთა ათვლა მიმდინარეობს პრესაში მისი გამოქვეყნებიდან. იმ შემთხვევაში თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება პირველსავე სამუშაო დღეს, ხოლო აუქციონი ჩატარდება იმავე დღეს 16^{00} საათზე.

მონაწილეს უფლება აქვს „ბე“-ს დაუკავებლად წერილობით უარი განაცხადოს აუქციონში მონაწილეობაზე, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში. სხვა შემთხვევაში (მათ შორის: აუქციონზე გამოუცხადებლობისას) მის მიერ გადახდილი „ბე“- უკან არ უბრუნდება.

თანხა ჩაირიცხება სს საქართველოს „სახალხო ბანკი“-ს ასპინძის ფილიალი, კოდი 220101451, ანგარიშის №33030401, საიდენტიფიკაციო კოდი 223105155.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობას. მისამართი დ. ასპინძა თამარ მეფის ქ№3 III სართული ტელ 8 (264) 9-16-16, 899 169331

სააუქციონო კომისია

ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის ნოემბრის თვეში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 23 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 143-ე კმ.-ზე არსებული რიკოთის საუღელტეხილო გვირაბის მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "ლოჭინი"

2) გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 20 ოქტომბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა N18 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის საზღვარი საავტომობილო გზის კმ.52-110; ბორჯომი-ბაკურიანი-ახალქალაქის საავტომობილო გზის კმ.55-82.8; ახალქალაქი-კარწახის საავტომობილო გზის კმ.1-36.5; თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდას საავტომობილო გზის კმ.116-157.9; ახალქალაქი-კარწახის გზიდან-კიროვაკანი-კუმურდოს საავტომობილო გზის კმ.1-10.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "ჯავახავტოგზა"

საქართველოს საავტომობილო გზების
დეპარტამენტის სატენდერო კომისია

ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT

შპს "ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
აცხადებს ფასთა გამოკითხვას

შემდეგი სახის მომსახურებაზე:

შპს "საქცემენტის" კასპის ცემენტის ქარხნისთვის ბრუნავი შესაფუთი დანადგარის ელექტრო კარადის აწყობა, მონტაჟი, პროგრამირება და ექსპლუატაციაში გაშვება.

დაინტერესებულ კომპანიებს ფასთა გამოკითხვის მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი"
მელიქიშვილის ქ. N16, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 32 47 47 47
+995 77 57 75 12

ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com

თამარ დარახველიძე

წინადადებების მიღების ბოლო ვადაა: 2009 წლის 10 დეკემბერი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო" საქართველოს პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა "იაკობ გოგებაშვილი-საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია" დაფინანსების ფარგლებში აცხადებს ტენდერს საჯარო სკოლების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მრავალწლიან სახელმწიფო შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი N1 ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონას საჯარო სკოლის მშენებლობის დასრულების სამუშაოები;

ლოტი N2 თბილისის N108 საჯარო სკოლის შენობის გაძლიერების სამუშაოები;

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან N1 ლოტზე არაუმეტეს 200 დღე, ხოლო N2 ლოტზე არაუმეტეს 180 დღე;

3. მიწოდების ადგილია შესაბამისი საჯარო სკოლა;

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ექვს ეგზემპლარად, (ერთი დედანი, ხუთი ქსეროასლი) დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ **2009 წლის 24 დეკემბრის** 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

5. წარმოდგენილი პაკეტები გაიხსნება **2009 წლის 24 დეკემბრის** 15 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N14.

6. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

6.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან საჯარო სამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;

გ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

დ) ცნობა, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან)

6.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობა მისი ქმედუნარიანობის შესახებ (ცნობა შებამისი უფლებამოსილი დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს სასამართლოდან).

6.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (ფიზიკური პირის შემთხვევაში: მისი საიდენტიფიკაციო მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები. იურიდიული პირის შემთხვევაში: მისი სრული სახელწოდება, გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი, შესაბამისი უფლებამოსილი პირის -სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირის მონაცემები პირადობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტის მიხედვით, საკონტაქტო ტელეფონი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა რომელშიც ასახული უნდა იყოს:

ბ.ა. სამშენებლო და სხვა მასალების ხარჯები რაოდენობრივ და თანხობრივ გამოსახულებაში;

ბ.ბ. შრომის ანაზღაურების და ტრანსპორტირების ხარჯები;

ბ.გ. სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ბ.დ. დარიცხვები, პროცენტული მაჩვენებლების მითითებით (ზედნადები ხარჯები, მოგების პროცენტი და დღგ);

გ) ინფორმაცია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების ვადების შესახებ (გეგმა-გრაფიკი);

დ) ინფორმაცია ანგარიშსწორების ფორმებისა და პირობების შესახებ;

ე) ინფორმაცია ანალოგიური სამშენებლო-სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების გამოცდილების შესახებ.

შენიშვნა: ტენდერში მონაწილე პრეტენდენტ პირს, ბოლო ორი წლის განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო სამუშაოები არანაკლებ 500 000 ლარის ოდენობით. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დოკუმენტის, ხელშეკრულებების და მიღება-ჩაბარების აქტების დართვით, ამასთანავე პრეტენდენტმა უნდა დაურთოს თითოეულ შესრულებულ სამუშაოზე დამკვეთის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურება, რომ შემსრულებელმა ჯეროვნად და ხარისხიანად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი სამშენებლო სამუშაოები.

ვ) ცნობა ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ;

თ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

ი) ინფორმაცია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

7. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელია განცხადების გამოქვეყნების დღიდან **2009 წლის 23 დეკემბრის** 18 საათამდე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში მონაწილეობის მსურველმა 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებელი უნდა გადაიხადოს სატენდერო დოკუმენტაციის მიღების ვადის გასვლამდე შემდეგ ანგარიშზე: ბანკი: სახელმწიფო ხაზინა; ბანკის კოდი: 220101222, ანგარიშსწორების ანგარიში: 200122900, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი: N302007700, გადახდის დანიშნულება - სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" სატენდერო მოსაკრებელი, დამატებითი ინფორმაცია: სამშენებლო სამუშაოების ტენდერი (ორგანიზაციული კოდი 0304). დაინტერესებულ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ სატენდერო დოკუმენტაციის გატანა მისამართზე: ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე და საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში;

9. პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

10. ტენდერში ლოტების მიხედვით შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

11. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 1%-ის ოდენობით. გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13. ტენდერში არ გამოიყენება პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებების წარმოდგენისა და კონვერტების გახსნის ალტერნატიული წესი.

14. დაგვიანებით შემოსულ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებსა და სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს.

15. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და მოხდება მისი დისკვალიფიკაცია თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებით და საბაზისო მონაცემთა ნუსხით მოთხოვნილ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება;

16. საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა აუცილებელია ტენდერში მონაწილე კომპანიების სუბკონტრაქტორებზეც;

17. სატენდერო წინადადებები შეფასდება განსხვავებული მეთოდის გამოყენებით.

18. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

19. სატენდერო წინადადების მოქმედების მინიმალური ვადა არ უნდა იყოს სატენდერო წინადადებების პაკეტების გახსნის დღიდან 30 დღეზე ნაკლები. აღნიშნული ასახული უნდა იყოს სატენდერო წინადადებაში.

20. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ მისამართზე: **ქ. თბილისი, საქართველო, დ. უზნაძის ქ. N68, სსიპ "საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო", მესამე სართული, ოთახი N12. ტელ:**

სატენდერო კომისიის აპარატი საკონტაქტო პირი მურთაზ სიჭინავა, ტელ: 91 05 52 (108)

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

ა/წ 4 ნოემბერს გაზეთ „24 საათში” საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოქვეყნდა ინფორმაცია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ”. აუქციონში გამოცხადებული ობიექტებიდან №1; №3; №6; №9; №13 და №16 სალიცენზიო ობიექტებზე სამინისტროში არ იქნა წარმოდგენილი არც ერთი განცხადება მონაწილეობის მიღების თაობაზე. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ” დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად, აღნიშნულ ობიექტებზე აუქციონი ითვლება ავტომატურად გამოცხადებულად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვაქვეყნებთ №1; №3; №6; №9; №13 და №16 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაციას შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

ობიექტის №	ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა	აუქციონის საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ საწყისი ფასის 20% (ლარი)	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო”-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი)
1	ასპინძა, სოფ. ორგორა	„ორგორას“ ვულკანური წიდის გამოვლინება	C_2	10 წელი	79 000 მ^3	16 652	3 330	1 381.40
3	ლაგოდეხი, სოფ. ნაენდროვალი	„კაბალის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	20 700 მ^3	2 776	555	968.40
6	გარდაბანი, სოფ. ყარათაღლა	მდ. მტკვრის ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	20 000 მ^3	2 682	536	862.20
9	ზუგდიდი, სოფ. ანაკლია	„ენგური III“ (მუხურის) ქვიშა, ხრეშის საბადო	C_1	5 წელი	38 100 მ^3	5 109	1 022	1 495.40
13	ოზურგეთი, სოფ. სილაური	მდ. სუფსაზე „სილაურის“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	599 100 მ^3	80 331	16 066	3 311,40
16	წალკა, სოფ. დარაქოი	ქვიშა, ხრეშის გამოვლინება	P	5 წელი	493 000 მ^3	66 105	13 221	1 424.40

აუქციონის ჩატარების ადგილი	საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო. ჭანტურიას ქ.№12ტელ. 99 11 29, 99 10 91 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანიდან მე-4 სამუშაო დღეს, 12 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.
ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი **200 ლარის** ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.	**სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს **„ბე“-ს** შემოტანის ქვითარი	**„ბე“-ს გადახდის ანგარიში:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000
აუქციონზე გამარჯვებული პირები ვალდებულნი არიან ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადონ სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს” მიერ გაწეული მომსახურების საფასური	**სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო”:** ს/ს „პროკრედიტ ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, საინ. კოდი: 204559691
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	განცხადება, აუქციონში მონაწილეობის თაობაზე. ა)კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ)ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ)სავჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ)სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე)„ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები	დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები.
აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს	
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით და ერთი

მოძრავი საოპერაციო ბლოკით

სიახლე!

მნიშვნელოვანი ფასდაკლება

კატარაქტის ოპერაციაზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს მრავალწლიან ტენდერს საბავშვო მოედნის კომპლექტებისა და ურბანული ფურნიტურების შეძენის, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია საბავშვო მოედნის კომპლექტებისა და ურბანული ფურნიტურების შესყიდვა თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი).
შესყიდვის ობიექტი დაყოფილია ცხრა ლოტად:

ლოტი I - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 6X5.5X5.8 მ ზომის) - 20 კომპლექტი;
ლოტი II - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 9.5X5.8X4.8 მ ზომის) - 20 კომპლექტი;
ლოტი III - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 7.5X6.5X4.7 მ ზომის) - 20 კომპლექტი;
ლოტი IV - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 6.3X5.5X3.7 მ ზომის) - 30 კომპლექტი;
ლოტი V - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 5.8X5.2X3.7 მ ზომის) - 30 კომპლექტი;
ლოტი VI - საბავშვო მოედნის კომპლექტი (არანაკლებ 6.2X4.9X3.2 მ ზომის) - 40 კომპლექტი;
ლოტი VII - საპარკე სკამი საზურგით - 700 ცალი;
ლოტი VIII - საპარკე სკამი საზურგის გარეშე - 300 ცალი;
ლოტი IX - საპარკე მაგიდა 4 ცალი სკამით - 120 კომპლექტი.

შენიშვნა: შესყიდვის ობიქტის სრული აღწერა მოცემული იქნება ტექნიკურ დავალებაში.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავალდებულო ვადაა 01.01.2010-დან ოთხი თვე.
მიწოდების ადგილი - ქ. თბილისის ფარგლებში შემსყიდველის მიერ მითითებული ტერიტორია.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და სატენდერო კომისიის აპარატში გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 3 დეკემბრიდან იმავე წლის 23 დეკემბრის 11.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველ პირს ზემოაღნიშნულ მისამართზე უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, რომელიც შედგენილ იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში: 200122900
ბანკის კოდი: 220101222
საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: თბილისი 300773174;

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საბავშვო მოედნის კომპლექტებისა და ურბანული ფურნიტურების შეძენის, თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) მრავალწლიანი სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ქ. თბილისის მერია.

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 23 დეკემბრის 11:00 საათიდან 15:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება, მისთვის სასურველ ერთ ან რამოდენიმე ლოტზე.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, იურიდიული პირის ქონებაზე საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის (ყადაღის) არარსებობის შესახებ;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
ვ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;
დ) ცნობა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან, რომ იგი არ არის შეყვანილი შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტებისა და მიმწოდებლების რეესტრში.

7. პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე. განცხადების მე-6 პუნტში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: მერი სულუაშვილი და გიორგი ჯიქია, ტელ: (995-32) 37-85-80, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7, მეორე სართული, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

GEONET myhost
შენი ადგილი ინტერნეტში
www.myhost.ge
3 თვე უფასო
ჰოსტინგი
470000
info@myhost.ge
ახლა